

FB.COM/GROUPS/ELLIB

მ ა მ ა ბ ე მ ა მ

ბ მ მ მ ზ ა რ ი



ბილეთი ხარა
ყოფი ბუნადე

ზარი პირველი

ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, ძლიერი აფეთქების ხმამ გააყრუა ქალაქი თბილისი – შეზანზარდა კლდე, რომელიც ორად ჰყოფდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორ რაიონს, საბურთალოსა და ვაკეს. გაიჭრა გზა, სამანქანო და სახეტილო, გაშენდა ნაძვნარი, ერთი სამყარო, ვაკისა, მეორე სამყაროს, საბურთალოს, გადაება და მოქალაქეებმაც შვებით ამოისუნთქეს, რადგან თუკი ვაკელი იყავ და საბურთალოზე გინდოდა მოხვედრა, უწინ ნახევარი ქალაქი უნდა შემოგეარა, ჩასულიყავი ვარაზის ხევში, შესდგომოდი ლენინის ახალთახალ პროსპექტს, გვერდი აგველო ეს-ესაა აღმოცენებული სპორტის სასახლისთვის – რომლის მიდამოებშიც, თურმე, ღამ-ღამობით, ტურებიც კი დაძუნძულდებდნენ – და მერე, მოულოდნელად, ჯერ ნესტოებით, შემდეგ კი მთელი სხეულით შეგეგრძნო ახალი უბნის, საბურთალოს, მძაფრი სურნელება. მაგრამ აწ, კლდის აფეთქების შემდეგ, ორმა უბანმა მეგობრულად ჩასჭიდა ერთმანეთს ხელი და ისეთი სიყვარული გააჩაღა ურთიერთს შორის, ოდინდელ გმირებსაც რომ შემშურდებოდათ. აკი ამიტომაც ფიქრობდა ქალაქზე პასუხისმგებელი, ერთ-ერთი წიგნიერი პირველი მდივანი, ვაკესა და საბურთალოს სახელი ხომ არ შევუცვლო და ტარიელ და ავთანდილ ხომ არ დავარქვაო.

გზა – რომელმაც ორი უბნის დიდ ამხანაგობას ჩაუყარა საფუძველი – ხალხში ვაკე-საბურთალოს გზად იწოდება. დღეს აქ არცთუ ისე ბევრი სახლი დგას, ხეები კი, იცოცხლე, ოხრად დაურგავს რესპუბლიკის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას, რასაც ვერ ვიტყვით ვეება პროსპექტზე, რომელსაც ვაკე-საბურთალოს სამანქანო და სახეტილო გზა უერთდება.

პროსპექტს პოეტის სახელი ჰქვია, მაგრამ პოეზიისა არაფერი სცხია. ასანთის კოლოფები – ზოგიერთი ჭკუასუსტი სახლებს რომ უწოდებს – ერთმანეთს ებჯინებიან, ერთ ხესაც კი ვერ ნახავ ვერსად, ხოლო პაპანაქება სიცხის ჟამს, მიწა, იგივე ასფალტი, თაფლივით რბილდება და ჰაერიც მყრალი, მომწვანო ფერის ნისლით იჟღინთება.

ეზოები, ასანთის კოლოფების უკან, ნაგვის გორებითა და დაბლვერილი ყმაწვილებითაა გადავსებული, დამტვრეულ და დაჟანგულ საქანელებზე სასოწარკვეთილი ბაღლები ცდილობენ მოლხენას, დედები კი შიშის კანკალით ელიან თავიანთი ვაჟების მეთხუთმეტე დაბადების დღეს – თხუთმეტი წლიდან ხომ სადარბაზოსთან ჩაკუზვის, ფურთხის გუბეთა დაყენების, ცხვირთა ქექვის, შავი ქუდის ნიკაპამდე ჩამოფხატების, ხმაში ხრინწისა და მგლების ხროვასავით, მძაკაცებთან ერთად, ეზო-ეზო სუნსულის დრო დგება...

ვაჟა-ფშაველას გრძელსა და მტვრიან გამზირზე, იქ, სადაც ფართო და მახინჯ შარას ვაკე-საბურთალოს სამანქანო და სახეტილო, ჩანაძვნარებული გზა უერთდება, როგორც იტყვიან, არმისული მიწისქვეშა გადასასვლელთან, დგას რვასართულიანი ასანთის კოლოფი. აქ, მეორე სართულზე, ერთი ჯეელი ცხოვრობს, მშობლებთან ერთად, იტანჯება თავისი სახელის გამო და როცა ეკითხებიან, რა უბნელი ხარო, დაუფიქრებლად პასუხობს: ვაკელი. ამ დროს, სინამდვილეში, საბურთალოზე სახლობს.

მას დემური ჰქვია.

ზარი მეორე

დემური ფიქრობდა, ნეტავ, თემური მაინც მერქვასო, თუმცა, დიდად არც თემური მოსწონდა.

დემური

ეს სახელი ბაბუამისისგან ერგო. სახელის გამო სირცხვილის გრძნობა კი თხუთმეტი წლიდან გაუჩნდა, როცა თანაკლასელი ნინჩო შეუყვარდა – ბებრული სახელი მქვიაო, ნინჩოს, ალბათ, ისეთი ტიპი ვგონივარ, როგორი სახელიც მაქვსო.

თხუთმეტი წლიდან ალტერნატიული სახელის მოფიქრებას შეუდგა და საწადელს დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ მიაღწია – სამთვიანი საზაფხულო არდადეგების შემდეგ სკოლაში დაბრუნებულმა დემურმა ძმაკაცებს, ანდრიკოსა და ხურციძეს, მორიდებულად გამოუცხადა, ამიერიდან ბუბა მქვიაო.

რატომღაც “ბუბა” მოეწონა. დედამისმა, თამარ ჩიჯავაძემ უთხრა, შენი დიდი ბებია, დონარა, ბუბას გეძახდაო.

თუმცა, სნობიზმისთვის დაისაჯა კიდეც!

ის კი ვეღარ გათვალა საბრალო დემურმა, რომ სახელის შეცვლის გამო, ყველა, და მათ შორის, ცხადია, ნინჩოც, დასცინებდა, რომ მაინც ძველი დემური სჯობდა ამგვარ ხელოვნურ ტრანსფორმაციას, და რომ ანდრიკოცა და ხურციძეც კი მასხრად აიგდებდნენ, ბაბუაშენი დემური სიბრაზისაგან, ალბათ, საფლავში ბრუნავსო.

ასე რომ, სამთვიანმა ტანჯვა-წამებამ ფუჭად ჩაიარა – მშობლებისთვის და ნათესავებისთვის ის ისევ დემური იყო, ხოლო კლასელები ისედაც გვართ მიმართავდნენ...

დიდად თვითონაც არ გაჯიუტებულა, სახელის გამო ნერვიულობას მალევე უკლო, რაკი ბლომად გასჩენოდა ახალი სადარღებელი.

თუმცა, ნინჩოს მისი ორივე სახელი ფეხებზე ეკიდა, ოცდაერთი წლის კრიმინალი, ნადრიკუჩა უყვარდა და დღედაღამ მასზე ფიქრობდა.

ეს იცოდა საბრალო დემურმა და მიუხედავად ამისა, რაც დრო გადიოდა, ნინჩო მით უფრო უყვარდებოდა.

აგერ, თექვსმეტისაც გახდა, წინ წაიწია ერთი საფეხურით და ბოლო ზარიც მალე ჩამოჰკრაო.

ო, როგორ ეშინოდა დემურს ბოლო ზარის! ხვალინდელი დღის, სკოლის დამთავრების...

ნინჩოს ხომ ყოველდღე ვეღარ ნახავდა, ანკი ნახავდა საერთოდ?

მაგრამ იმედი მაინც ჰქონდა.

ოლონდ, კაცმა არ იცის, რისი.

გოგონებს, არათუ მხოლოდ ნინჩოს, ამ ასაკში, საერთოდ, არ მოსწონდათ დემურისნაირი ბიჭები.

დემურს ხომ წიგნების კითხვა უყვარდა.

მუსიკაზეც დადიოდა. ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა. მერე შერცხვა – როგორც სახელის შერცხვა ოდესღაც – ნინჩოს კრეტინი არ ვეგონო, და მალევე შეიძულა მუსიკაც.

მუსიკაზე ისედაც დედამისის ხათრით დადიოდა. თუმცა, არც თამარ ჩიჯავაძე ყოფილა დიდი მელომანი, დემურს მუსიკაზე მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ მამამისის, დემურის აწ გარდაცვლილი ბაბუის თანამშრომლის შვილი, გაჭირვებული და ხელმოცარული, კონსერვატორიადამთავრებული რუსიკო ეცოდებოდა, და რაკი პირდაპირ ფულს ვერ აჩუქებდა – რუსიკო თავმოყვარე, თუმც ულატაკესი არსება გახლდათ – ამიტომ შვილს რუსიკოსთან სიარულს აიძულებდა. ასე რომ, დემური დედამისის უცნაური ქველმოქმედების მსხვერპლი იყო მხოლოდ. რაც მთავარია, დალხენილად არც დემურის მშობლები ცხოვრობდნენ.

დედამისი, თამარ ჩიჯავაძე, პედიატრი იყო, ბაპტისტთა მიერ თბილისში გახსნილ ეგზოტიკურ სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობდა, ხოლო მამა, ბესიკ ჩხიკვიშვილი, მხატვარი გახლდათ, დღის ძირითად დროს სახელოსნოდ გადაკეთებულ სამზარეულოში ატარებდა და ოცი წლის განმავლობაში დაუღალავად ქმნიდა ერთი და იმავე შინაარსისა და თემატიკის ნახატებს – მწვერვალები, ეკლესიები, ცხვრები, ძროხები... ცხვრები, ეკლესიები, მწვერვალები, ძროხები – წრუპავდა ღვინოს, ათასში ერთხელ ნახატებსაც ყიდდა და ცოლს არასდროს ღალატობდა. ფატალისტი იყო. ამბობდა, მე რომ ვინმეს გავექაჩო (სწორედ ამ სიტყვას ხმარობდა), ცოლ-შვილი დამეხოცებო.

დემურს კითხვა დედამ შეაყვარა. როგორც ყველა ბავშვს, კითხვა დემურსაც ეზარებოდა. წაიკითხავდა ერთ-ორ გვერდს და მაშინვე დედასთან გარბოდა, აი, რამდენი წავიკითხეო, ანუ, დედამისის ხათრით კითხულობდა და, საერთოდაც, ხათრიანი ბავშვი იყო, თუმცა, ერთხელ მაგრად გაილახა – ეგონა, რომ წიგნებს მარტო არდადეგების დროს კითხულობენ, თამარ ჩიჯავაძემ კი თუ არ ვცდები, სექტემბრის ბოლოს წყეული “ბიძია თომას ქობის” წაკითხვა მოსთხოვა, რასაც ბაბუის სიჯიუტე მოჰყვა, შემოდგომა დაიწყო, რა დროს კითხვააო. როგორც მოსალოდნელი იყო, დედაც გაჯიუტდა, ბესიკ ჩხიკვიშვილზე, ანუ ქმარზე გაბრაზებულმა (სამწუხაროდ, არ მახსოვს, რა იყო მისი სიბრაზის მიზეზი), ბავშვს ერთი-ორჯერ წაუთაქა და მერე, როგორც იტყვიან, მადა გაეხსნა – მისცხო და მისცხო საბრალო დემურს, რეზიკო (დაქალი მანანას შვილს გულისხმობდა, დემურის თანატოლს) კვირაში სამი წიგნის წაკითხვას ასწრებს, შენ რა ჯანდაბა დაგემართა ასეთი, ასობესაც კი ძლივს რომ არჩევო. მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარა ცილისწამება იყო, ძირს განრთხმულ დემურს, მოქვითინესა და უკვე კარგა მაგრად გალახულს, გულის სიღრმეში თავისი უწიგნურობის მაინც საშინლად რცხვენოდა, ოცნებობდა, დროზე დაბრუნებულიყო სახლში მამამისი, რომელიც ყოველთვის მისი, დემურის, მხარეს იჭერდა ხოლმე, მერე კი მისდგომოდა გაბზარულშუშთან კარადას და რაც კი თაროზე წიგნი იდო, ყველა წაეკითხა.

დემური უწიგნურობის გამო პირველად და უკანასკნელად გაილახა. თბილისში, როგორც წესი, ხალხს სწორედ წიგნიერების გამო ჩაგრავდნენ. მეტისმეტად წიგნიერი, ზრდილი და საამოდ მოსაუბრე ყმაწვილი პატივისცემას არც იმსახურებდა...

აკი აწ უკვე კლასიკად ქცეულ ქართულ ფილმებშიც ასე არ არის? განათლებულ, ყოვლად წესიერ, ცხვირზე სათვალედაკოსებულ, ვიოლინოთი ხელდამშვენებულ ყმაწვილს, ტრადიციულად, შეზღუდულ, მშიშარა და ოდნავ, როგორც იტყვიან, მოდებილო ადამიანად წარმოაჩენდნენ, ქუჩაში მოხეტიალე, დედისერთა, ძმაბიჭებთან ერთად მომლხენი ჯეელი კი საბოლოოდ რაიმე გმირობასაც ჩაიდენდა, თავისი სიმამაცით გაითქვამდა სახელს და უკვე ასაკში, თითოთ საჩვენებელ, საპატიო ქალაქელადაც იქცეოდა. აქედან დასკვნა: ვისაც სათვალე უკეთია – იდიოტია, ხოლო გმირთა გმირია ის, ვისაც ქუჩაში აუდგამს ფეხი.

ინტელექტმფრქვეველი, სიტყვაგაკრეფილი და ნასწავლ-ნადვარწი ყმაწვილი მხოლოდ ბებიებს ეხატებათ გულზე. მათ შვილიშვილებს, გოგონებს, ჩვეულებრივ, უმიზეზოდ დაბღვერილებისაკენ მიუწევთ გული.

უწინ, თამარისა და ბესიკის სინორჩის ჟამს, სუფრა ისე არ აიშლებოდა, ერთი კარგად მოტიკტიკე, განათლებული, ჭორფლიანი და სათვალოსანი ჯეელი არ გალახულიყო. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან – ამ მხრივ, მეტადრე კრიზისულ წლებში – დღემდე, მრავალი ახალგაზრდა გატყეპილა თავისი წესიერებისთვის.

ოთარ ცინცაძე, მაგალითად, უბეჯითესი ბალდი, გაილახა პლენხანოველი ჩარლიკას მიერ, მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონებს აცინებდა; გიორგი მაზმანიშვილი, გალახულ და გალანძლულ იქნა ვინმე ჭიჭიკას მიერ, მრგვალი ბალის მიდამოებში, აქ მოთრეული აღარ განახო. ჭიჭიკა, თურმე, გიორგის ალაღ ლექსებს გაუღიზიანებია, რომელიც ამ უკანასკნელს ვინმე ხათუნასთვის მიემღვნა ექსპრომტად; ასევე, თოვლიან ბაკურიანში გალახულა და კინაღამ დაჭრილა ინგლისიდან სულ ახლახანს დაბრუნებული გოგიკო ლომთათიძე; კოტე, ზედმეტსახელად, ფისო ჩაჩხიანს მხოლოდ იმიტომ გაულახავს, რომ გოგიკოს ცეკვის დროს ფეხი დაუდგამს მისი საცოლის, ვინმე ნანკას, კუთხეში მიგდებულ განავლისფერ ქურთუკზე...

საკუთარი პატიოსნების გამო დასჯილი ჩვენს ცოდვილ მიწას მრავალი ახსოვს. ჩვენი ნება რომ იყოს, მთელ წიგნს წამებულთა გვარ-სახელებით ავავსებდით, მაგრამ მკითხველი არ მოგვიწონებს ამგვარ სითამამეს...

მთავარი კი ამ ყველაფერში შემდეგი გახლავთ:

მიუხედავად იმისა, რომ წესიერ ყმაწვილთა გალახვის ჟამს გოგონები ყოველთვის ამ უკანასკნელთა მხარეს იჭერდნენ, მოწონებით მათ მაინც აგრესიული ჩარლიკა, ჭიჭიკა, ფისო ჩაჩხიანი და მისთანანი მოსწონდათ. ჩარლიკაც, ჭიჭიკაცა და ფისოც ამ საეჭვო გმირობათა შემდეგ ათმაგად იხვეჭდნენ სახელს და სულ უფრო და უფრო მეტ გოგონას აყვარებდნენ თავს.

ამას ხვდებოდა საბრალო დემური და ამიტომაც ცდილობდა სახელის შეცვლას, ეგებ თავადაც გამოცვლილიყო – ნინჩოს ხომ ქუჩაში მოხეტიალე და ფურთხის გუბეთა დამყენებელი ბიჭები მოსწონდა.

ზარი მესამე

ოცდაერთი წლის კრიმინალი, თემურიკო ნადარეიშვილი, ნინჩოს ორიოდე წლის წინ შეუყვარდა.

ნადრიკუჩას ხუთი წლის წინ, წყნეთის კინოთეატრის წინ შემოჰკვდომოდა ძმაკაცის ქალაჩუნა ნათლია, ბატონი ოთარ თევზაძე, რომელსაც ზოგადად წყნეთის და კონკრეტულად ნადრიკუჩას სამეგობროს დაწყევლა არ ეპატია. ამ ამბის შემდეგ, ნადრიკუჩა სამი თვის განმავლობაში, ნუცუბიძის პლატოზე, ბიძაშვილის სახლში იმალებოდა და ნარკოტიკს სწორედ იქ მისძალებია. სამი თვის მერე, სამამულო ომის ვეტერან ვალიკო ახალაიას წყალობით, ნადრიკუჩას სამართალდამცავებმა მიაგნეს და არასრულწლოვანთა კოლონიაში უკრეს თავი.

იქ მთლად წამხდარა ნორჩი კრიმინალი – პაწია დანით მისჭრა და მოსჭრა მრავალი არასრულწლოვანი პატიმარი, გაიჩინა თერთმეტი ყურმოჭრილი მონა (აქედან ექვსი, წარმოშობით – ქურთი), თავზარი დასცა მრავლისმნახველ პოლიციელთ თვისი ცხოველი სიჯიუტითა და შეუპოვარი ბუნებით, მომავალს იმედის თვალით შეხედა – ეგებ, ქურდადაც მაკურთხოს ვინმემო, მიეძალა გამაბრუებელ ბალახეულსაც და თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკში ისეთი ავტორიტეტი მოიხვეჭა არასრულწლოვანთა კოლონიაში, რომ მრავალ სრულწლოვან კრიმინალსაც შემურდებოდა.

ის თითქმის არ ლაპარაკობდა. თუკი იტყოდა რამეს, ათასში ერთხელ, მხოლოდ შე ჩემას, თუკი წამოიძახებდა, მხოლოდ ბოიშვილოს, და თუკი ვერბალურ ალერსს გამოხატავდა ვისმეს მიმართ, მხოლოდ ასე, ერთი სიტყვით: წარეკე.

არასრულწლოვანთა კოლონიაში მხოლოდ ნადრიკუჩას ჰქონდა, იმ ხანად ჩვენში ახლადშემოსული ხელის ტელეფონი – ვეებერთელა, მტვერსასრუტავით დიდი.

ერთი მხრივ, ნადრიკუჩას მცირე ასაკმა და მეორე მხრივ, შეძლებულ ნათესავთა ფულმა (და, ცხადია, მისი გამზრდელი დეიდის თავგანწირვამაც) განაპირობა ის, რომ ნორჩი კრიმინალი წელიწადნახევარში სამშვიდობოზე გამოუშვეს და სახელგანთქმულმა ყმაწვილმაც უმაღვე ზღვისპირა ბათუმს მიაშურა.

ნინჩო, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკში ოცდახუთი წლის ზრდასრულ ქალბატონს ჰგავდა, სწორედ იმ დროს ისვენებდა ბათუმში. თანატოლი ბიჭები ღლაპებად მიაჩნდა და გარკვეული თვალსაზრისით მართალიც იყო: თანატოლი ყმაწვილები ძლივას სწვდებოდნენ თემომდე, ხოლო დაქალები შურით შესცქეროდნენ, ბიჭები ნინჩოს უკვე ქალად აღიქვამენ, ჩვენ კი ბალღებივით გვეპყრობიანო.

ნინჩო ღვანფერიძე, რაც არ უნდა ბევრ ხალხში მდგარიყო, მაინც თვალში მოგხვდებოდა: იყო მაღალ-მაღალი, ბელორუსი ბებიისგან გამოყოლილი ქერა დალალების მქონე, ჰქონდა დიდად მშვენიერი კაუჭა ცხვირი – ამჯერად მამისგან ნაანდერძევი – სქელი ზედა ტუჩი,

ზეცისკენ ატყორცნილი გავა და გრძელი კანჭები. როცა იცინოდა, დიდსაც და პატარასაც, სქესის განურჩევლად, სევდა ერეოდა, რაკი სიცილი ერთიათად ალამაზებდა...

ნინჩო ახირებული გოგონა გახლდათ. სძულდა ისეთი ბიჭები, რომელნიც სახლში თავად იღებდნენ ყურმილს. და, რასაკვირველია, სძულდა ისეთი ბიჭებიც, რომელნიც სამარშრუტო ტაქსით მგზავრობდნენ. აი, პროსტაო, ამბობდა, ძან ლამაზი რო იყოსო, ძან კაი ტიპიო, მაგრამ რო მომეწონოსო, მაგრამ რო დავინახო, რო სახლში მარშრუტკით მიდის, დედა მომიკვდეს, თუ არ შემზიზღდესო.

ნინჩო ასე იხსენებდა ყმაწვილებს: “ვიცი, ვიცი, პაჯერო რო ყავს, ACE 307...” ჰოდა, ერთხელაც, ეს ჩვენი ნინჩო, მზისგან გარუჯული, ბათუმის ერთ-ერთ კაფეში შევიდა თავის ერთგულ სამ დაქალთან ერთად.

კაფე დამაბული ვაჟებითა და ფლეგმატური გოგონებით გადავსებული დაუხვდა. თუმც, ხმამაღლა ჟღერდა კოლუმბის მიერ აღმოჩენილ მიწაზე შექმნილი მუსიკა, არავინ ცეკვავდა. ერთ-ერთ მაგიდასთან ნადრიკუჩა ჩამომჯდარიყო – ცხვირზე შავი სათვალე დაეკოსებინა, თმა წყლით გადაეგლისა.

– აუ, ეს ნადრიკუჩა არაა, ძმაცაცის ნათლია, ქალაჩუნა ოთარ თევზაძე, რო შემოაკვდა წყნეთში!

აღმოხდა ნინჩოს დაქალთაგანს, სახელად ლელუკას.

– რა მანქანა ყავს? – ინსტინქტურად იკითხა მეორემ, ნინუკამ.

– პუპას ეცოდინება! – დაასკვნა ნინჩოს დაქალთაგან მესამემ, მსუქანმა და მარადჟამ გაბუტულმა ნუციკო სურმავამ.

ვინმე პუპამ, რომელიც ნინჩოს პარალელურ კლასელი გახლდათ, მართლაც იცოდა, ვის რა მანქანა ჰყავდა როგორც მიწიერ, ასევე ზეციურ საქართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნინჩო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ვინ აღარ გადაკოცნა იგი! ხშირად, დღეში ორჯერაც კი უწევდა ერთი და იმავე ადამიანის გადაკოცნა, – კი იღლებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, – თითქოს დასასვენებლად კი არა, ხალხის გადასაკოცნად ჩადიოდა ბათუმში. გავიდოდა, ვთქვათ, დილით სახლიდან, უმაღვე შეხვდებოდა ვინმე, ვისთანაც შეხვედრა და ვისი გადაკოცნაც კიდევ მრავალჯერ მოუწევდა, გადაკოცნიდა და რიტუალურ, მოკლე დიალოგსაც გამოაცხობდა: – “რას შვები?” – “ვარ, რა” – “როდემდე რჩები?” – “თვის ბოლომდე” – “მეც, რითი მიდიხარ?..” და ა. შ.

ერთი სიტყვით, ნადრიკუჩას გარდა, ნინჩო ყველამ გადაკოცნა, და, საერთოდაც, მარტო ნადრიკუჩამ არ მიაქცია ნინჩოს ყურადღება.

ამან არათუ გააკვირვა, აღაშფოთა და სასიამოვნოდ ააღელვა ნინჩო ღვანფერიძე – ეს ძან მაგარი ტიპი, ვიღაც გამომტერებული, მაგრამ ძან საყვარელი ნადრიკუჩა ვინ ჩემი ფეხებიაო!

მერე, როგორც იქნა, აცეკვდნენ ჯელები და გოგონებმაც გაიქნიეს ხელ-ფეხი. ნინჩომ თავისი მოქნილი და ელასტიური ცეკვა ნადრიკუჩას გულგრილობას მიუძღვნა.

არ ცეკვავდა მხოლოდ ფერმკრთალი და შავსათვალებიანი ნადრიკუჩა, რომელიც რამდენიმე დაბლვერილ და ცნობისმოყვარე მონა-ძმაკაცთან ერთად იჯდა კუთხეში. მერე, როგორც საერთოდ სჩვეოდათ ხოლმე, ნინჩო და მისი დაქალები ჯგუფურად გაემართნენ ტუალეტისკენ.

ტუალეტში შესვლისთანავე ოთხივემ ერთდროულად წარმოთქვა:

– აუ, ნადრიკუჩა რა საყვარელია!

ამასობაში კაფეში დამაბულმა ბიჭებმა აქეთ-იქით დაიწყეს სუნსული – გარეთ გადიოდნენ, შემოდდიოდნენ, იქექებოდნენ და კვლავ გარეთ გადიოდნენ.

გოგონებს გასროლის ხმა ტუალეტიდან გამოსვლისას მოესმათ.

ნინჩომ მაშინვე იმ ადგილისკენ გაიხედა, სადაც ნადრიკუჩა ეგულეობდა, თუმცა, ნადრიკუჩა იქ აღარ დაუხვდა, ანკი როგორ დაუხვდებოდა, როცა ნადრიკუჩა ისროდა გარეთ. კაცმა არ იცის, როდის და საიდან გაჩნდა კაფეში აღელვებული პუპა, მაგრამ ის ამბავი, რომელსაც ის ჰყვებოდა, იმდენად საინტერესო იყო, რომ მისთვის არავის უკითხავს, როგორ ასწრებ ერთდროულად ათ ადგილზე ყოფნასო.

– ვიღაც ბათუმლები ამოსულან და... ამირანა როა, ისიც ყოფილა და... კაწკა სად არიო და... ნადრიკუჩას გაუყვანია, შენო, ვაბშე, ვინა ხარო და... ამირანას უთქვამს, მეო, პროსტაო, ვინა ვარო, ამას განახებთო... და ნადრიკუჩამ, აგერ დამახტოო, სახეში მიუხლია.. და კაწკა გავარდნილა, ნადრიკუჩ, ჩემი ხათრითო... და ნადრიკუჩამ, ნიკუმასთან გაარკვევო, იქით გადიო... და ნიკუმა ხომ მაგის ძმაკაცია, კაწკა ნადრიკუჩასთვის ჩაუბარებია... და პროსტა, ჩემი აზრით, კაწკა მაგარი დამპალია... და ეს დებილი ამირანაც ვინაა!..

– ამ დროს, ნიკუმა მაგარი საყვარელია, – გააწყვეტინა პუპას ლელუკამ.

– აი, ძან! – ერთხმად შესძახა პუპას გარშემო მდგომმა ოცდახუთივე გოგონამ.

მერე ყველამ, კვლავ ერთხმადვე გალანძლა ვინმე კაწკა, რომელიც ვინმე ნიკუმას შეყვარებულად ითვლებოდა და ამავდროულად ბათუმელ ამირანასთანაც არ თაკილობდა აქეთ-იქით სიარულს, მაგრამ რაკი ეპიზოდი ჯერაც არ იყო ბოლომდე ამოწურული და გარეთ, გასროლის მერე, მოვლენები როგორ განვითარდა, არც პუპამ იცოდა – ანუ, ვინმე ხომ არ დაჭრილა, რა ბედი ეწია ამირანას, რატომ არ კივის კაწკა და კვლავ იქაა თუ უკვე მოტყდა ნადრიკუჩა – აღელვებული გოგონები გარეთ გაცვივდნენ და იქ დაელოდნენ მოვლენების განვითარებას.

ნადრიკუჩას ამირანა ბარძაყში დაეჭრა, კაწკას მისივე დაქალი ნათო ამშვიდებდა, ოფიციალტი დაჭრილ ამირანას ასულიერებდა, ამირანას ბათუმელი თანმხლებნი კი სასწრაფოში რეკავდნენ და ხმამაღლა ილანძლებოდნენ: “დაგვჭრენ, ბოშვილნი ვიყვეთ... დედა გვიტირენ!” ხოლო პოლიციის მანქანა, სადაც ორი ჩასუქებული და უჟმური სამართალდამცავი იჯდა, კაფეს უახლოვდებოდა.

ნადრიკუქას მიმალვა მოესწრო.

ასე ნახა პირველად ნინჩომ ნადრიკუქა და მეორე დილითვე გამოუტყდა ლელუკას, მაგრა მომეწონა და, მგონი, შემეყვარდა კიდეცო.

გაივლის მრავალი წელიწადი და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო... უფრო სწორად, რამდენიმე თვე გაივლის მხოლოდ და ნინჩო ღვანფერიძე, არა დახვრეტის, არამედ ნადრიკუქას ციხიდან გამოსვლის მოლოდინში, მერამდენედ დაფიქრდება, რატომ შეუყვარდა ეს ტანჯული, შარიანი და ნემსის ჩხერისგან ლანდად ქცეული ნადრიკუქა, როდემდე უნდა აკითხოს ციხეში და ვინ დაწყევლა ასე, რომ სხვა არავინ უყვარდება ამ მკვლელი და ნარკომანი ნადრიკუქას გარდა!

ზარი მეოთხე

დიახ, უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნინჩოს თემურიკო ნადარეიშვილი შეუყვარდა. ამ ხნის განმავლობაში, ნადრიკუქა სამჯერ დაიჭირეს და სამჯერვე შეძლებული ნათესავების წყალობით გამოუშვეს ციხიდან.

ნინჩომ არ ითაკილა და სანამ ნადრიკუქა ეტყოდა რამეს, მანამდე უთხრა, მაგრა მომწონხარო. უკვე თბილისში, საერთო ნაცნობის დაბადების დღეზე, ნინჩომ და ლელუკამ ნადრიკუქა სამზარეულოში გაიხმეს და სიყვარული ორ ხმაში აუხსნეს, ლელუკამ – შენ ძმა, მე დაო, ხოლო ნინჩომ – ერთხელ ბათუმში გნახე და მაგრა დამევასე, იმის მერე სულ შენზე ვფიქრობო.

ნადრიკუქამ მხოლოდ ეს უთხრა ნინჩოს:

– კაი გოგო ხარ, თავს რატო ილუპავ? – და ლოყაზე ხელი მოუსვა, მერე კი მხრებში მოხრილი, ამაყად გავიდა სამზარეულოდან.

გამოხდა ხანი და ნინჩო მიხვდა, რომ ნადრიკუქა თავს იფასებდა, გრძნობდა, რომ მის მიმართ გულგრილი არ იყო, მაგრამ მაინც არ ჩქარობდა. ნინჩოს პუპამაც კი უთხრა, ნადრიკუქას ძმაცაც, იმ ვინმე ნიკუმას უთქვამს, ნადროს ნინჩო მოწონს, მაგრამ ჯერჯერობით არ აბაზრებსო. ნინჩოსაც ეს არ უნდოდა! უეცრად, მანაც დაიფასა თავი, დაქალებს ჭორები დააყრევინა, ნინჩო ვიღაც წყალბურთელს მიყვება ცოლადო, და ნადრიკუქაც ანერვიულდა – ნინჩოს დაურეკა, შენი სახლის სადარბაზოსთან ვდგავარ და ჩამოდი, ლაპარაკი მინდაო. ნინჩო უმაღვე ჩავიდა. ნადრიკუქამაც, თავისებურად, მისთვის დამახასიათებელი მანერებითა და ლექსიკით – შეჩემობით, ბოიშვილობით და სულ ბოლოს წარეკე-თი – აუხსნა ნინჩოს სიყვარული და ისიც დააყოლა, აწი, სახლიდან გასვლის წინ მე დამირეკავ და მოკლევებს აღარ ჩაიცვამო.

ნინჩოზე ბედნიერი იმ დღეს არავინ იყო. ლელუკამ, მაგალითად, ბედნიერებისაგან იტირა კიდეც, როცა ნინჩომ დაურეკა და თავისი ამბავი ამცნო. ბედნიერი იყო ნუციკო სურმავეც, ნინჩოს მეორე დაქალი, მსუქანი და გაბუტვისთვის მუდამ მზადმყოფი, და ასევე, ნინუკაც, დაქალთაგან რიგით მესამე, – მორჩა, ახლა კი დაკვალთანდება ჩვენი ნინჩოო.

გათენებული არც იყო, როცა ნინჩოს პუპამ დაურეკა და უთხრა: ნადრიკუჩა, შენგან რომ წამოვიდა, ბახტრიონელ ვახოს გადაეყარა, წაეჩხუბა და დუნდულოზე დანა დაუსვაო.

– რომელი ვახო? ბახტრიონი სადაა? – ნინჩო გამოფხიზლებას ცდილობდა.

– ვახო, რა!.. გვაჯი, – ახასიათებდა პუპა დაზარალებულს, – ვერცხლისფერი “მერსედესი” რო ყავს...

ნადრიკუჩა მაშინ გადარჩა და არ დაუჭერიათ, მაგრამ დადგა ზამთარი და მას გუდაურში შემოაკვდა კაცი, მოხევე, რომელიც მარტში საფრანგეთში აპირებდა წასვლას, იქ უნდა ესწავლა. ძლივს გამოასწრო ნადრიკუჩამ იქაურობას, თორემ გუდაურშივე მოკლავდნენ გარდაცვლილის ნათესავები.

ჯერ, როგორც ყოველთვის, იმალებოდა, მერე კი მარნეულთან დაიჭირეს პოლიციელებმა – აზერბაიჯანში უნდოდა გადასვლა.

იმ დღის მერე კვირაში ორჯერ ნინჩო ციხეში მიდიოდა ნადრიკუჩას სანახავად, უწერდა წერილებს, უგზავნიდა ფოტოებს, კიდევ უფრო ეფიცებოდა სიყვარულში და რაღაც მხრივ ამაყოფიდა კიდევ, რადგან ყოველივე ეს – ციხეში მჯდომი შეყვარებული, გუდაურის სკანდალი, თავის დაქალთა გაუთავებელი ჭორაობა თოვლიანი მკვლელობის შესახებ – უსაშველოდ რომანტიკულად ეჩვენებოდა.

დედამისი, ლამარა ნატროშვილი, რომელიც ერთ დროს უნივერსიტეტის დირექტორიც იყო, კი ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს აგნებინებდა ჯიუტ ქალიშვილს. ღელავდა მამამისიც, კარლო ღვანფერიძე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, აწ კი დიდი მოქიფე და ძმაცაცთა სული და გული.

ნინჩო ამ დევივით კაცის იდეალი იყო. როცა უთხრეს, შენს გოგოს ვიღაც მკვლელი და ნარკომანი შეუყვარდაო, კი გაბრაზდა (სახელური მოაჭამა ბროლის ვაზას), მაგრამ ქალიშვილთან კამათს მოერიდა და ცოლს უთხრა, ვაცალოთ, აგერ ნახავ, ერთ-ორ თვეში დაივიწყებსო.

ნინჩოს უმცროსი დაც ჰყავდა, სოფიო, უჭკვიანესი ბავშვი, სრული ანტიპოდი უფროსი დისა, ბელორუსი ბებიის გაზრდილი. ერთი წლიდან წიგნებს კითხულობდა და სამი წლის ასაკში მთელი “ვეფხისტყაოსანი” და ნახევარი “ილიადა” ზეპირად იცოდა. ამჟამად “დონ-კიხოტს” იზეპირებდა.

ერთი სიტყვით, გიჟდებოდა დიდ წიგნთა დაზეპირებაზე. ბებიამისისთვის უთქვამს, მოვა დრო და ტელეფონების წიგნსაც დავიზეპირებო. მისმა უცნაურმა სურვილმა ბევრი გააცინა მაშინ. მამამისი, კარლო, ეხუმრა კიდევ, დროზე დაიზეპირე ეგ წიგნი, თორემ რომ მომშივდება, შეეჭამ, ერთ ფურცელსაც არ დაგიტოვებო. საერთოდ, კარლოს ყველაფრის შეჭმა შეეძლო, ნივთებისაც კი. საქორწინო მოგზაურობის დროს, მაგალითად, ოცი წლის ასაკში, სასტუმროების გასაღებებს ყლაპავდა. მართალია, შვილებს არ არჩევდა, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვათ, ნინჩოსი უფრო ესმოდა. სოფიო სხვანაირი იყო. ერთხელ, კინალამ გული შეუღონდა, როდესაც პაწია სოფიო მუხლებზე დაისვა და ჰკითხა, მამიკო, რა

გინდა, რასაც მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებო. ბავშვმა კი სრული სერიოზულობით მიუგო: მარადიული ქალწულობა მიბოძე, შენგან სხვას არაფერს ვითხოვო. სოფიო იმ ხანად “ილიადას” იზეპირებდა და ძველ ბერძენთა დარად აზროვნებდა, კარლოს კი ელდა ეცა, რუსული ბადის ბრალია ესაო – სოფიო ხომ კერძო, რუსულ ბადში დადიოდა – და გულში ბელორუს სიდედრსაც კი შეაგინა.

ამასობაში სექტემბერიც დაიწყო, ნადრიკუჩას თხუთმეტი წელი მიუსაჯეს, სკოლის დერეფნები ლოყაწითელი ბალღებით აივსო, ხოლო დემურს სკოლაში მისვლისთანავე აეშალა კუჭი.

ზარი მეხუთე

“კლასში დამხვდება? თუ კიბესთან შემეფეთება? იქნებ, არც მოვიდეს მეორე გაკვეთილამდე? შარშან ხო ასე აკეთებდა! გადავკოცნო, თუ შორიდან მივესალმო? თვითონ რო გადამკოცნოს? არა, ჯერ ანდრიკოს გადაკოცნის, მერე მე, ბოლოს ხურციძეს. ხომ არ გავწითლდები? მთავარია, არ გავფითრდე. კუჭი მიბუყბუყებს. რა დროს ეს იყო?”

დემური, ნაწილობრივ ბუბა, პეტრიაშვილის ქუჩის აღმართს მიუყვებოდა. იცოდა, კუჭის გაავება-აბუყბუყება სწორედ ნერვიულობის შედეგი იყო. ბავშვობიდან ასე მოსდიოდა. როცა ეშინოდა, ან როცა ნერვიულობდა, კუჭი ეშლებოდა ხოლმე. ზოგჯერ თვლემაც ერეოდა. ამჯერად, სამწუხაროდ, კუჭი სტკიოდა. ცივი ოფლი ასხამდა, რადგან იცოდა, სკოლის ტუალეტში შესვლას აზრი არ ჰქონდა – ტუალეტის კარი არ იკეტებოდა, იქ შესვლას ისევ საკლასო ოთახში ჩასვრა ერჩია. თუმცა, არა... რა სისულელეა! რომ ჩაესვარა, თავს აღარც იცოცხლებდა...

დემური ნელ-ნელა უახლოვდებოდა სკოლის შენობას, ფეხები კი, როგორც იტყვიან, უკან რჩებოდა. ცოტაც და უკან, სახლისკენ გაბრუნდებოდა, მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო...

სკოლის შენობას ნინჩოც უახლოვდებოდა, ოღონდ, ზემოდან, ბარნოვის ქუჩით. ფეხით მოდიოდა სამ დაქალთან ერთად. ეცვა ახალი, შეუბრალებლად მოტკეცილი შარვალი და ნადრიკუჩაზე ფიქრობდა. უფრო სწორად, ნადრიკუჩა მაშინ ახსენდებოდა მტკივნეულად, როცა ფურთხის გუბეებს მოჰკრავდა ხოლმე თვალს – ეს პაწაწინა ტბები ხომ ნადრიკუჩასნაირი ახირებული ყმაწვილების მიერ იყო შექმნილი. ნორჩ კრიმინალთა სავაჭრო ნიშნის, გუბეებისა და მზესუმზირის ქერქების დანახვისთანავე ნინჩოს მისი ამაყი სატრფო, ციხის საკანში მჯდომი, შავტუხა თემურ ნადარეიშვილი ახსენდებოდა და ლელუკას, მის ყველაზე ერთგულ დაქალს, ნერვებმომლილი, აგზნებული და გულაჩუყებული ეხუტებოდა.

სახლიდან სკოლის შენობამდე, გზად, ნინჩოს ფურთხის ცხრამეტი გუბე შემოხვდა, და ნინჩოც ზუსტად ცხრამეტჯერ აღელდა, ცხრამეტჯერ მტკივნეულად – თითქოს, დანა ჩასცეს გულშიო – გაახსენდა დატყვევებული მიჯნური, ცხრამეტჯერ დასევდიანდა და ცხრამეტჯერვე ღონივრად ჩაეხუტა ერთგულ ლელუკას.

ბოლო, რიგით მეცხრამეტე გუბე, ზედ სკოლის შესასვლელთან წარმოექმნა ვიღაც ნორჩ კაი ბიჭს... ნინჩო ლელუკას გადაეხვია, ფერმკრთალ დემურს კი მსუქანმა და გაბუტვისთვის მუდამ მზადმყოფმა ნუციკო სურმავამ მოჰკრა თვალი.

დემურს ყველაზე მეტად ნუციკო სურმავასთან უადვილდებოდა ურთიერთობა. ეხუმრებოდა, მისი ცხოვრებით ინტერესდებოდა, ზოგჯერ, ძალიან ფრთხილად, ნინჩოს შესახებაც ჰკითხავდა რამეს. თავის მხრივ, ნუციკოც თბილად ეპყრობოდა დემურს, უღიმოდა და არ ებუტებოდა.

ბიჭები ნუციკო სურმავას, ძირითადად, ნინჩოს გამო ემეგობრებოდნენ – იცოდნენ, თუკი რაიმეთი ასიამოვნებდნენ ნუციკოს, ეს ნინჩოსაც ესიამოვნებოდა. არც ჩვენი დემური იყო გამონაკლისი, მაგრამ თუკი თავიდან მასაც ნინჩოს გამო აინტერესებდა ნუციკო, მერე და მერე მართლაც შეუყვარდა და დაუმეგობრდა. თუმცა, კაცმა არ იცის, ნინჩო რომ გადაჰყვარებოდა, ნუციკოსთან კვლავაც თუ გააგრძელებდა ურთიერთობას.

ნუციკოს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა: როცა რაიმე ეწყინებოდა, არაფერს ამბობდა, იბუტებოდა, სივდებოდა და სახლში მიდიოდა, მერე კი, უკვე სახლში მისული, საპირფარეშოში იკეტებოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა.

საპირფარეშოში შეკეტილი ხმას ისე და იმდენნაირად იცვლიდა, რომ ღრმად მორწმუნე ბებიაშისმა ერთხელ ისიც კი იფიქრა, ჩემს შვილიშვილს, ჩემს ნუციკოს, სულში ემშაკი ჩაუსახლდაო...

ნუციკო საათობით იკეტებოდა საპირფარეშოში და ილანძვებოდა. ვინც გააბრაზა, იმას წარმოიდგენდა და ისე ლამაზად, შეუპოვრად და არგუმენტირებულად თათხავდა, რომ სიბრაზე უმალ გაუვლიდა ხოლმე. დღეში, ხშირად, რამდენჯერმეც შესულა საკუთარ თავთან საბაასოდ, რადგან წყენით ბევრი რამე სწყინდა.

რაც დრო გადიოდა, ბებიაშისი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი შვილიშვილი, ეს საყვარელი, პუტკუნა ნუციკო, ნამდვილი გიჟი იყო. მხოლოდ ნუციკოს დედამ, ბრძენთა ბრძენმა თინათინ ლობჯანიძემ იცოდა სიმართლე – იცოდა, რომ მის ქალიშვილს უამრავი კომპლექსი ტანჯავდა, და ამიტომაც ამბობდა, თვითდამკვიდრების ასეთი ფორმაც არსებობსო.

ასე რომ, დედა მშვიდად იყო, ნუციკოს მამა კარგა ხანია მოსკოვში ცხოვრობდა – რუს საყვარელთან იქ შვილიც გაეჩინა – ღრმადმორწმუნე ბებიას ნუციკო შეპყრობილად მიაჩნდა, ეს უკანასკნელი კი, ჭეშმარიტად ბედნიერად თავს მხოლოდ საპირფარეშოში გრძნობდა.

ნუციკოს მონოლოგები ერთი სართულით ქვემოთ მცხოვრებ კაკუჩასაც ესმოდა, მარტოხელა, თბილისის სამოქალაქო ომის ვეტერანს, ცალხელა და ბრაზიან ბერბიჭას, რომელიც იმდენ იარაღს მალავდა სახლში, ძველი ტახტის ქვეშ, რომ დაჭერის შემთხვევაში, მთელ ცხოვრებას ციხეში გაატარებდა.

ნუციკოს ხმა მის ტუალეტშიც მშვენივრად ისმოდა და ამიტომ კაკუჩა იმასაც ფიქრობდა, ერთხელაც იქნება, კანალიზაციის მილს გავხეთქავ, გავყოფ თოფის ლულას და მერე ვნახავ, როგორ ჭიკჭიკსაც შეძლებსო.

ტულეტში შესულს, კონცენტრირება საშინლად უჭირდა, თუკი ხმები შემოდოდა გარედან. ამიტომ, სადაც კი შეეძლო, წყალს მოუშვებდა ხოლმე და ცდილობდა წყლის ხმაურში მაინც მოეპოვებინა სიმშვიდე, მაგრამ ამაოდ – ნუციკოს ხმა მაინც აღწევდა.

ცხოვრება მომიშხამა ამ ლაწირაკმაო, ამბობდა, თუმცა ნუციკოსათვის არაფერი უთქვამს, მერე დედამისმა და ბებიამისმა არ წამომამახონ, რატო იბრძოდი სამოქალაქო ომშიო. ასე რომ, თავისთვის, ჩუმად ბრაზობდა.

ხოლო დემური, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველმა ნუციკომ შენიშნა, დაელოდა დაქალთა რეაქციას და მხოლოდ მას მერე, რაც ნინუკამაც დაინახა დემური, ხელი დაუქნია გაფითრებულ და კუჭამლილ ყმაწვილს. და აი, გადაკოცნების ჯერიც დადგა.

ჯერ ნინჩომ გადაკოცნა დემური, მერე... თუმცა, მერე ვინ გადაკოცნა, დემურს აღარც კი ახსოვდა. მუცლის ტკივილმაც გაუარა და ხასიათიც გამოუკეთდა. ნინჩო უკვე სხვებს კოცნიდა და დემურმა კვლავ სახლში მოინდომა წასვლა – უკვე იმდენად ბედნიერი იყო ნინჩოსთან შეხვედრით და ამ გადაკოცნით, რომ დღეისათვის ესეც ეყოფოდა.

“მეტი არ მინდა, ამითაც კმაყოფილი ვარ, რამე არ გაფუჭდეს, არ დავითარსო, ზეგამდე ამას გავიხსენებ, მერე კი ვნახოთ...” დემურის ძმაკაცები – ანდრიკო და ხურციძე – ნუციკოს, ლელუკას და ნინუკას კოცნიდნენ, ნინჩო კი სკოლასთან გაჩერებულ მანქანასთან მისულიყო და იქიდან გადმოსულ, მრავალ ფურთხის გუბეთა დამყენებელ, ნადრიკუჩას ძმაკაცს, ფანჩულას ესაუბრებოდა. მალე პეტრიაშვილის ქუჩა სხვადასხვა ასაკის ბავშვებით გაივსო. ყველა ნინჩოს უყურებდა.

ზარი მეექვსე

– ძალიანაც ლამაზი კი არაა, უბრალოდ, ისეთი... კარგი, სიმპათიური გოგოა... მაღალი, ცოცხალი...

– უიმე, იცი, რა იყო დედამისი მაგის ასაკში!.. გასაგიჟებელი რაღაც.

– ესეც კაი გოგოა, კაცო!.. ვინ უყვარსო?

– რა ვიცი მე, ვინ უყვარს!..

– ლომიძე ამბობდა იმ დღეს, შეყვარებული ციხეში უზისო.

– მაგის პატრონს უბედურს! რამ გადარია ეს ბავშვები!..

– ხუტა რო იყო, საწყალი, ვერელი... ციროზით რო მოკვდა, მაგისი ბიჭი. ბებია თუ დეიდა რო ზრდის...

– ოთრიკუჩა?.. კი არა და, ისა... რა ქვია?.. ნადრიკუჩა!.. ნადრიკუჩაზე ამბობ?.. ჩვენთან რო სწავლობდა, დეგენერატი!.. ხუტას ბიჭი!.. ხუტა იყო ჩემი კოტეს თანაკურსელი, უწყნარესი,

უჩუმესი და უთავმდაბლესი ბიჭი, მაგრამ ლოთი... სკდებოდა, იმდენს სვამდა... ცოლის დამ გაუზარდა შვილი...

ასე საუბრობდნენ სამასწავლებლოში პედაგოგი ქალები და სწრაფ-სწრაფად ეწეოდნენ სიგარეტს – ზარის დარეკვამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა.

ეს სკოლა, აწ, რატომღაც, ლიცეუმად წოდებული, ოდესღაც ჩვეულებრივი საშუალო სკოლა იყო, დაბზარული კედლებით, დამტვრეული მერხებით, ბინძური ტუალეტებითა და ასი წლის რუსი დარაჯით.

სიმართლე რომ ითქვას, სახელის გარდა, ამ სკოლაში ბევრი არც არაფერი შეცვლილა – ტუალეტები ისევ ისეთი ბინძური იყო, როგორც ადრე, კედლები კი კიდევ უფრო დაბზარულიყო. მხოლოდ მერხები განაახლეს და ასი წლის რუსი დარაჯი ბრგე, სოფლიდან ჩამოსული, ქამარზე იარაღმიმაგრებული ყმაწვილით შეცვალეს. რეფორმა ბოლო კლასელებსაც შეეხო. ბავშვებს სექსოლოგიის გაკვეთილები დაუმატეს, სექსოლოგიის მასწავლებელი კი სამოცდაათ წელს მიღწეული ვლადიმერ დოჩია გახლდათ.

ვლადიმერ დოჩია ოდესღაც პარტ-ისტორიის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მერე – საბჭოეთის დაშლის შემდეგ – რელიგიის ისტორიას ასწავლიდა სტუდენტებს, ხოლო ამჟამად უნივერსიტეტიდან სკოლაში გადმოსულიყო და სექსოლოგიის გაკვეთილებს უტარებდა ბავშვებს.

ვლადიმერ დოჩია ერთადერთი მასწავლებელი იყო მთელ სკოლაში, რომელიც ბავშვებთან არ მეგობრობდა. დანარჩენი მასწავლებლები, უმეტესად ქალები, მოწაფეებთან, შეიძლება ითქვას, რომ დაქალობდნენ და მმაკაცობდნენ კიდევ. ჭორაობდნენ, საქმეებს არჩევდნენ, ცდილობდნენ, არაფერი დაემალათ ერთმანეთისთვის...

ბავშვებს ნინჩოსა და დემურის დამრიგებელი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქეთევან გობეჯიშვილიც ემეგობრებოდა, რომლის გაკვეთილებიც, როგორც წესი, მართლმადიდებლობის აგიტაციით იწყებოდა ხოლმე.

სწორედ ქეთო მასმა მოუყვანა ბავშვებს სკოლაში მამა თორნიკე, რომელმაც ბავშვებს სთხოვა, ოთხშაბათობით და პარასკეობით ბევრს ნუ იცინებთ, მარხვა არისო. ეს ის ქეთო მასი იყო, “მოზი-დიკის” წაკითხვა რომ აუკრძალა თავის მოწაფეებს, თუკი ვეშაპებზე გაინტერესებთ ამბები, გადაშალეთ ბიბლია, მოძებნეთ თავი ვეშაპის ღრუში მოღვაწე წინასწარმეტყველი იონას შესახებ და არათუ მხოლოდ მეტს გაიგებთ ვეშაპთა შესახებ, სულიერადაც გაიზრდებითო.

ქეთო მასს მალე ცოლად მოიყვანდა სკოლის დარაჯად მდგომი, სოფლიდან ჩამოსული, ქამარზე იარაღ-მიმაგრებული, ბრგე და ტანადი მერაბი, თუმცა, ამის შესახებ ჯერჯერობით არც ერთმა იცოდა და არც მეორემ.

ქეთო მასი თავის აღსაზრდელებს პირველი კლასიდან მოჰყვებოდა, კარგად იცნობდა თითოეული მათგანის ხასიათს და მარტო პედაგოგი კი არა, მათი მეორე დედაც იყო.

თავადაც პატარა გახლდათ, სულ რაღაც ოცდახუთი-ოცდაექვსი წლისა, როდესაც ექსკურსიაზე წაყვანილ პირველკლასელებს, მოსაქმება-განტვირთვის შემდეგ, თუნთულა ტაკოებს ჰბანდა.

მის მიერ ტაკოგანბანილთა შორის ნინჩოც იყო, ლელუკაც, ნინუკაც, ანდრიკოც, ხურციძეცა და სხვანიც. მხოლოდ ნუციკო სურმავა ჯახირობდა დაუხმარებლად, რაკი ბაღლობიდანვე უზომოდ მორცხვი და ჯიუტი გახლდათ. დემური, რომელიც ქეთოს კლასში, და საერთოდ, ლიცეუმში, სხვა სკოლიდან სამი წლის წინ გადმოსულიყო, ქეთო მასს ნაკლებად უყვარდა. მისი, ქეთოს, გავლენის ქვეშ, სხვა ბავშვებივით არ ექცეოდა, ქეთო მასის მითითების გარეშე კითხულობდა წიგნებს და მშობლიური ლიტერატურის ცოდნით კლასის დამრიგებელს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა.

დემური თავიდან არც ბავშვებს უყვარდათ. მერე და მერე შეიჩვიეს, როცა დემურს ანდრიკო და ხურციძე დაუმეგობრდნენ. თუმცა, დემურის განცხადებამ, ახალი სახელი, ბუბა მქვიაო, ამ უკანასკნელსა და ბავშვებს შორის კვლავ დიდი უფსკრული წარმოშვა. დემური კიდეც ჰო, მაგრამ ბუბას შეჩვევა უკვე მეტისმეტი იყო!

უცხო ენას, ინგლისურს, ბავშვებს წითელთმიანი ინგლისელი ქალი, ჯენიფერ ბარდშოუ ასწავლიდა. ეს მსუქანი ქალბატონი, რომელიც სრულიად დაუდგენელი ასაკისა გახლდათ, არათუ კოლეგებსა და მოსწავლეებს, დაბზარულ კედლებზე მლოღავ მწერებსაც კი უღიმოდა.

ჯენიფერი, წესით, ერთ წელიწადში სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ განგებას სხვაგვარად ენება... ჯენიფერ ბარდშოუ მალე ცოლად გაჰყვებოდა სკოლის კართან მოდარაჯე, სოფლიდან ჩამოსულ, ქამარზე იარაღმიმაგრებულ, ბრგე და მხარბეჭიან მერაბს, რომელიც ინგლისელი ქალის ცოლად მოყვანამდე რამდენიმე კვირით ადრე პანდურს ამოჰკრავდა საბრალო ქეთო მასს.

ზარი მეშვიდე

– როგორა ხართ, ცუნცულებო? – კლასში შემოსვლისთანავე იკითხა გაღიმებულმა ქეთო მასმა, და ამ სამ თვეში კიდეც უფრო გაზრდილხართო, ესეც დააყოლა.

მართალი იყო. გოგონები ქალებს დამსგავსებოდნენ. ბიჭები – აქლემებს. ანდრიკოს, მაგალითად, წვერიც კი ამოსვლოდა. სხვათა შორის, რა დასამალია და, პაწია უღვაში ნუციკო სურმავასაც ჰქონდა. ბიჭები, დემურის, ანდრიკოსა და ხურციძის გარდა, მეტისმეტად ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად დამსგავსებოდნენ კაცებს – აღარ ცელქობდნენ, როგორც წინა წლებში, აღარ ბღაოდნენ უაზროდ და აღარც ჩანთებს ესროდნენ ერთმანეთს...

ანდრიკო და ხურციძე, რომელნიც თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში კომპიუტერული თამაშებით ირთობდნენ თავს, არც ბავშვებს ჰგავდნენ და არც, მით უმეტეს, კაცებს. ლაპარაკობდნენ სწრაფად, სხაპასხუპით, ერთად დადიოდნენ ინგლისურის კერძო მასწავლებელთან და ერთი და იგივე ფილმები, გოგონები და კერძეული მოსწონდათ.

დემური, მათთან შედარებით, ჭეშმარიტი კონსერვატორი იყო – იცოდა უამრავი ქართული ლექსი, რითაც ვერც ანდრიკო დაიკვეხნიდა და ვერც ხურციძე; კომპიუტერს ეჭვის თვალთ უცქერდა და ინგლისურზე უკეთ რუსული იცოდა, რაკი დედამისი, თამარ ჩიჯავაძე, დილიდან საღამომდე ამას იმეორებდა, ეს ბავშვები – დემურის თაობას გულისმობდა – უსათუოდ დაიღუპებიან, თუკი დოსტოევსკის და ტოლსტოის ორიგინალში არ წაიკითხავენო.

მიუხედავად იმისა, რომ ანდრიკო და ხურციძე არაფრით არ ჰგავდნენ დემურს, ეს უკანასკნელი მაინც ამ ორ უცნაურ ყმაწვილს დაუმეგობრდა, რადგან არც ესენი ჰგავდნენ იმ მოულოდნელად დადინჯებულ და მოძველბიჭო ჯეელებს, ასე რომ ანცობდნენ წინა წლებში და წელს აქლემებს რომ დამსგავსებოდნენ...

“ჩვენ ამათ დებილები ვგონივართ”, – ფიქრობდა ხოლმე მოძველბიჭო ჯეელების შემყურე დემური.

– აბაკელია, აბესაძე, ანთაძე, გუგუშვილი... ქეთო მასი სიას კითხულობდა.

ბავშვები ლირიკულ სატელეფონო გზავნილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. მობილური ტელეფონი კლასში, თითქმის, ყველას ჰქონდა. “დებილთა” სამეულიდან კი მხოლოდ ერთს – ხურციძეს. სწორედ ხურციძემ გაბედა და დემურის მაგივრად მისწერა ნინჩოს სასოწარკვეთილებითა და ტანჯვით აღსავსე, სიყვარულით გაჯერებული, უგულწრფელესი ტექსტი:

აუ, მაგრა მევასები-ო.

დემურს კუჭის ტკვილმა ისევ შეახსენა თავი. შენ ვინ გეკითხებოდაო, ჩურჩულით ეჩხუბებოდა ხურციძეს, ან ეს რა სიტყვაა – დაიკოო, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ნეტავი, ვერ მიხვდეს, ვინ მიწერაო!

უგოიმესი ბიჭი ხარო, პასუხობდა დემურს ხურციძე, გოგოებს სწორედ ამნაირად მოლაპარაკე ბიჭები მოწონთო.

ძაან მეწყინებაო, თავის მხრივ, არ ცხრებოდა დემური, თუ კიდევ გამიკეთებ ასეთ რამესო. სულელი ხარო, ერთვებოდა ანდრიკოც, ჯერ ერთი, რა იცის, ვინ უწერს და მეორეც, რომ მოგწონს, ოდესმე ხომ უნდა მიხვდესო. ისედაც ხვდებაო, ბრაზობდა დემური, ხურციძე კი ბოროტად იღიმებოდა, ჩემ ფეხებს ხვდებაო.

უეცრად – ჰოი, სასწაულო! – ხურციძის ტელეფონი ოქროსფრად გაბრწყინდა, გზავნილი მოსულიყო, თანაც ნინჩოსაგან, დემურს კინაღამ კრუნჩხვები დაეწყო. კიდე მომწერ და მაგრა ინანებ, ძამიკო.

– უყვარხარ, ბიჭო! – რამდენადაც ეს შესაძლებელია, ჩურჩულით აღმოხდა ხურციძეს.

– ხურციძე! – დაიყვირა ქეთო მასმა, – ხმა! – და სიის ამოკითხვა განაგრძო.

– მიდი, მიდი, კიდე მიწერე! – აღელდა ანდრიკოც.

– თქვენ, ბიჭო, გიჟები ხო არა ხართ! – დემურს კვლავ კუჭი ასტკივდა, – მომწერ და ინანებო, ხო ნახეთ!

– ეგენი ეგრე ლაპარაკობენ, – უკან არ იხევდა ხურციძე, – ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ...

დემური უშედეგოდ შეეცადა ხურციძისთვის ტელეფონის წართმევას, ანდრიკოც ხურციძის მხარეს იყო და ორივეს ველარ მოერია.

ხურციძე დემურს ცალი ხელით იგერიებდა – თავისუფალი ხელით ნინჩოსთან გასაგზავნ ახალ წინადადებას თხზავდა.

თუ ვინმე ინანებს, ისევ შენ, დაია.

– ცოტა სოფლურად რო მივწერთ, უფრო დაევასები, ვიცი მე მაგათი ამბავი!

ხურციძე, სამწუხაროდ, უკვე ბოდავდა.

ადარც გზავნილი მოდიოდა ნინჩოსგან.

– ეხლა გაგიჟებს, – განაგრძობდა ხურციძე, – ნერვებს გიშლის. კი ბატონო, არც ჩვენ მივწერთ, ჩვენც ჩათლახები ვიქნებით.

ეს საშინელი სიტყვა, ჩათლახები, ხურციძეს მშობელი მამისგან ესწავლა. ბატონი გრიშა ხურციძე, ტელევიზორთან ჯდომისას, ხშირად იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზას:

“ეგრე არ არი, ამ ჩათლახებს როგორც ჰგონიათ!”

ბიჭები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ ნინჩოს, ცხადია, პირველ რიგში, ნადრიკუჩას გამო, – ხმადაბობებულნი და, როგორც ზემოთ ითქვა, გააქლემებულნი ნინჩოს რიგრიგობით ეუბნებოდნენ, რამე რო დაგჭირდეს, ხო იცი, აქა ვართო.

ლელუკამ სწორედ ამის შესახებ მისწერა ნინჩოს სენტიმენტალიზმით აღსავსე ტექსტი:

ძან საყვარლები არიან, აღარ მაიმუნობენ როგორც ადრე, თუმცა ჩხეიძეს ძველებურად ჩამოსდის ჟღვინტები. ღმერთო! ნეტავ კარგი ცოლები შეხვდეთ!

ნინჩოს ლელუკას პათეტიზმი არ გაკვირვებია და დაქალს შეკითხვით მიმართა:

როგორ გგონია, უკვე ქალებშიც დადიან?

ოჰ! – ნინჩოს გულუბრყვილობამ ლელუკა ფრიად გააოცა, რა საკვირველია დადიან, პუჰამ მითხრა, კოტრიკამეს საყვარელიც კი ჰყავსო, თურმე ვიღაც ბოზანდარა, მასზე ათი წლით უფროსი.

ნინჩომ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მოულოდნელად საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა:
ნადრიკუმას ციხეში ტელეფონი ექნება! EQNEBA

DEDდედაA! – ვითომ ძალიან გაუხარდა ლელუკას, – აი, ყველა ამომიწყდეს ვიცოდი, რომ დღეს რაღაც გამიხარდებოდა.

უეცრად, ქეთო მასმა კიდევ ერთხელ დასჭექა:

– გამორთეთ ეს ტელეფონები, თორემ გავალ და სულ რომ თავი მოიკლათ ხვეწნა-მუდართით, უკან მაინც არ შემოვალ!

მუქარამ გაჭრა, ბავშვებმა ისეთი სახეებით გამორთეს მობილურები, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ მათთვის.

ხოლო დემური იჯდა და ფიქრობდა:

“ნინჩოს შეყვარებული ჰყავს, ვიღაც არარაობა... რატომ ვარ მშვიდად? ან რატომ არ ვეჭვიანობ? იქნებ, ნინჩოს სიყვარული უნდა ავუხსნა? როგორ უნდა მოვაწონო თავი? ჯადო ხომ არ გავუკეთო? ღირსი კია...”

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და კლასში მუცელგაბერილი თეიკო აფაქიძე შემოვიდა. ფეხმძიმე თანაკლასელის დანახვაზე მთელი კლასი ახმაურდა, დემურს კი შხამიანმა აზრმა გაუელვა თავში:

“ნეტავი, ნინჩოს სექსი თუ ჰქონდა შეყვარებულთან?”

ზარის დარეკვის შემდეგ, გოგონები თეიკოს რკალად შემოერთყნენ. თეიკო თოთხმეტი წლის ასაკში გათხოვილიყო და ახლა ბავშვს ელოდებოდა.

– ცარცის ჭამის მეტს არაფერს ვაკეთებ, ცემენტიც ძაან მიყვარს...

ჰყვებოდა თეიკო, დემური კი ნუციკო სურმავას უტრიალებდა:

– ნუციკო, აუ, რაღაც მრცხვენია ამას რო გეკითხები, მაგრამ ვერ ვითმენ, არ ვიცი, რა დამემართა...

– გამოშტერდი, რა გჭირს?

– კაი, კაი... მერე გეტყვი...

– გაფიცებ, რა უნდა მითხრა?

– არა, არა... არაფერი... გეტყვი, რა... მერე.

ნუციკოსა და დემურს თვალი მოჰკრა ნინუკამ და როცა დემური, ანდრიკოსთან და ხურციძესთან ერთად პირველ სართულზე ჩავიდა, რატომღაც მთელ ხმაზე, გოგონების გასაგონად გამოაცხადა, ნუციკომ მაგარი საქმრო იშოვაო.

– რა შუაშია? – გაუკვირდა ნუციკოს და გაღიმებაც კი ვერ მოახერხა, სახლში მისვლისთანავე შეიკეტა სააბაზანოში და ჩხუბი დაუწყო ანარეკლს:

– ჰა-ჰა-ჰა, რა ნინუკა, მაგრა გამეცინა... მაგარი სასაცილო იყო, რა! ანუო, ნუციკოსო დემურზე კაი საქმრო არ შეხვდებო, ხო?... იმიტო, რო სქელი ვარ?... იმიტო, რო შენზე ჭკვიანი ვარ?... დედა მომიკვდეს, მკიდიია... სუ მკიდიია ეგეთი დაქალობა!.. ჯვარი კი არა მაქ შენზე დაწერილი!.. ჰაკა, რა!

მერე ნინუკას ხმით გასცა თავის თავს პასუხი:

– აუ, ნუც, საერთოდ არ მინდოდა შენი წყენინება, რაღაც დებილივით გამომივიდა, ბოდიშს გიხდი... ეხლა, იცოდე, ვიტყვებ!

მწვავე დიალოგს (თუ მონოლოგს) ნუციკო კვლავ თავისი ხმით ასრულებდა:

– მაგ ცრემლებით ბებიაშენი მარო მოატყუე!

რაც შეეხება თავად ნუციკოს ბებიას, ეს ქალბატონი ტუალეტის კართან იდგა და მერამდენედ ისახავდა პირჯვარს, ღმერთო, განაგდე სატანა ჩემი შვილიშვილის, ჩემი პუტკუნა ნუციკოს სულიდანო.

დემური კი იტანჯებოდა, შხამიანი შეკითხვა კვლავ გონებაში უტრიალებდა. ადრე ხომ არ ეჭვიანობდა? ახლა რა ჯანდაბა ეტაკა!

ზარი მერვე

– რა აწუხებს ჩემს დედუკებს? რას მიმაღავს? რატომ არ მეჭორავება?

თამარ ჩიჯავაძემ დემურს საფეთქელზე აკოცა, მერე შუბლზეც დაადო ხელი, სიცხე ხომ არა აქვსო, მაგრამ რაკი დემური ავად არ იყო – თუმც, ავადმყოფური იერი კი ჰქონდა – შვილს ცხელი ჩაის დალევა აღარ აიძულა და შუბლზე ჩამოშლილი თმა ხელებით გადაუვარცხნა.

დემური საწოლზე წამოწოლილიყო, თამარ ჩიჯავაძეს კი შვილთან საუბარი ეწადა. თამარ ჩიჯავაძე ჭკვიანი და ძლიერი ქალი გახლდათ, ქმარსაც შვილივით უვლიდა. აკი ამიტომაც ამბობდა ხოლმე, ორი შვილი მყავსო.

მიუხედავად იმისა, რომ თამარ ჩიჯავაძე დიპლომირებული პედიატრი გახლდათ, ექიმბაშობას არ თაკილობდა და ბავშვებს თავისი მეთოდებითაც წამლობდა.

ერთი ოცნება ჰქონდა: უნდოდა ისეთი ავადმყოფობა აღმოეჩინა, რომელსაც მერე მისი სახელი დაერქმებოდა, როგორც, მაგალითად, ბოტკინს – ბოტკინი. ოცნებობდა, ხალხს ახალი სწეულებისთვის, რომლის აღმომჩენიც თავად იქნებოდა, “ჩიჯავაძე” ეწოდებინა და მისი გვარი ისევე მოეხადათ, როგორც “წითელა”, ანაც “ყბაყურა”.

“ჩიჯავაძე დამემართა, ჩიჯავაძე შემეყარა, ჩიჯავაძე მოხდილი მაქვს”, – ეს სიტყვები ძილშიც კი ჩაესმოდა და უცნაურად ბანალური ოცნების გამო ოდნავადაც კი არ გრძნობდა თავს უხერხულად. პირიქით, უხაროდა კიდევ, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, კვლავ ასეთი ბალღური ოცნებები რომ ჰქონდა... თამარ ჩიჯავაძე დემურის დღიური იყო.

ასევე, პირადი ფსიქოლოგი და, ასე განსაჯეთ, პირადი აღმსარებელიც. სწეულებას, რომელიც მისგანვე წარმოიშვა, დემური ერქვა. რაც უფრო იზრდებოდა დემური, მით უფრო ღელავდა თამარ ჩიჯავაძეც. აგრერიგად გადაბმული და მიწეპებული დედა-შვილი თბილის-ქალაქს ბევრი არც უნახავს. რაც დემურს უხაროდა, ის უხაროდა თამარსაც. რაც დემურს სწყინდა, დედამისსაც ის აღონებდა... თამარს, როგორც დედას, ერთადერთი ნაკლი ჰქონდა: გოგონები სძულდა. უფრო სწორად, ის გოგონები, რომელნიც დემურს მოსწონდა. თამარი დემურზე ეჭვიანობდა.

ჯერ იყო და, საბავშვო ბაღში სიარულის დროს დემურს ერთი ელამი გოგო მოეწონა, ლიკა. ვერაფრით აიტანა ეს საბრალო ლიკა თამარ ჩიჯავაძემ!

მერე დემურს მეზობელი თინანო ჩაუვარდა გულში და თამარს ეს თინანოც უმალ შეზიზღდა! ნინჩო ყველაზე მეტად სძულდა, რაკი ეს გოგონა დემურის პირველი სერიოზული გატაცება გახლდათ. ეს შტერი გოგო, ამბობდა, დემურს ანდრიკომ და ხურციბემ მოაწონესო.

ახლაც დიდი სიამოვნებით გალანძღავდა ნინჩოს, მაგრამ იცოდა, დემური არ მოუსმენდა, ამიტომ შვილს თვალეში ჩახედა. დემურმა თავი კედლისკენ მიატრიალა, ლაპარაკის ხასიათზე არ იყო.

– სტატიებს გვიწერენ, გვლანძღვენ, – საუბარი წამოიწყო თამარმა, – მართლმადიდებელ ინვალიდთა ასოციაცია გვლანძღავს, რატომ უნდა იყოს თბილისში ბაპტისტთა სამკურნალო დაწესებულებაო. კარგად არც ახლა ვართ, მაგრამ მთლად რომ ვიხოცებოდეთ, იქ სამკურნალოდ მაინც არ მივალთო... მართალია, დემურს ლაპარაკი ეზარებოდა, მაგრამ დედამისს მაინც შეეკითხა:

– რა უნდათ?

– რა ვიცი, დედიკო, – გამოცოცხლდა თამარი, რაკი დემურმა მასთან ლაპარაკი იწება, – ბნელები არიან, ბაპტისტები სატანისტები ჰგონიათ... თანაც, რა შუაშია ჩვენი საავადმყოფო! სად ჩვენ და სად რელიგია? გვიწერენ, რატომ უმღერით ავადმყოფს ოპერაციის წინო? კაცო, იმიტომ ვუმღერით, რომ დებულებაში ასე გვიწერია... არ ვიმღერებთ და არც ხელფასს მოგვცემენ... ბოლოს იმასაც წერენ, ექიმინ-ავადმყოფიანად ყველანი ჯოჯოხეთში მოხვდებიანო... გესმის, რა დონეა!

ამჯერად, დემურს არაფერი უკითხავს. ცოტაც და ამოიოხრებდა, მაგრამ დედამისმა დაასწრო.

– დედიკო, – ამოიოხრა თამარ ჩიჯავაძემ, – მითხარი, რაზე ღელავ? თუ გინდა, გავალ და თხუთმეტ წუთში შემოვალ, მერე მითხარი... რა ხდება, დედუკა? ხო იცი, რო მე შენიანი ვარ... დემური ვერ ხვდებოდა, რა უნდა მოეყოლა – ის რომ ნინჩოს ვიღაც ნადრიკუჩა

მოსწონდა, თუ პირდაპირ ეკითხა ცნობისმოყვარე დედისთვის: როგორ ფიქრობდა, არის თუ არა ნინჩო ქალიშვილი?

დემურს თვითონაც არ ესმოდა, რა სჭირდა, რატომ აღარ უნდოდა ჭორაობა დედასთან? გაიზარდა, თუ დედა დაუბერდა? დემური ნუციკოსთან საუბარს იხსენებდა. ბრაზობდა, რეები ვებოდიანო. შეცდომას შეცდომა მოსდევდა.

– რატომ გინდა, რომ ბუბა დაგიძახოთ? ესე იგი, ერთფეროვნება მოგბეზრდა, ძველი სახელი, ძველი ცხოვრება... – ფსიქოლოგობდა თამარ ჩიჯავაძე, – ანუ, გაღიზიანებული ხარ, უკმაყოფილო... რატომ, დედიკო?... მოვსი, ძილის წინ?

თამარისთვის ჯერ კიდევ ბავშვი იყო დემური.

შარშანდელი თოთხმეტი ივნისი გაახსენდა დემურს, დედამისი ტუალეტის კარზე რომ უბრაზუნებდა, ამდენჯერ სააბაზანოში რატომ შედიხარო!

ღიახ, რიცხვიც კი დაამახსოვრდა – თოთხმეტი ივნისი!

დაამახსოვრდებოდა, აბა რა! თოთხმეტი ივნისს ხომ ნინჩო დაიბადა.

– მახსოვს, ხუთი წლის იყავი და ეზოში ჩაგიშვი, – ღიმილით ჰყვებოდა თამარ ჩიჯავაძე, – მეზობელი გვყავდა, სოსო, იდიოტი ნამდვილი, ხოდა იმის შვილს ეთამაშებოდი. უცბად, რაღაცაზე გაგაბრაზა და ჩხუბი დაიწყო, იმან დაგარტყა, შენც დაარტყი და... მოკლედ, აატირე. ამოვარდა ეს იდიოტი სოსო ჩემთან, შენმა ბიჭმა შვილი გამიღაბაო. იცი, გადავირიე... მე ვუთხარი, სოსო, გენაცვალე, ძალიან გთხოვ, კაცების ჩხუბში ნუ ჩამრევ-მეთქი. ესენი არიან კაცებიო? – ისიც გადაირია, – ორი დღის წინ ისწავლეს სიარულიო... ღიახაც-მეთქი, კაცები არიან!.. ერთი სიტყვით, ჩვენც ვიჩხუბეთ...

თამარ ჩიჯავაძეს დაავიწყდა, რატომ გადაწყვიტა ამ ამბის მოყოლა, სულ ცოტა ხნით ჩაფიქრდა, ჩაახველა და საუბარი განაგრძო:

– მაშინ, მართლა პატარა იყავი, დედიკო, და ეხლა, როცა დავაჟკაცდი, აღუასავით ჩაიგდე ენა? თუ ასეა, უნდა იტყვიო კიდევ... ძუძუს ჭამაც ხომ არ გინდა? თამარ ჩიჯავაძე უკვე სახიფათო ხდებოდა, ამიტომ დემურმა ხმის ამოღება გადაწყვიტა:

– დე, – თქვა მან, – როდის დაარქმევენ შენს სახელს რამე ავადმყოფობას?

– მაშაყირებ, არა? – გაიცინა თამარმა, – ჩემთვის ვმამიმუნობ რაღაცას, შენდა მაკლიხარ... ზარმაცი რო არ ვიყო, შესაძლებლობები რო მქონდეს და შენ რო არ მყავდე ფეხზე დასაყენებელი, კი მოვიცლიდი და მივაგნებდი რამე სწეულებას... უეცრად, კარი გაიღო და ოთახში დემურის მამა, ბესიკ ჩხიკვიშვილი შემოვარდა, მაგრამ მაშინვე გავარდა უკან. მერე დაიყვირა:

– კარი ღია დამიტოვეთ, თქვე შობელმაღლებო!

თამარ ჩიჯავაძეც ზანტად წამოიწია, კარი გამოაღო. ოთახში შურდულივით შემოვარდა ბესიკ ჩხიკვიშვილი და შვილის საწოლის კიდესთან შეყოვნდა. საქმე იმაში იყო, რომ ბესიკ ჩხიკვიშვილი, ეს უწესიერესი და უპატიოსნესი კაცი, წიკიანი გახლდათ. როგორც იტყვიან, გაქანებული ნევროზი ჰქონდა, თუმცა, მკურნალობას არ აპირებდა, ეს წიკები რომ გამიქრეს, მეორე დღესვე მოვკვდებო, ამბობდა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფატალისტიც იყო). ასე რომ, თვითონაც იტანჯებოდა და სხვებსაც ტანჯავდა. იღვიძებდა, მაგალითად, დილის სამ საათზე და ცოლსაც აღვიძებდა, თქვი გამარჯობა ჩვიდმეტჯერ, თორემ ვერც მე დავიძინებ და არც შენ დაგაძინებო. ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, მაინც არ მოგეშვებოდა. თამარ ჩიჯავაძე წვალებით ფხიზლდებოდა და წიკიან მეუღლეს ძილისგან დაბოხებული ხმით ესალმებოდა. ზოგჯერ, თვლა ერეოდა და ჩვიდმეტი გამარჯობის მაგიერ თვრამეტ გამარჯობას ამბობდა, – “თავიდან, თავიდან დაიწყე!” – ყვიროდა ხოლმე ასეთ დროს ბესიკ ჩხიკვიშვილი.

ნევროზის გამო ტანსაცმლის ჩაცმაც უჭირდა. გაჰყოფდა, ვთქვათ, ფეხს შარვლის ტოტში და მაშინვე უკან ამოჰყოფდა, მერე კიდევ რამდენჯერმე ცდიდა იმავეს და ბოლოს თამარს მოუხმობდა საშველად, მიშველე, მგონი, ვკვდებო. დღეში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც კვდებოდა ბესიკ ჩხიკვიშვილი. სწორედ წიკიანობის გამო ხატავდა ამდენ ძროხას. უნდოდა, დავუშვათ, ერთი ძროხის დახატვა, მაგრამ ნერვები ეწეწებოდა და ათ, ოც და, რიგ შემთხვევაში, სამოც ძროხას ხატავდა. ნევროზის გამო, ერთ დროს, აბსტრაქციონისტიც იყო – ტილოს საღებავით თხაპნიდა, მერე კი დანიტაც სერავდა. შვილი რომ გაუჩნდა, როგორც იქნა, თავი ხელში აიყვანა და პეიზაჟების ხატვას შეუდგა, სადაც ძროხების სიმრავლის გამო არც ბალახი ჩანდა წესიერად და არც ლურჯი ცა.

სხვაფრივ, ბესიკ ჩხიკვიშვილს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა – ცოტ-ცოტას კი სვამდა, მაგრამ სიმთვრალეში კვლავ ადამიანად რჩებოდა, მხოლოდ ჭიქას უჭახუნებდა ხოლმე მრავალჯერ... ვერ იტანდა კარებებს. კაკუნის ხმაზე გული უწუხდებოდა. ეზოდან ყვიროდა, მოვედიო, რათა კარი დაკეტილი არ დახვედროდა.

თამარ ჩიჯავაძე წინათ კი ბრაზობდა, როცა ცოლად გაჰყვა ბესიკ ჩხიკვიშვილს, თუ მკურნალობას არ დაიწყებ, გაგშორდებიო, მაგრამ რაკი ჯიუტი ქმარი ვერაფრით დაიყოლია, მერე მის წიკებს თავადაც შეეჩვია და გამარჯობას, გამთენიისას, იმდენჯერ ამბობდა, რამდენჯერაც მის ახირებულ მეუღლეს უნდოდა.

ახლაც, სულ ცოტა ხნით შეყოვნდა შვილის საწოლთან, ცოლს ლოყაზე აკოცა, დემურს თვალი ჩაუკრა და მოულოდნელად შემფოთებული გამომეტყველება მიიღო:

– ავად ხომ არაა?

– არ ამბობს. – გაუღიმა მეუღლეს თამარმა.

– შეყვარებულია? – გაუღიმა ბესიკმაც, ხოლო დემური გაბრაზდა:

– თავი დამანებეთ, რა!

– დაანებე, ქალო, თავი! – კვლავ ღიმილით გაუბრაზდა ბესიკი მეუღლეს და უეცრად ისევ შემფოთებული გამომეტყველება მიიღო, – თქვი ხუთჯერ: ასპირინი.

– ასპირინი, ასპირინი, ასპირინი, ასპირინი, ასპირინი, – უმაღლვე აღასრულა ქმრის ბრძანება თამარმა.

– არ ვჭამოთ? – გაუხარდა ბესიკს და შურდულივით გავარდა შვილის ოთახიდან.

“მეზიზღება ორივე, დედაჩემიც და მამაჩემიც”, – გაიფიქრა დემურმა და წარმოიდგინა, როგორ კოცნიდა ნინჩო ვიღაც ნადრიკუჩას.

თამარ ჩიჯავაძე სიყვარულით შესცქეროდა შხამიანი ფიქრებისგან გამწარებულ დემურს.

ზარი მეცხრე

გეგონებოდა, მამა თორნიკეს დემური ჩაუსახლდა სულშიო, მოძღვარი ნინჩოს ისეთ შეკითხვებს უსვამდა.

ქეთო მასმა თითქმის მთელი კლასი ეკლესიაში წაიყვანა და მკაცრად გამოუცხადა ბავშვებს, თუკი აღსარებას არ იტყვიო, ჩემგან კარგ ნიშნებს ვერ ეღირსებითო.

ნინჩო თავსაბურავშიც მშვენიერი სანახავი იყო, ხოლო ლელუკა საერთოდ არ შემოუშვეს ეკლესიაში – შარვალი ეცვა. ქეთო მასი განრისხდა, ხო იცოდი, რო ეკლესიაში უნდა წამოვსულიყავით, შარვალი რატომ ჩაიცვიო. ლელუკას თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ ტირილი არ დაუწყია. ნუციკომ უთხრა, სურმავამ, შარვალი არ მაცვია, მაგრამ ეკლესიაში, შენი ხათრით, არც მე შევალო.

ძირითადად გოგონები იყვნენ. ბიჭებს რატომღაც რცხვენოდათ გოგონებთან ერთად ლოცვა. ნინუკა, რომელიც რელიგიური ბავშვი გახლდათ, ძალიან ღელავდა. საქმე იმაში იყო, რომ აგვისტოში, მარიამობის მარხვის დროს, მამა თორნიკეს მისთვის კურთხევა უნდა მიეცა საცურაო კოსტიუმის, ანუ იგივე კუპალნიკის ჩაცმაზე, მაგრამ ნინუკამ თავხედობა გამოიჩინა და არათუ მხოლოდ კუპალნიკი ჩაიცვა კურთხევის გარეშე, მარხვაც დაარღვია და ახლა საშინლად ღელავდა – ნეტავ, საერთოდ არ მემარხულაო.

ნინჩო აღსარებას პირველად ამბობდა. მამა თორნიკე, რომელიც გულთბილი და შეუვალი კაცი გახლდათ, ზღვარსგადასული ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

– მამაშენი ვინაა? – ჯერ ეს ჰკითხა.

მოჭიდავე იყო, უპასუხა ნინჩომ, კარლო ღვანფერიძე ჰქვიაო.

– არ ვიცნობ, – ჩაილაპარაკა მამა თორნიკემ, – ფულს რითი შოულობს?

არ ვიციო, დაიბნა ნინჩო, რა ყოფილა ეს აღსარებაო, ესეც კი იფიქრა. რაღაც ბიზნესი აქვს ძმაკაცთან ერთადო.

– დედა დიასახლისია? – დაკითხვა განაგრძო მამა თორნიკემ.

– დიახ, – მორჩილად უპასუხა ნინჩომ, – უნივერსიტეტში მუშაობდა ადრე.

მამა თორნიკემ, რატომღაც, პირჯვარი გამოისახა.

ნინჩომ გაიფიქრა, უნივერსიტეტი არ უნდა მეხსენებინაო.

– რუსი ხომ არაა?

– ვინ? – კიდევ უფრო დაიბნა ნინჩო, – დედაჩემი?.. არა, ქართველია.

– ქერა რატო ხარ? – გაეღიმა მოძღვარს, თუმცა მალევე გაბრაზდა, – თმას ხომ არ იღებავ, ღმერთს ხომ არა სცოდავ?

– არა, არა, – ნინჩომ კინაღამ ტირილი დაიწყო, – ჩემი თმაა... ნამდვილი... ბებია მყავს ბელორუსი... მამა თორნიკე ისევ კეთილი გახდა:

– უკვე დიდი გოგო ხარ, აღსარებას კი პირველად ამბობ, არა გრცხვენია?

ნინჩო გაწითლდა, ტუჩიც მოიკვნიტა.

– დილა-საღამოს ლოცულობ?

ნინჩომ თავი დაუქნია.

– ცუდ სიტყვებს ამბობ?

– ცოტას... – მოიტყუა ნინჩომ.

– გათხოვილიც ხო არა ხარ, შვილო?

ნინჩომ თავი გააქნია.

– რა დროს შენი გათხოვებაა, ერთი ბეწო ხარ... ადრე არ ვეკითხებოდით ხოლმე, მაგრამ ეხლა დრო შეიცვალა, შვილო, ვალდებული ვარ, უნდა გკითხო, არ გეწყინოს... შეყვარებული... უფრო სწორად, ისა... ბოიფრენდი თუ გყავს?

– კი, – გაუკვირდა ნინჩოს, – ციხეში ზის.

– რა ქვია?

– ნადრიკუჩა... თემურიკო ნადარეიშვილი.

მამაო ჩაფიქრდა. – არა, – თქვა ბოლოს, – არ ვიცნობ, – და ისევ გაბრაზდა, – რამე ხომ არ გქონდათ, ხომ არ წაგძლია?

– არა, არა! – შეეშინდა ნინჩოს, – უბრალოდ... დავდივართ.

– ჯვრისწერამდე არ შეიძლება!

– აუ, – გულწრფელად აღმოხდა ნინჩოს, – ვიცი რა, მამაო... ნეტავ, საბრალო დემურს გაეგონა ეს, ხომ დამშვიდდებოდა!

– კოცნაც ითაკილე, შვილო, ჯვრისწერამდე ეგეც არ ვარგა! – კვლავ გაკეთილშობილდა მამა თორნიკე, – ისე, მერეც ცოდვად ჩაგეთვლება, ფხიზლად იყავი... მერე ქადაგებას მოჰყვა:

– ამ ამერიკულმა ფილმებმა გადააგვარეს ბავშვები! რად აღარ უყურებთ, მაგალითად, ინდურ ფილმებს? რა, ცუდი სიმღერებია, უშნო ხალხია, თუ საინტერესო არაა? მთელი ბავშვობა ბორჯომში მაქვს გატარებული და ყოველ საღამოს კინოში დავდიოდი, ინდური ფილმების საყურებლად... კეთილს კეთილი ერქვა იქა და ბოროტს ბოროტი! ნეტავ, ეს ხალხი გაგვაქრისტიანებინა... მსახიობებიც მენანებიან, მაგრამ არც მაგათ ეშველებათ რამე, იმდენს იმაიმუნებენ, ბოლოს სულსაც წაიწყმედენ... მაგრამ ამერიკული ფილმების ცქერას, ისევ ინდური ფილმების ცქერა სჯობია... ბოლოს უთხრა:

– ღმერთმა შეგინდოს, – და ჰკითხა, – მთელი კლასი ხართ?

– მარტო გოგოები.

– კაი, გენაცვალე, – გაიღიმა მამა თორნიკემ, – შემოვიდეს შემდეგი.

“ეს, დედა მომიკვდეს, ცოტა გიჟი თუ არ იყოს”, – გაიფიქრა ნინჩომ, დაქალებს კი უთხრა, აუ, ძან მაგარი იყო.

ნინჩუკამ ქვითინ-ქვითინით ჩააბარა აღსარება მამა თორნიკეს, ღმერთი ჩვენი ცოდვების გამო ჯვარს აცვეს და მე კი, შუა მარხვაში, კურთხევის გარეშე ჩავიცვი კუპალნიკიო!

აღსარება ქეთო მასმაც თქვა, მას ფურცელზე ჩამოეწერა თავისი ცოდვები. ლელუკა კლასელებს ეკლესიის ეზოში ელოდებოდა.

ნუციკო სურმავა სახლში მისვლისთანავე ჩაიკეტა სააბაზანოში და ქეთო მასის ფანტომს ეკამათა, რა მოხდებოდა რომ ლელუკასაც ეთქვა აღსარება, შარვალი რა შუაშიაო.

მერე, მამა თორნიკეს გარდა, ყველამ ეკლესიის ეზოში მოიკალათა და ქეთო მასმაც სკოლის მოსწავლეთათვის ადაპტირებული ახალი აღთქმიდან წაიკითხა ორიოდე თავი. შიგადაშიგ, გოგონები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და ერთდროულად ამბობდნენ:

– აუ, იესო რა საყვარელია!

ზოგჯერ კი:

– შენა და, ფარისევლები რა ცუდები არიან... ნინუკა მთელ ხმაზე ყვიროდა, აუ, ეს იუდა, პროსტა, დიდი დამპალი ვინმე ყოფილაო.

ეკლესიის ეზოდან გასულებს სკოლის დარაჯი, ქამარზე იარაღმიმაგრებული, ბრგე და მხარბეჭიანი მერაბი შემოხვდათ, რომელიც ქეთო მასის გარდა ყველას მიესალმა. აქვე ვქირაობ ბინასო, ესეც დააყოლა და უხერხულობისგან კეფა გაუწითლდა. ქეთო მასს ლოყები ჰქონდა წითელი. მადლობა ღმერთსო, ფიქრობდა ქეთო, ბავშვები ვერაფერს მიხვდნენო.

ზარი მეათე

სახლში მისული ნინჩო კვლავ მამა თორნიკეზე და მის შვიტხვებზე ფიქრობდა. საერთოდ, დიდხანს ფიქრი არ სჩვეოდა, ფიქრი ისევე უზიზღებოდა, როგორც, ვთქვათ, მათემატიკის გაკვეთილზე ჯდომა. აფორიაქებული იყო.

“მამა თორნიკესთვის ტყუილი არ მითქვამს, – ფიქრობდა ნინჩო, – მე და ნადრიკუჩას, ყველა ამომიწყდეს, მართლა არაფერი გვქონია. უბრალოდ, პირველია, ვისაც ვაკოცე. მერე, როცა სახლში მოვედი, ორი საათი სარკეში ვიყურებოდი, ტუჩები ხომ არ დამებერა-მეთქი. სანამ დაიჭერდნენ, ძაან ბევრს ვკოცნაობდით. ნერვები მეშლებოდა! თან მინდოდა, თან არა... ერთხელ, ლელუკასთან ვიყავით, დაბადების დღეზე და აუ, პროსტა, ტვინი გამიბურღა, ცოლად გამომყევით, და, როგორც იცის ხოლმე, საყვარლად, შეჩემა, როდემდე უნდა ვიაროთ ასე სირებივითო. მერე ზემოთ ავედით, მეორე სართულზე – ლელუკას ხო ძაან დიდი სახლი აქ – და მამა თორნიკე რო მეუბნებოდა, კინალამ ის დამემართა. ტირილი დავიწყე და აი, პროსტა, იმდენი მეფერა, იმდენი მეფერა, რო ძლივს დამაწყნარა, თუ შენ არ გინდა, არც მე მინდაო... აუ და, ამ დროს, როგორ არ მინდოდაა!.. უბრალოდ, ასე, ლელუკასთან, დებილურად, ნაღდად არა!.. წამალს თუ არ გადააგდებ, შვილს არ გაგიჩენ-მეთქი, ვუთხარი და, როგორც იცის ხოლმე, ძაან საყვარლად, ბოიშვილი ვიყო, გადავაგდებო...”

– აუ, აუ, აუ! – წამოიძახა ნინჩომ, – მაგრა მენატრება! მერე კვლავ ფიქრებს დაუბრუნდა.

“ისე, მართლაც, დედაჩემი შავგვრემანია, ბებიაჩემი ქერა... მე ბებიაჩემის შვილი ხო არა ვარ? წესით მეც შავგვრემანი არ უნდა ვიყო, დედაჩემივით?! აუ, იქნებ დედაჩემი ბებიაჩემის შვილი არაა?! აყვანილი ხო არ არი?”

და, უეცრად, საკუთარ თავზე განრისხდა, რაც მეტს ვიფიქრებ, მით უფრო მეტი დებილობა მომივა თავშიო, და დაიფიცა, დღეში ერთ წუთზე მეტი აღარასდროს ეფიქრა.

სამზარეულოში, სადაც ამჟამად ნინჩო იმყოფებოდა, დედამისი, ლამარა ნატროშვილი შემოვიდა. პომადა კბილებზე გადასვლოდა, რაც სიბერის მოახლოების უტყუარი ნიშანი იყო.

– დღეს დილით ჩიტომ დამირეკა, ანზორიც, სვეტაც და ბავშვიც ცინცინატიში ელოდებიანო.

თქვა თუ არა ეს სიტყვები ქალბატონმა ლამარამ, ნინჩო ისე აკვივლდა, რომ მამამისის ღიძზე მთვლემარე სოფიომ მაშინვე დაჭყიტა თვალები, ხოლო თავად მამამისმა, კარლომ, წელს ზემოთ შიშველმა და თავადაც ძილღვიძილში მყოფმა, ჯერ კოსმოსში მოფარფატე საკუთარ ასტრალურ სხეულს ათქმევინა უცენზურო სიტყვა, მერე კი, როცა გამოფხიზლდა და ასტრალური სხეული საბოლოოდ შეერწყა ფიზიკურ სხეულს, არათუ მხოლოდ საყვარელ ქალიშვილს, მთელ თავის ოჯახს შეაგინა, დამაძინეთ, თქვე ვირიშვილებო!

– მეზიზღება ჩიტო! – კიოდა ნინჩო ღვანფერიძე, – მეზიზღება ანზორი, სვეტა და მაგათი დეგენერატი შვილი...

ლამარამ იფიქრა, ტუჩებზე მივცხებო, მაგრამ ჭუჭყიანი თეფშების გორას მოჰკრა თვალი, რომელთა გარეცხვასაც არავინ ფიქრობდა, და ნინჩოზე გაბრაზებული, პაწია სოფიოზეც გაბრაზდა, აღარ უნდა ისწავლოს თეფშების რეცხვაო.

ნინჩო კვლავ კიოდა:

– დედა მომიკვდეს, სახლიდან თუ არ გავიქცე... არ მინდა იმ დებილურ ამერიკაში!

– როდემდე უნდა იწანწალო აქეთ-იქით? – აკვივლდა ქალბატონი ლამარაც, – გადაგყვება ანზორი...

მერე, როგორც გააგების ჟამს სჩვეოდა ხოლმე, ნახევრად მშობლიურ, რუსულ-ბელორუსიულ ენაზეც აპირებდა ნინჩოს გალანძღვას, მაგრამ არ დასცალდა, დერეფნიდან ქარების ხმა შემოესმა. ეს კარლო ღვანფერიძე უახლოვდებოდა სამზარეულოს.

კარლო ღვანფერიძე არათუ ცოლ-შვილს, უცხოებსაც არერიდებოდა და საკუთარი, უარომატო და ხმამაღალი ქარებით განთქმული, უზომოდ ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა სხეულს მსუბუქი განტვირთვის საშუალებას აძლევდა. ყველამ უნდა იცოდესო, ამბობდა კარლო, ვინ არის ოჯახის მამაო!

გაუხედნავი სხეულიდან გამომავალი ქარების ზოგად მანიპულირებას ჯერ კიდევ აქტიური სპორტული მოღვაწეობის დროს დაეჩვია და დროთა განმავლობაში ისე დაიხვეწა, რომ მერე სიტყვები აღარც სჭირდებოდა – სიტყვებს ქარებითაც მშვენივრად ამბობდა.

ახლაც, ხმამ, რომელმაც დერეფნიდან სამზარეულოში შემოაღწია, სამზარეულოში მყოფნი მაშინვე მიახვედრა, რომ კარლო ღვანფერიძე ცუდ ხასიათზე იყო. ნახევარი სამზარეულო მისმა ღიძმა დაიკავა, ნინჩომ და ლამარამ ფანჯრისკენ გადაინაცვლეს. სამზარეულოში ახალგაღვიძებული სოფიოც შემობოდივალდა, რომელსაც იღლიაში ესქილეს პიესების კრებული ამოეჩარა. ნინჩომ, როგორც კი კარლო დაინახა, ტირილი დაიწყო:

– არ მინდა ამერიკაში!

ქალბატონმა ლამარამ ისევ გაიფიქრა, ტუჩებზე მივცხებო, მაგრამ ამჯერად ჭუჭყიანი ჭიქებიც გაეჩხირა თვალში.

– იქ ჯობია, – ნინჩოს დამშვიდება სცადა პაწია სოფიომ, – ნამდვილად არ გაწყენდა ხუთი-ექვსი თვით წასვლა, ისწავლიდი, დაისვენებდი...

კარლო რატომღაც ნინჩოს მაგივრად სოფიოზე გაბრაზდა:

– გააჩერე, გოგო, ენა! შენ არავინ გეკითხება! – უფროს ქალიშვილს კი ღიმილით მიუგო, – რატო, მამიკო, რატო არ გინდა? ჩვენები იქ არიან, თან გადაგყვებიან ანზორიც და სვეტაც, ენის კურსებიაო, ისწავლი, იმაცადინებ, აწონ-დაწონი, რა გინდა, როგორ გინდა...

– მთელი დღეები, კაცო, იმათთან ერთად დაეთრევა, აღარ შემიძლია, – მოთქვამდა ლამარა, – ლელუკა, შმელუკა... როდემდე უნდა იწანწალო, დედიკო, ასე?
– განათლების უდახვეწილესი სისტემა აქვთ, – ამბობდა სოფიო. შესაბამისად, კარლოც ბრაზდებოდა:

– ენას ნუ ატლიკინებ, გოგო!.. წადი, მულწიკებს უყურე!

კი უნდოდა საბრალო კარლოს ნინჩოსთან ჩხუბი, მაგრამ არ გამოსდიოდა, ასეთ კაი გოგოს როგორ ვეჩხუბოო. ნინჩო, ამქვეყნად, ყველას და ყველაფერს ერჩივნა. ალერსიანი ქარებიც ხომ მრავალჯერ მიუძღვნია ძვირფასი ქალიშვილისთვის...

– არ მინდა და მორჩა, გავიქცევი სახლიდან! – კიდევ ერთხელ დასძახა ნინჩომ და სამზარეულოდან თავისი ოთახისკენ გაიქცა.

– ეგეთი დებილი დარჩები ყოველთვის! – მიაძახა ქალბატონმა ლამარამ.

– მოუნდება, სად წავა, – ჩაილაპარაკა კარლომ და პაწია სოფიოს წიგნი გამოართვა, – ეხლა შეგიჭამ!

ბავშვი ცოტაც და ტირილს დაიწყებდა. სულ ტყუილად ნერვიულობდა, კარლო ღვანფერიძე ახლა ნამდვილად არ აპირებდა ესქილეს პიესების შეჭმას. ნინჩო სარკის წინ იდგა და თავის თავს ათვალთვლებდა, რო ვიტირე, ძან ხო არ დავსივდიო. უეცრად ხელის ტელეფონი, იგივე მობილური, აუციმციმდა.

ზარი მეთერთმეტე

ტელეფონი ავაგდე, ჩარეკე. ნინჩოს ნადრიკუჩასგან, ციხიდან მოსვლოდა გზავნილი.

ციხეში მეფესავით ცხოვრობსო, გაიფიქრა ნინჩომ და მომავლის შეეშინდა, როცა ცოლად მომიყვანს, ალბათ, ციხეში დამასახლებსო, ბავშვსაც ციხეში გავზრდით და სტუმრებსაც ციხეში დავპატიჟებთო.

მერე ეწყინა კიდევ, თვითონ რატომ არ მირეკავს, ფული თუ არა აქვს, ტელეფონი რა ჯანდაბად უნდაო, მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი ფიქრებისა და ნადრიკუჩას გადაურეკა, რა დებილი ვარ, რეები მწყინსო.

კინალამ გული შეუღონდა ნინჩოს, რადგან ასეთი ნადრიკუჩა არასდროს ენახა, უფრო სწორად, მან პირველად მოისმინა ნადრიკუჩას ყვირილი. აშკარა იყო – განაჩხერიც გახლდათ:

– სადა ხარ, სად დაბოზაობ, გოგო! დედებს მოგი... ავთ, თქვე... ი... პრო... ა... ვტყან... ცხადია, ნინჩოც აღელდა:

– ნადრიკუჩ, ხმა წყდება... ეტყობა, ცუდ ადგილას დგახარ...

– მე სადაც ვზივარ, – ყვიროდა მისი სატრფო, – ჩემი ყლ... ქმეა... წვნელები ეგენი!.. ნინჩოს ვერ გაეგო, რატომ ცხარობდა ასე ნადრიკუჩა.

– ნადრიკუჩუჩ, – ისტერიულად წაამღერა კიდეც, – რა მოგივიდააა!

– მორჩა კაი პონტები, – ბრაზობდა ნადრიკუჩა, – დაიწყო პრ... ჭობა! მთელი ცხოვრება აქ კი არ ვიქნები, გოგო, გამოვალ, დედას მო... ყნავ!.. დეიდაჩემი, ტო, კატუშა... მოკვდა, ტო!.. აღარ არის, ბოიშვილი ვიყო...

– ვინ მოკვდა? – დამშვიდდა ნინჩო.

– თქვენი ტრაკის ქეიფზე ვცხო... ბო... გაიგე, შენა!.. მე არ დამენძრევა, ნინ, ხო იცი!.. იცოდე, რამე რო იყოს, გამოვალ, ჯერ ენას ამოგაცლი, მერე პირში მოგ... მ... აგკუწავ, ჩემი გოგო, იმიტო რო მიყვარხარ... შენს მეტი, ბოიშვილი ვიყო... არავინ, ტო!.. დაგმარხავ, გაგაქრობ, ზედ დაგაკლავ მამაშენს!.. ყველას მოგტყ... ყველას!.. უპროჭესი ვარ, ნინ, იცი... გადაგივლით!.. ჩაგპიზ... ვთ!

მიუხედავად იმისა, რომ ასე ნინჩო არავის გაულანძღავს, ამ უკანასკნელზე ბედნიერი ახლა არავინ იყო. ესე იგი, მართლა ვუყვარვარ, რახან აგრერიგად მლანძღავსო. აგრესიული ნადრიკუჩა კიდეც უფრო მოეწონა ნინჩოს, ვგიჟდები გიჟ ბიჭებზეო. თუმცა, მაინც ვერ მიმხვდარიყო, რაზე ბრაზობდა.

ჯერ იფიქრა, ეჭვიანობსო, მაგრამ ნინჩოს წარმოდგენა არ ჰქონდა, ნადრიკუჩას რა აეჭვიანებდა, ნინჩო ხომ მისი ერთგული იყო. იქნებ განაჩხერი არც იყოო, ესეც იფიქრა, განაჩხერი რომ ყოფილიყო, მშვიდად იქნებოდა, ალბათ, არაყი დალია და მოიწამლაო.

ვერც ის გაიგონა წესიერად, რა თქვა ნადრიკუჩამ კატუშა დეიდას შესახებ, მართლა მომკვდარიყო ეს ქალი, თუ ნადრიკუჩა რაღაცას ბოდავდა? ასე იყო თუ ისე, ნინჩო შეყვარებულთან საუბრით კმაყოფილი დარჩა. ბიჭი ენის ამოცლით რომ დაგემუქრება, ესე იგი, ისეა შეყვარებული, რომ თავს ვეღარ აკონტროლებსო. მოეწონა ნადრიკუჩას მუქარაც, მამაშენსაც ზედ დაგაკლავო. ყოფილი მოჭიდავე და შეუდარებელი ქართმწარმოებელი კარლო ღვანფერიძე ნინჩოს აქამდე ყველაზე ძლიერ მამაკაცად მიაჩნდა. ახლა კი გამოჩნდა მეორე მამაკაცი, ყმაწვილი, სახელად ნადრიკუჩა, რომელიც ქართმწარმოებელ ტიტანს მიწაზე დასცემდა და თავად დაიკავებდა უძლიერესი მამაკაცის ადგილს... ნინჩო გახარებული იყო.

და გახარებული იყო ორმაგად, რადგან ხვალ მისი ფეხმძიმე თანაკლასელის, თეიკო აფაქიძის დაბადების დღეზეც უნდა მისულიყო. მას ხომ ასე მოენატრა ცეკვა – ხელ-ფეხის გაქნევა დაბლვერილი და დამაბული ყმაწვილების თვალწინ...

სამზარეულოდან კვლავ მამამისის სევდიანი ქარების ხმაშემოესმა და მიხვდა, ახლავე უნდა გასულიყო სახლიდან – ჩამოერეკა გოგოებისთვის და ჭავჭავაძის პროსპექტზე ჩაესეირნა. ნადრიკუჩამ დამირეკაო, ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა ეცნობებინა დაქალებისთვის.

მალაზიათა ვიტრინები, ტროტუართან, რიგ შემთხვევაში კი მთლად შუა პროსპექტზე წაჩერებული პრიალა მანქანები და იქიდან გადმოსული შარებს დანატრებული, ჟარგონით მოსაუბრე, მრავალ ავარიაგადატანილი ყმაწვილკაცები... ო, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩაუვლია და ამოუვლია ამ პროსპექტზე დაქალებთან ერთად!

ზარი მეთორმეტე

მივიდოდნენ თუ არა უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან გოგონები – ნინჩო, ლელუკა, ნინუკა და ნუციკო – უმაღვე უკან, რიგის ქუჩის კუთხემდე ბრუნდებოდნენ, მერე ისევ უნივერსიტეტისკენ იღებდნენ გეზს და იქ მისვლისთანავე კვლავ რიგის ქუჩისკენ ტრიალდებოდნენ.

ახლაც, ერთი საათის განმავლობაში, ოთხჯერ მაინც აიარ-ჩაიარეს ჭავჭავაძის პროსპექტის ეს არცთუ ისე პატარა მონაკვეთი და უამრავი ყმაწვილი ქალი და კაცი გადაკოცნეს.

გოგონებმა ოთხჯერ ჩაუარეს საკვებით დახუნძლულ, კარაქისა და ხორცის სუნით აყროლებულ ოდინდელ “ავრორას”; ოთხჯერ შეეკვინდნენ მწვანე “ყავის სახლთან”, სადაც თუკი ზოგადი სტატისტიკით ვიხელმძღვანელებთ, ჯამში ოცდაათი-ორმოცი, მათსავით ტაატით მოსეირნე და “ყავის სახლთან” წამიერად შეეკვინებული ქალ-ვაჟის გადაკოცნა მოუხდათ. ოთხჯერ ჩაუარეს “სახანძროებსაც” – ოთხჯერვე თვალი გაეპარათ მალაზიათა ვიტრინებისკენ, რათა საკუთარი ანარეკლისთვის მოეკრათ თვალი, ხომ არ დაუშწნოვდითო ამ სეირნობა-სეირნობაში! – ოთხჯერ ჩაუარეს, მაგრამ ერთხელ გადაკოცნეს ორმოცდამეთხუთმეტე სკოლის წინ მოძუბურე უხასიათო და გამომწვევად მობუზული ბიჭები, და ნინჩომაც ოთხჯერ მოყვა ერთსა და იმავე ამბავს – ნადრიკუჩამ მკვდარი და ცოცხალი მაგინა, მგონი, მაგრა ვუყვარვარო.

სეირნობისას ნინჩომ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ფურთხის გუბეებსაც და როგორც სჩვეოდა ხოლმე, გული აუჩქარდა – გაახსენდა ნადრიკუჩას ჩაჩაჩული შარვალი, ხრინწიანი ხმა, ქავილისგან კანგადაქერცლილი ცხვირი, გადაგლესილი თმა და მისი საყვარელი ფრაზა: “წარეკე, შეჩემა”. მერე გოგონებს პუპაც მოეწია, ერთი საათია უკან მოგსდევთ, გიმახით და არ გესმითო.

პუპამ, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც ზეციურ და მიწიერ თბილის-ქალაქში ხდებოდა, დაადასტურა ნადრიკუჩას დეიდის, საბრალო კატუმას სიკვდილი – კაწკა და ნიკუშა შემხვდნენ ატენზე და იმათმა მითხრესო, და ნინჩოს სიცილ-კისკისით მიუსამძიმრა.

გაცინა ნინჩომაც, თუმცა, მალევე დასერიოზულდა, აუო, თქვა, ნადრიკუჩას კატუმას მეტი არავინ ჰყავდა და ძან ცოდოაო. კიდევ ათი დეიდა ჰყავს და ამდენივე ბიძაო, დააყოლა პუპამ, ხოლო ლელუკამ მრავლისმთქმელი გამომეტყველება მიიღო და პათეტიკურად გამოაცხადა, გამზრდელი ერთი ჰყავდაო.

– ჭირისუფლებში მეც უნდა დავჯდე? – გულუბრყვილოდ იკითხა ნინჩომ.

– რა სისულელეა, – ჩაერთო საუბარში ნინუკა, – ცოლი ხო არა ხარ, უბრალოდ, ყველა ვარიანტში უნდა მიხვიდე.

– დაიწყებენ ჩემ თვალთვლებას... – ჩაილაპარაკა ნინჩომ.

– მერე რა, გათვალთვრონ! – დაამშვიდეს ნინჩო გოგონებმა.

– აუ, იცით, ნადრიკუჩა როგორ შემეცოდა! – კვლავ სატელეფონო საუბარი გაიხსენა ნინჩომ, – ძან ცუდად იყო, ნერვები ჰქონდა, აი, პროსტა, უაწეწილესი... თან წესიერად არაფერი მესმოდა, ითიშებოდა... კინაღამ მეც დავიწყე ტირილი...

– ნადრიკუჩა ტიროდა? – გაუკვირდა პუპას.

– არა, ტირილით არ უტირია, – მოიტყუა ნინჩომ, – მაგრამ, მეთქი, პროსტა, არ გაგიჟდეს!.. მაგრა შემეშინდა. ხვალ დილით ციხეში უნდა მივიდე...

– ციხეში რო დადიხარ, შენებმა იციან? – დაინტერესდა პუპა.

– დებილი ხაარ? – აღშფოთდა ნინჩო, – მამაჩემმა რო გაიგოს, მომკლავს...

– ვის დაყავხარ ხოლმე? – პუპას, როგორც ყოველთვის, ცნობისმოყვარეობის ჭია ღრნიდა.

– ხან ნიკას, ხან ფანჩულას, – ნინჩომ ნადრიკუჩას ძმაკაცები ახსენა.

– კაწკა ისევ ნიკუმასთან დადის? – ლელუკამ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– როცა ნიკუმას იჭერენ, ებუტება, როცა გამოდის, ურიგდება, – გაცინა გოგონები პუპამ, მერე კი დაჰგმო კაწკას საქციელი, – დედა მომიკვდეს, ეგ გოგო ბოზი თუ არ იყოს!.. გააწამა, პროსტა, ეს ნიკუმა...

პუპამ სრული ერთი წუთი დაუთმო კაწკას ლანძღვას, თუმცა, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის წინ, როცა ნიკუმასა და კაწკას ატენის ქუჩაზე გადაეყარა, ამ უკანასკნელს პირში უღიმოდა და კომპლიმენტებსაც ეუბნებოდა, – კაწკა, ყველა ამომიწყდეს, თმის შეჭრა მაგრა მოგიხდაო. ამიტომ, გამოემშვიდობა თუ არა პუპა გოგონებს, ნუციკომ მაშინვე გალანძღა, ალბათ, ზურგს უკან ჩვენც კაწკასავით გვთათხავსო.

ნუციკოს აზრს მისი დაქალებიც იზიარებდნენ. მაგრამ უკვე სახლში მისული, მაინც შეიკეტა სააბაზანოში და რაც პუპას პირში ვერ უთხრა, თავის ანარეკლს შეჰკადრა: ჩემი აზრით, მაგარი დამპალი გოგო ხარო. მერე, წესისამებრ, პუპას ხმაც მიიღო: ნუციკო, შენ

ძან დიდ პატევს გცემ და გეხვეწები, ნუ გამლანძღავო. საბოლოოდ, პუპას იმიტაციამ ნუციკო ისე გააბრაზა, რომ სარკესაც კი შეაფურთხა: გიმეორებ, პუპა, უდამპლესი გოგო ხარო!

მაგრამ ეს მერე, ნუციკო ჯერაც დაქალებთან ერთად სეირნობდა ჭავჭავაძის პროსპექტზე.

კიდე ერთხელ ჩაუარეს ორმოცდამეოთხეთმეტე სკოლას: “სახანძროებს”, მარადმწვანე “ყავის სახლს”, აქოთებულ “ავრორას” და პროფესიული მომავლის შესახებაც ალაპარაკდნენ:

– დღეს დეეჩემს ვეჩხუბე, – თქვა ნინჩომ, – ამერიკაში უნდა ჩემი გაშვება, თავის მამიდაშვილებთან, იქ ენის კურსებზე ივლიო, რო ჩამოხვალ, უგამოცოდ მიგიღებენ უცხო ენებშიო. რო წავიდე, სად წავიდე!.. ეს დებილი ნადრიკუჩა როგორ დავტოვო!.. პროსტა, მაგრა ტეხავს ნადრიკუჩას პონტში!..

ლეულუკას არაფერი ჰქონდა სათქმელი. ისედაც ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ფსიქოლოგობა უნდოდა და გამოცდებისთვის ენერგიულად ემზადებოდა. ნინუკა ჟურნალისტი უნდა გამოსულიყო, ნუციკოს სცენისკენ მიუწევდა გული, არტისტობა ეწადა, თუმცა ეჭვი ჰქოდა, რომ დედამისი მაინც ფილოლოგიურზე, ან ისტორიულზე, ანაც, კიდეც უარესი, ხელოვნებათმცოდნეობაზე შეატანინებდა საბუთებს – მალე მასაც სევდიან და მუდამ გაციებულ კერძო მასწავლებლებთან მოუწევდა სიარული ლეულუკა-ნინუკასავით და სცენის მაგიერ ისევ სააბაზანოში მოუხდებოდა თამაში.

– მაგრა ვილლები, – თქვა უეცრად ლეულუკამ, – მაგრამ ფროიდი, პროსტა, იმდენად საყვარელია, რო აი, მაგიჟებს...

ჭავჭავაძეზე გაურკვეველი ფირმის და ფორმის ოთხბორბალამ ჩაიწუილა.

– ნიკუშა! – წამოიყვირა ნინჩომ.

“და ის ბოზანდარა კაწკა”, – გაიფიქრა ოთხივემ.

ნიკუშას მოესწრო და უკვე სამი მანქანა დაემტვრია, მაგრამ მამამისი, დიდი ქონების პატრონი კაცი, ყოველ ჯერზე უკეთეს ოთხბორბალას ყიდულობდა მისთვის.

ნიკუშა სრულიად უნიჭო ადამიანი გახლდათ, თავს მხოლოდ ავარიებით თუ მოიწონებდა.

ერთხელ ძროხაც კი შემოაკვდა შუა ვაკეში (ხანდახან ძროხებს წყნეთიდან ვაკეშიც კი ერეკებიან), მაგრამ ადამიანი, მადლობა ღმერთს, ავარიის შედეგად, არასდროს მოუკლავს. ადამიანი ოდესღაც თავად შემოაკვდა – ხელით, უმანქანოდ, და ციხეშიც ცოტა ხნით ამიტომ ჩაჯდა.

– ძან საყვარელია! – ჩაილაპარაკა ნინჩომ და კარგ ხასიათზეც დადგა.

ამჯერად, უახლოეს მომავალზე ჩამოვარდა სიტყვა, ხვალ ხომ თეიკო აფაქიდის დაბადების დღეზე უნდა მისულიყვნენ.

– შენა და, – ჰკითხა ნინუკამ ლეულუკას, – სადო? ვანჩოსთან ვიხდი თუ ჩემთანო?

– თავისთან იხდის, – მტკიცედ განაცხადა ლელუკამ და ფიქრებში წავიდა, არ იცოდა, ხვალ რა უნდა ჩაეცვა.

სხვათა შორის, გონებაში ოთხივეს ერთი და იგივე შეკითხვა უტრიალებდა:
“აუ, ხვალ რა უნდა ჩაეცვა?”

ზარი მეცამეტე

თეიკო აფაქიძემ დაბადების დღეზე მთელი კლასი დაპატიჟა, ანდრიკო, ხურციძე და დემურცი კი, რომელნიც, მანამდე, მხოლოდ ერთმანეთის დაბადების დღეებზე თუ დადიოდნენ.

თეიკოს მშობლებს, პარლამენტარ ცოლ-ქმარს, ოთხსართულიანი, ინდივიდუალური ლიფტით დამშვენებული სრა-სასახლე აეშენებინათ კუს ტბის ასასვლელთან და მეოთხე სართული მთლიანად თეიკოსა და მისი ქმრისთვის, ვანჩოსთვის დაეთმოთ.

ეგებ, იმიტომაც დაპატიჟა თეიკომ მთელი კლასი, რომ რაც შეიძლება მეტ ბაღს დაეფჩინა პირი გაკვირვებისგან, სახლი კი არა, სასახლეაო, და თეიკოსაც ღირსეულად აებზუა ცხვირი, მამაჩემს უწინ ოქროს კბილების გამო დასცინოდნენ, აწ კი ხალხის რჩეულიცაა დედაჩემთან ერთად, და თუკი ოდესღაც სოფლელ ტეტიად თვლიდნენ, ახლა ჭეშმარიტი ქალაქელიაო.

ასე იყო თუ ისე, დემურს ანდრიკომ დაურეკა:

– ერთად ავიდეთ, არა?

– აბა, ცალ-ცალკე ხო არ ავალთ!

– დღეს არ შევხვდეთ? – თადარიგი დაიჭირა ანდრიკომ, – დავგეგმოთ, რას ვიზამთ, ავწონ-დავწონოთ, მან ხო არ დავიგვიანოთ?... თავი დავიფასოთ...

– ვინ შეამჩნევს?

– რა ვიცი, იქნებ ვინმემ შეამჩნიოს... – ყურმილში ჩაამთქნარა ანდრიკომ, – ადრე ხო ამჩნევდნენ?

– როდის?

– რავი... ადრე... ხურციძე მეუბნება, ნუ ჩაიჯვითო, შუადღისას მივიდეთო, სუფრის გაწყობაში მივეხმაროთო. ხუმრობს, რა. – შენთანაა?

– ჩემთან დარჩა, დილის ექვს საათზე დავიძინეთ, ავაფეთქეთ კომპიუტერი... ამო, რა.

– მუსიკაზე მივდივარ.

– ისევ დემური ხარ? – გაიცინა ანდრიკომ.

– ბუბა ვარ, ბუბა... – ყურმილმა დემურს ყური გაუწითლა.

– აბა, ბუბას მუსიკაზე რა უნდა? – ანდრიკო სულელივით იცინოდა, დემურს ხურციძის ხვიხვინიც ესმოდა.

– ეგ დედაჩემს კითხე.

კლასიკური მუსიკისადმი სიძულვილი დემურს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ბაბუამისის თანამშრომლის შვილს მიაბარეს, ფორტეპიანოზე დაკვრას გასწავლისო.

ამ ქალბატონს, დებრესიულ, გაუთხოვარ და საკუთარი სიმახინჯისგან გაავებულ რუსიკოს, უკვე მოესწრო და დემურის გარდა კიდევ ორი ბავშვისთვის შეეძულებინა როგორც ზოგადად მუსიკის აკადემიური ჟანრი, ასევე კონკრეტულად – ფორტეპიანო.

მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარულით დემური არასდროს გამოირჩეოდა, თუმცა, მისი თანატოლებისაგან განსხვავებით, პიანისტების, საოპერო მომღერლებისა და დირიჟორების მიმართ აგრესიას არ ამჟღავნებდა. კლასიკური მუსიკა მხოლოდ მას შემდეგ შესძულდა, რაც მუსიკაზე სიარული დაიწყო. რუსიკო, როგორც მოგახსენეთ, დემურის ბაბუის თანამშრომლის შვილი გახლდათ და ბინის, წინაპრების ფოტოების, მაცივრის, გაზქურის და ფორტეპიანოს მეტი არაფერი ებადა. გულკეთილმა თამარმა და მისმა წიკიანმა ქმარმა ბევრი იფიქრეს, თუ რა ფორმით შეიძლებოდა რუსიკოსათვის დახმარების გაწევა, თანაც ისე, რომ მას დამცირებულად არ ეგრძნო თავი, და ქველმოქმედების სურვილით აღსავსე, მცირე, მაგრამ მტანჯველი კამათის შემდეგ (კამათი კი იმიტომ გამოვიდა მტანჯველი, რომ წიკიანი ბესიკი, ცოლთან საუბრის დროს, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ გადიოდა აივანზე და ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოსიარულე ხალხს ომახიანად ესალმებოდა), გადაწყვიტეს რომ რუსიკოსათვის დემური შეეწირათ მსხვერპლად...

მაგრამ საქმე ის იყო, რომ მუსიკა რუსიკოსაც სძულდა. ოდესღაც კონსერვატორიაში ესწავლა და კლასიკური მუსიკა სწორედ იქ შეზიზღებოდა. ერთადერთი დაქალი ჰყავდა, სომეხი ვიკა, ესეც კონსერვატორიადამთავრებული, და თამარ ჩიჯავაძეს, წიკიან ბესიკთან და დემურთან ერთად, ძირითადად, ვიკასთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბრების დროს ლანძღავდა. ამბობდა, ისე მიყურებენ, როგორც მათხოვარსო. ვიკაც, კომენტარის სახით, გაკვირვებულ, მისი ერისთვის დამახასიათებელ ცხვირისმიერ ბგერებს გამოსცემდა და თავის აღშფოთებას, როგორც წესი, მხოლოდ ორი სიტყვით გამოხატავდა: “ვაიმეე, პრავდააა?”

რუსიკო ისტერიული, ბრაზიანი, მაგრამ საბრალო ქალი გახლდათ. ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ვეებერთელა, ამოღამებული თვალები და გრძელი, დაკნეტილფრჩხილებიანი თითები...

ზოგჯერ მეტისმეტად ხალისიანი იყო, ზოგჯერ კი გაკვეთილებზეც ტიროდა. ადვილად ბრაზდებოდა. “მკლავი გაასწორე, მაჯა მოადუნე, სიყვარულით დაუკარი”, – კბილებს შორის სცრიდა ხოლმე ამ სადისტურ მოწოდებებს და თუკი სასურველ შედეგს ვერ აღწევდა, ტირილს იწყებდა. ან, უფრო ხშირად, ბოდიშს უხდიდა მოწაფეს, ცოტა ხნით უნდა დაგტოვო და ცივი შხაპის მისაღებად შერბოდა სააბაზანოში.

დემური გრძნობდა, კიდევ ერთი-ორი გაკვეთილიც და მოთმინების ფიალა აევსებოდა – თუკი ასე გეცოდებათ, თქვენ თვითონ იარეთ მუსიკაზე, ეტყოდა დედ-მამას და ჩხუბის შემთხვევაში ოთახში კი არ ჩაიკეტებოდა, როგორც უწინ აკეთებდა, სახლიდანაც კი წავიდოდა. თუმცა, იცოდა: აღარც თამარ ჩიჯავაძე გაჯიუტდებოდა, გინდა თუ არა მუსიკაზე უნდა იაროო, – ცხადია, არც წივიანი მამამისი იტყოდა რამეს, – ბოლოს და ბოლოს ორივე შვებით ამოისუნთქავდა, რაც შეგვეძლო, რუსიკოს ყველაფერი გავუკეთეთო, მაგრამ პრობლემა მშობლებში კი არა, თავად დემურში, უფრო სწორად კი ბუბაში იყო, – დემური შარშანაც დადიოდა მუსიკაზე და კმაყოფილი არც მაშინ ყოფილა, თუმცა აზრად არ მოსვლია რუსიკოსაგან წამოსვლა, პირიქით, ხუმრობდა კიდეც, რუსიკოსთან სიბერემდე ვივლიო, და მხოლოდ ახლა, რაც ბოლო კლასში გადავიდა და როდესაც დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ შეაფასებდა მის ამა თუ იმ საქციელს ნინჩოღვანფერიძე, სრულიად სამარცხვინოდ მოეჩვენა არათუ მხოლოდ მუსიკაზე სიარული, საერთოდ, კლასიკური მუსიკის მოსმენაც კი. სამწუხაროდ, რუსიკომაც შეუწყო ხელი, იმდენს ტიროდა, რომ დემურს გაკვეთილზე კი არა, პანაშვიდზე ეგონა თავი.

დემური ხვდებოდა: ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. სახელის შეცვლა ვერ მოახერხა – ეგებ თვითონ მაინც გამოცვლილიყო, თორემ ნინჩო ღვანფერიძე, როგორც ხურციძემ უთხრა ოდესღაც, ზედაც არ შეაფურთხებდა.

ამ ყველაფერს თამარ ჩიჯავაძის ახალი სადარდებელიც ემატებოდა – თამარსა და ბესიკს წარმოდგენა არ ჰქონდათ, მათ შვილს სად უნდა ჩაეხარებინა. უცნაურად ჯიუტობდა დემურიც, გაისად, ან ერთ-ორ წელიწადში ჩავაბარებო, ამბობდა. დემური, მისი მშობლებისგან განსხვავებით, ამ მხრივ, საერთოდ არ ნერვიულობდა. არ უნდოდა, რომ მშობლებს აერჩიათ მისთვის პროფესია, თამარ ჩიჯავაძისათვის კი სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, მისი შვილი სკოლის დამთავრებისთანავე სტუდენტი რომ არ გამხდარიყო.

ცოლ-ქმარი ღამეებს ათენებდა კამათში:

– აკადემიაში ჩააბაროს, მხატვარი გახდეს, – ამბობდა ბესიკი.

– ხატვა რო არ იცის? – ნელ-ნელა ბრაზდებოდა თამარი.

– ისწავლის, ერთ წელიწადში ვასწავლი...

– ძროხების ხატვას თვითონაც ისწავლის, ჯობია, ისტორიულზე ჩააბაროს, ხო უყვარს ისტორია!

გულნატკენ ბესიკს ასეთ დროს, როგორც წესი, სულში ბოროტი სული უსახლდებოდა:

– თქვი, ორმოცჯერ: გილოცავ ახალ წელს.

– გილოცავ, – კიდევ უფრო ბრაზდებოდა საბრალო თამარ ჩიჯავაძე, – შე დამპალო, ამ ახალ წელს... გილოცავ!

– გააგრძელე, – ოფლი ასხამდა ბესიკ ჩხიკვიშვილს, – თორემ მოვკვდები.

– გილოცავ ახალ წელს... გილოცავ ახალ წელს... რო მომისპე მთელი სიცოცხლე!

მშობლები ბჭობდნენ, ხოლო დემური ზიზღით შესცქეროდა რუსიკოს.

– რაზე ფიქრობ? ჰკითხა რუსიკომ.

– არაფერზე...

რაზე უნდა ეფიქრა? რასაკვირველია, ხვალინდელ დაბადების დღეზე. რუსიკოს ხომ არ ეტყოდა.

– მაჯა მოადუნე... დემურმა კლავიშებს გაქვავებული თითები დაჰკრა.

– ადამიანო, – ხმა აუკანკალდა რუსიკოს, – მე მაგიჟებ? იცი, რაზე ვბრაზდები? რო შეგიძლია და არ აკეთებ... ხო შეგიძლია!.. იმიტო რო გაფანტული ხარ, დედა... ეს “დედა” რაღაც ახალი იყო.

– დაღლილი ვარ, – ჩაილაპარაკა დემურმა.

– მაშინ რატო დადიხარ?.. ვინმე გამალებს?

რუსიკოს ყელზე ძარღვები ეჭიმებოდა. დემური ვერ ხვდებოდა, ასე რატომ ბრაზდებოდა ეს ქალი.

რუსიკო წამოდგა, ხელი დაავლო ნოტებს და სავარძლის მიმართულებით მოისროლა. დემურმა ახლად შეამჩნია, რომ რუსიკოს ლიფი არ ეცვა – ეტყობა, დემურის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე გადაეწვოდა ცივი შხაპი და მახინჯ სხეულზე მხოლოდ გამჭვირვალე სარაფნის გადაცმა მოესწრო.

და მიუხედავად იმისა, რომ დემურის ასაკში ნორჩ ყმაწვილებს უსულო საგნებიც კი აგზნებენ ხოლმე, დემური არათუ აღეგზნო, რუსიკო კიდევ უფრო შესძულდა და თვალწინ უმშვენიერესი ნინჩო წარმოუდგა, რომელიც კაცმა არ იცის, სად იყო და რას აკეთებდა ამ წუთას.

– არ დამანახო ეს ნოტები! – ქოთქოთებდა რუსიკო, – ხო გამოგდიოდა, ეხლა რა ჯანდაბა გეტაკა... დებილი ხარ, შვილო? მითხარი და დავმშვიდდები...

დიახ, რუსიკო მოწაფეთა ლანძღვასაც არ ერიდებოდა. თუმცა, მერე გული უჩუყდებოდა და ბავშვებს ბოდიშსაც უხდიდა. ამჯერად, დემურს აკოცა კიდევ:

– იმიტო ვგიჟობ, რო მენანები... ნიჭიერი ხარ და ნერვები მეშლებს!

სამწუხაროდ, რუსიკო ტყუოდა. დემური რომ ნიჭიერი არ იყო, ორივემ მშვენივრად იცოდა. უბრალოდ, რუსიკო ჩხუბის მიზეზს ეძებდა, რადგან ტირილი, ქადაგება და ქოთქოთი უყვარდა. დემურმა გულში ფიციც კი წარმოთქვა, აქ აღარასდროს მოვალო.

ბოლოს მაინც დაუკრა გაქვავებული, უსიცოცხლო თითებით და რუსიკომაც შეაქო:

– აჰა, ხო შეგძლება!

არაფერიც არ შესძლება. ახლაც ისევე საზიზღრად დაუკრა, როგორც პირველ ჯერზე, უბრალოდ, რუსიკო დამშვიდებულიყო.

მუსიკის გაკვეთილის შემდეგ დემურმა ანდრიკოს მიაშურა. ანდრიკოს ოთახში ცოდვის სუნი ტრიალებდა. ხურციძე კომპიუტერს უჯდა, ანდრიკო საწოლზე გაგორებულიყო.

– დღეს უკვე ორჯერ დავანძრიეთ, – გამოაცხადა ძალაგამოცლილმა და დამენათევმა ანდრიკომ. ხურციძე ეშმაკურად იღიმებოდა.

დემური მიხვდა, ხურციძე რომ ანდრიკოსთან არ დარჩენილიყო, ამ უკანასკნელს დღეს არათუ ორჯერ, შესაძლოა, ერთხელაც არ გამოეჩინა თავი. ხურციძე, რომელიც დღეებსა და ღამეებს ასწორებდა კომპიუტერთან, მხოლოდ პორნოსაიტებზე დაძვრებოდა, გიჟივით იცინოდა სიხარულისგან, თუკი ვირტუალურ ქართველ ლამაზმანებს წააწყდებოდა ინტიმურ პოზებში და მაშინვე ანდრიკოს ურეკავდა:

– ბიჭო, ვიღაც გლდანელი ანჟელას ფოტოებია ინტერნეტში, იცი რა ძუძუები აქვს!

ხურციძეს ლაპარაკი ანიჭებდა სიამოვნებას, თხზავდა ათასნაირ ეროტიკულ თავგადასავალს, ჩურჩულებდა, კვნესოდა და დეტალურად აღწერდა სექსუალურ აქტებს მულატ გოგონებთან, ამბობდა, რუსი ქალები მაინც ყველას სჯობიანო (ესეც, ცხადია, მამამისი გრიშას ფრაზა იყო), თუმცა იქვე ამასაც დასძენდა: ასარჩევად რო მქონდეს საქმე, ისევ ქართველს ავირჩევო, და მერამდენედ მოყვებოდა ამბავს მის მეზობლად მცხოვრები ოცი წლის ხათუნას შესახებ, ლიფტი გაჭედა და გიჟივით მეცაო.

სინამდვილეში, მეზობელი ხათუნასთვის მხოლოდ ერთადერთხელ ეკოცნა და ისიც ტუჩის კიდეზე, ორი-სამი წლის წინათ – ხათუნასთან ახლა მთელი უბნის ძველბიჭობა დადიოდა ჟინის დასაცხრობად და ხურციძეს იქ ვინ მიასუნინებდა.

ხურციძე ერთი-ორჯერ ბიძაშვილმა გოჩამ წაიყვანა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან და იქვე ჭკუაც დაარიგა, ტეხავს ბოზებში ფულის გადაყრაო.

ხურციძე დღედაღამ იქ წასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ უფულობის გამო კვლავ კომპიუტერთან ჯდომა უწევდა.

შორს არ იყო ის დღე, როდესაც ხურციძე თბილისის რომელიღაც ოფლისგან აყროლებულ დისკოთეკაზე დაბალ, ჭორფლიან და ჭიპში საყურეგაყრილ გოგონას გადაეყრებოდა, სახელად ირკას, ჯერ აკოცებდა, როგორც წესი და რიგია, მერე ფეხებზეც მოუქლასუნებდა ხელებს და სამუდამოდ დაივიწყებდა ინტერნეტ პორნოსაიტებს.

მანამდე კი თავადაც იტანჯებოდა და საბრალო ანდრიკოსაც ტანჯავდა. დემურზე, რაკი შეყვარებული იყო, ხურციძის ჯადო არ მოქმედებდა.

უცოდველი, ჯერჯერობით, მხოლოდ დემური გახლდათ, რადგან გასულ წელს, ზამთარში, ბაკურიანში ყოფნისას, ანდრიკოსაც ეგემა აკრძალული ნაყოფი, თუმცა ნაწილობრივ...

ბოლო წუთში, სამწუხაროდ, უარყოფილ და განდევნილ იქნა.

უფროსი დის დაქალი – რომელსაც ანდრიკო დიდის მოწიწებით და ვნებიანი კრძალვით უფათურებდა ხელებს – საქმე საქმეზე რომ მიდგა, ქალწული აღმოჩნდა და როცა ანდრიკომ მიუგო, არა უჭირს, მეც ქალწული ვარ, ერთად შევტოპოთ ცოდვის მდინარეშიო, დის დაქალმა თამუნამ შიშით განაცხადა, თბილისში საქმრო მელოდება, ვინმე ლევან აფშილავა, და მას ქალწულად უნდა ჩავბარდეო.

როცა ხურციძე უხერხულ ამბავთა თხრობას იწყებდა, ანდრიკო უმაღლეს ქალწულ თამუნას წარმოიდგენდა ხოლმე, რომელიც, ალბათ, რას აღარ იკადრებდა, ოღონდ კი ვინმე ლევან აფშილავას ქალწულად ჩაჰბარებოდა.

ხურციძე ეშმაკურად კი იღიმებოდა, მაგრამ ისიც დალილი ჩანდა.

– რამდენჯერ? – იკითხა დემურმა. – ორჯერ, – კიდეც ერთხელ დააკონკრეტა მთლად წახდენილმა ანდრიკომ.

– კიდეც აპირებთ?

ანდრიკომ ტანჯული მზერით გადახედა ხურციძეს.

– ნტ, – თავი გააქნია ხურციძემ, – არა მგონია.

ანდრიკომ შვებით ამოისუნთქა.

დემური საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ასეთი წუთები ყველაზე მეტად სძულდა – როცა სალაპარაკო არაფერი გაქვს, როცა უნდა იჯდე ძმაკაცებთან ერთად და უსაქმურობისგან თავი აგტკივდეს. თუმცა, სალაპარაკო როგორ არ ჰქონდა, რომ დაეწყო, ვერ გააჩერებდნენ.

– ხვალ სიყვარულს ავუხსნი, – თქვა მოულოდნელად.

– ვის? – იკითხა ანდრიკომ. დემური მიხვდა, რომ ჭკვიანი და დინჯი ანდრიკო დღეს მთლად გაედებილებინა ხურციძეს.

– ვის და ქეთო მასს... – ხუმრობა სცადა დემურმა.

– მერაბამ იცის? – ხუმრობა სცადა ხურციძემაც. ქეთო მასისა და სკოლის მოდარაჯე მერაბის ტრფობის ამბავი სკოლაში უკვე ჭორად დადიოდა.

– აზრი არა აქვს, – ნელ-ნელა ფხიზლდებოდა ანდრიკო, – ნადრიკუჩა ევასება, შენ რა შუაში ხარ!

დემური ანდრიკოს უზრდელობამ გააღიზიანა. ასეთი პირდაპირი ანდრიკო არასდროს ყოფილა. ეტყობა, ჯერ კიდევ ბევრი უკლდა მის საბოლოო გამოფხიზლებას.

– ციხეში ზის და... – თქვა დემურმა და მიხვდა, რომ პატარა ბავშვივით გამოუვიდა.

– ხო გამოვა ოდესმე... – საწოლზე წამოჯდა და კეფა მოიქექა ანდრიკომ.

– მერე დემურა ჩაჯდება და ნინჩოსაც მოეწონება, – კვლავ, როგორც იტყვიან, უკბილოდ გაიხუმრა ხურციძემ. თუმცა, როგორც ჩანს, სულაც არ ხუმრობდა.

– მაგას, – თქვა, – ეგეთები მოწონს, გაიგე. ჩათლახები (მამამისი გრიშას საყვარელი სიტყვა გაახსენდა), მკვლელები, ქურდები და ბეზპრედელები...

ამ უცნაურმა სლავურმა სიტყვამ ანდრიკო საბოლოოდ გამოაფხიზლა.

– არ გეწყინოს, – დემურს ხელი გაკრა, მომისმინეო, – ხო უნდა გითხრა, ბოლო-ბოლო... მაგარი შტერი გოგოა. თანაც, შარიანი. მოეშვი, რა...

ხურციძემ მეტი გონიერება გამოიჩინა.

– ჩვენთვის, კი ბატონო, ადვილია ასე ლაპარაკი, უკვე ამდენი ხანია გიყვარს, ადგე და წამოხვიდე, რთულია... მაგრამ შენც ხო გესმის, რა!

არაფერიც არ ესმოდა დემურს. სულ რაღაც თექვსმეტი წლის იყო, ასე ადვილად გოგოს ვერაფრით გადაიყვარებდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

ან სკოლა უნდა გამოეცვალა – რადგან აქ დარჩენა და ნინჩოს გადაყვარება სრულიად შეუძლებლად მიაჩნდა – ან ამასაც ფურთხის გუბები დაეყენებინა სადარბაზოსთან... ასე, ყოველ შემთხვევაში, მეტი შანსი ჰქონდა, რომ ნინჩოს შეემჩნია.

– აუ, – თქვა გულწრფელად, – ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ.

ანდრიკოს გული აუჩყყდა. ხურციძემ კომპიუტერის კლავიშები ნერვიულად ააწკარუნა. ეკრანზე შიშველი ქალი გამოჩნდა.

– თემქელი ცირა... შეხედეთ, რა ბაყვები აქვს!

ზარი მეთოთხმეტე

ნინჩომ სკოლა გააცდინა. მას დილითვე გამოუარა ნიკუშამ და ნადრიკუჩას სანახავად წაიყვანა ციხეში.

ნინჩოს ეძინებოდა. ნიკუშას, ჩვეულებისამებრ, ჭემმარიტად ავადმყოფური სისწრაფით მიჰყავდა მანქანა, ხოლო კაწკა, რომელიც ოცდაოთხი საათიდან ოცდაორს ნიკუშას მანქანაში ატარებდა, ამ უკანასკნელის გვერდით მოკალათებულიყო და რადიო-ტალღებზე

ჯამბულას ახალ და უკვე ფრიად პოპულარულ სიმღერას ეძებდა. ჯამბულა ქართველი პოპ-ვარსკვლავი გახლდათ. იყო მელოტი და გრძელი წვერი ჰქონდა.

ბანჯგვლიან მკერდს ვეებერთელა ვერცხლის ჯვარი უმშვენებდა.

ჯამბულა ამბობდა, მე რელიგიურ როკს ვუკრავო. რეჰშიც ეცადა ბედი და თავისი რელიგიურ-პატრიოტული ტექსტებით მთელ საქართველოში გაეთქვა სახელი. მღეროდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვისა და აღდგენის შესახებ; ასევე, წმინდა ნინოზეც, რომელიც ფარავნის ტბიდან შემოვიდა... უყურადღებოდ არ ტოვებდა აქტუალურ თემებსაც – რუსეთით, კვილით მღეროდა შავი ელექტროგიტარით ხელში, ჩვენს მიწებს გვართმევსო, ბოლმა ახრჩობთო, სტალინი რო ქართველი იყოო.

მერე, ეგზალტირებული თინეიჯერების თვალწინ, ელექტროგიტარას ნაფოტებად აქცევდა, ხავილით ემხოზოდა მუხლებზე და პირჯვარს ისახავდა.

ყოველივე ეს, ცხადია, ცეცხლმოკიდებული ჯვრების – ჯამბულას კონცერტების უცვლელი დეკორაციის ფონზე ხდებოდა.

მის ჰიტს, “რა გვიქნა დედა-აფეთქებულმა შაჰ-აბასმა!” მთელი საქართველო მღეროდა. როგორც იტყვიან, დიდიც და პატარაც.

ჯამბულას ჯგუფი ოთხი კაცისგან შედგებოდა. ოთხივეს ანაფორის მსგავსი ტყავის კაბა-შარვალი ემოსა, ოთხივეს მოემზა წვერი და ოთხივეს ჯამბულასავით უშველებელი ვერცხლის ჯვარი ეკეთა.

ჯგუფს თავდაპირველად “მირიანი და ნანა” ერქვა, მერე, უბრალოდ, “ჯამბულა და მოციქულები” ეწოდა.

ჯამბულა დიდი მარხვის დროს არასდროს მღეროდა. ამბობდა, ეხლა ესტრადნიკებმა იმღერონ, ჯოჯოხეთშიც ეგენი მოხვდებიანო.

ჯამბულა ჯიგრით მღერისო, ამბობდა ხალხი, ნეტავ ეგეთი იყოს ყველაო.

თუმცა, რა დასამალია და, პაწიებს, ანუ თინეიჯერებს მისი ლირიკული სიმღერები უფრო მოსწონდათ.

ახლაც, ჯამბულას დიდად ამაღელვებელი სიმღერა შეექმნა, რომელიც ამ სიტყვებით იწყებოდა – “არ მოგწონვარ?... ბებიაშენისამ!” – და რადიოებიც დილიდან საღამომდე ჯამბულას ახალ ჰიტს ატრიალებდნენ.

კაწკა სწორედ ამ სიმღერას ეძებდა.

როგორც იქნა, ჯამბულას სევდიანი ყმუილი გაისმა და კაწკაც დამშვიდდა.

– დღეს უკვე მეასეჯერ ვისმენ, – თქვა კმაყოფილმა და თვალები დახუჭა.

ნიკუშამ ფანჯრები ჩაწია და ჯამბულას ხმამ თბილისის ქუჩები მოიცვა.

ჯამბულას შესახებ აზრი ნიკუმამაც გამოთქვა:

– ჯიგარია, ტო! ანუ, შესძლებიაო სიმღერა.

– მთელი ღამე გავათენე, – თქვა ნინჩომ, – ლელუკას ვეჭორავებოდი, თვალები მეხუჭება, ისე მეძინება.

ნიკუმა დასერიოზულდა:

– რაღაც უნდა გითხრა, – მიმართა ნინჩოს და კაწკას გაუბრაზდა, – ცოტა ჩაუწიე, შეჩემა!

კაწკა უმაღვე დამორჩილდა მამაკაცს.

– რა იყო? – ნინჩომ სკამებს შორის შემოყო თავი. – ნადრიკუჩა მაგარ ძღწერშია (ნიკუმა უცნაურ სიტყვების ტრფიალი გახლდათ), უჩატისკულესია... მაგრა ცუდაა...

– კატუმას პონტში? – იკითხა ნინჩომ.

– კატუმას პონტში, იასნია. თანაც... – ნიკუმა გაჩუმდა, დაიძაბა, გახს ფეხი მიაჭირა, კინალამ “კოკა-კოლას” გამყიდველი პლედშემოხვეული ქალი მიასრისა.

– თანაც, რა? – უკან გადაქანდა ნინჩო.

– აყვანილი ყოფილა.

როგორც ჩანს, ნიკუმას პაუზა სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ ამ სიტყვას იხსენებდა: “აყვანილი”.

– რაა? – პირი დაალო ნინჩომ.

– ხო, კატუმას მიუწერია წერილი, მენძრევა, ვკვდები და ისე არ მინდა დავიბრიდო, რო სიმართლე არ გითხრაო, ცვეტში გეუბნები, აყვანილი ხარო, რვა თვის სირი იყავი, როცა დედაშენმა ინტერნატიდან გამოგიყვანა, იმიტო, რომ შვილი არ უჩნდებოდაო. მერე მამაშენი გაიპიზდა და მამაშენის ადგილი მე დავიკავეო...

– კატუმა ლეზბიანკა იყო? – იკითხა კაწკამ.

– არა, შე ჩემა, დეიდა, ნადრიკუჩას დედის და, პროსტა, იმ პონტში უთხრა რა, ქალიც და კაციც ოჯახში მე ვიყავიო... მერე დედაშენმაც გაჭიმა ფეხები და მე გაგზარდეთ... სირობებს ნუ მეკითხები, კააწ...

– რატო მიწერა? – ჩაილაპარაკა ნინჩომ და გაიფიქრა: “აუ, რა სიგიჟეა! მამა თორნიკემ რომ მკითხა, ქერა რატო ხარო, დედაჩემზე დავიწყე ფიქრი, აყვანილი ხო არ არი-მეთქი, და ამ დროს, პროსტა, აყვანილი ნადრიკუჩა ყოფილა!.. აუ, აი, მართლა რა სიგიჟეა!..”

– მე რა ვიცი, რატო მიწერა, დასირდა სიკვდილის წინ და მიწერა.

– ეხლა ნათესავები ნადრიკუჩას გამოყვანაში ფულს აღარ ჩაყრიან? – იკითხა ბრძენმა კაწკამ.

– ნათესავებმა, იასნია, იცოდნენ, პროსტა, ნადრიკუჩამ არ იცოდა, რა... აუ, დებილობებს ნუ მეკითხები, კააწ.

– რო დამირეკა, იმიტო იყო ეგეთი გაგიჟებული... – თქვა ნინჩომ და დაღლილობა იგრძნო, საკუთარ თავზე აეშალა ნერვები, რატომ გადაეკიდა მაინც და მაინც ამ ტანჯულ ნადრიკუჩას, გარშემო ხომ ამდენი ბიჭი იყო! გაიფიქრა, იქნებ მემშველოს და სემესტრის ბოლომდე გადამიყვარდეს კიდევო, თუმცა, იქვე თავისი ფიციც გაახსენდა, დღეში ერთ წუთზე მეტი რომ არ უნდა ეფიქრა და გონებაში მკაფიოდ წარმოთქვა, აუ, მორჩეს რა ამაზე ბაზარი, ნადრიკუჩა მიყვარსო.

ამასობაში, ნიკუშას მანქანა ორთაჭალის კოლონიას წუილით მიუახლოვდა...

კლასში შესული დემური თვალებით ამაოდ ეძებდა ნინჩოს.

ნუციკო სურმავას შეეფეთა, გადაკოცნა და ზარიც დაირეკა.

– ხო მოდიხარ თეიკოსთან? – ჰკითხა ნუციკომ.

დემურმა თავი დაუქნია.

კლასში სექსოლოგიის მასწავლებელი, ბატონი ვლადიმერ დოჩია შემოვიდა.

– მაშდამე, – ჩაახველა, – დევიწყოთ!

ო, როგორ ენატრებოდა ვლადიმერ დოჩიას ის დრო, როცა უნივერსიტეტში კითხულობდა პარტ-ისტორიას! როგორი პატივისცემით ეპყრობოდა ხალხი, როგორი სიყვარულით... მერე რელიგიის ისტორიის კურსს გაუძღვა და იმ დროსაც არა უშავდა, – უბრალოდ, ამ პერიოდს, სამოქალაქო ომი დაემთხვა და ლექციებზე სტუდენტ გოგონებთან უწევდა კამათი, ბიჭები არც დადიოდნენ...

ამ სექსოლოგიას კი ვერაფრით დაუდო გული, ცოტა ახალგაზრდა მაინც ვიყო, ამბობდა, გემოს მაინც ჩავატანდიო, ამ ბოვშებმა ახლა ჩემზე მეტი იციანო.

– სპერმატოზოიდი რომ არა, შენ ხარ ჩემი ბატონი... – დაიწყო ვლადიმერ დოჩიამ და მოეჩვენა, რომ ვიღაცამ გაიცინა, ამ დროს, ბავშვები სერიოზული სახეებით უსმენდნენ, – დამცინით ხო, თქვე გათახსირებულეზო!.. – აყვირდა მოულოდნელად, – გეიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, ჩემიზა არ ვწვალობ მე, თქვენთვის ვყვები ამგენს, თვარა დაგემართებათ რაცხა ოხრობა უვიცობის გამეისობით და მერე მიყარეთ კაკალი!..

ვლადიმერ დოჩია ბრაზობდა, ხოლო ნინჩო და ნიკუშა პატიმრებითა და მათი გულშემმატკვირებით გადავსებულ ოთახში ხვდებოდნენ ნადრიკუჩას (კაწკა მანქანაში იცდიდა და ჯამბულას სიმღერებს ისმენდა). ამჯერად, ნადრიკუჩა მშვიდად იყო. მუქი

სათვალე ეკეთა, სახეზე ფერი არ ედო. ნინჩოს ტრადიციული ეჭვი გაუჩნდა, განაჩხერც ხომ არ არისო.

ნინჩომ, ჯერჯერობით, არ იცოდა, როგორ უნდა გამოეხატა თანაგრძნობა.

“ვიზიარებ” – რაც გაიღვიძა, ამ სიტყვას იხსენებდა. როგორც კი ციხეს მიუახლოვდნენ, მაშინვე გაახსენდა, თუმცა იმდენად ეხამუშა, რომ უმაღვე დაივიწყა. “ვწუხვარ” – ცხადია, ვერც ამ სიტყვას იტყოდა. ვერ ვიტან ქართულ ენასო, დღეს უკვე მერამდენედ გაიფიქრა ნინჩომ და დაბნეულობისგან ნადრიკუჩას მეტად უცნაური შეკითხვით მიმართა:

– აუ, პროსტა, რატო მოკვდაა?

ნადრიკუჩას გაეღიმა და ჩინელს დაემსგავსა, უფრო სწორად, უზბეკს, ან ყაზახს. განიერი პირისახე ჰქონდა. ქართველს ნამდვილად არ ჰგავდა. ეტყობა, მართლა აყვანილიაო, გაიფიქრა ნინჩომ, მერე კი გულწრფელად უთხრა:

– ძაან მენატრები, – და რაკი გვერდით ნიკუშაც ეჯდა, თავის გულწრფელობას ოდნავი არტისტიზმიც შეჰმატა, – აი, უძაანესად!..

– აფთარა დაიჭირეს, – თქვა ნიკუშამ.

აფთარა მათი თანატოლი, საბურთალოელი კრიმინალი გახლდათ.

– ვიცი, – მოკლედ მოუჭრა ნადრიკუჩამ.

– აქ ხო არაა?

– მოვა, სად წავა...

ნინჩოს ჭირვით ეზიზღებოდა ნადრიკუჩას და მისი ძმაცაცების მოკლე და აბსტრაქტული აგრესიით გამსჭვალული დიალოგები, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც აგრერიგად მოლაპარაკე ბიჭები მოსწონდა.

მერე ისევ თვითონ ალაპარაკდა, დღეს თეიკოს დაბადების დღეაო.

მიულოცეო, უთხრა ნადრიკუჩამ. ნინჩო შეწუხდა, მე მგონი, არ უნდა მეთქვაო, კაცს დეიდა მოუკვდა, აყვანილი ყოფილა, თან ციხეში ზის და რა დროს თეიკოს დაბადების დღის ხსენება იყოო.

ცოტა გაიბუტა კიდევ. იცოდა, გაბუტვა მოუხდებოდა.

– აუ, მაშინ რატო მეჩხუბე? დედა მომიკვდეს, თუ ძაან არ მწყენოდა... იცი, როგორ შემეშინდა!

ნიკუშამ ნინჩოს ხმაში კაწკას ხმის ტონებიც ამოიცნო. ყველა გოგო ერთ პონტში ბაზრობსო, ესეც გაიფიქრა.

ნადრიკუჩას კვლავ გაეღიმა და ისევ უზბეკს დაემსგავსა. ხმა არ ამოუღია.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი, როგორც ასეთი, ნინჩოსა და ნადრიკუჩას შორის, ვერ შედგა.

სიმართლე რომ ითქვას, ამ მხრივ, ვერც ნიკუშამ გამოიჩინა თავი.

– ეხლა პანაშვიდზე მივდივართ, – თქვა წასვლის წინ.

ნადრიკუჩამ უხმოდ ჩაახველა და წვრილი მხრები აუტოკდა.

– თუ რამეა, აქა ვარ, – თქვა ბოლოს და ნინჩოს ლოყაზე აკოცა, – ჯიგარი ხარ, რო მოხვედი...

ეს სიტყვები ისე უთხრა, თითქოს ნინჩო მისი შეყვარებული კი არა, ნათესავი, ან ძმაცაცის სატრფო, იგივე ნაშა, ყოფილიყოს.

ნინჩო ნაწყენი და დასევდიანებული წამოვიდა ციხიდან. დაიწუწუნა კიდეც: აუ, ნიკუშ, გამაგებინე, რა ჭირსო.

რა უნდა ეთქვა ნიკუშას? არაფერიო, დაამშვიდა ნინჩო, მაგარ გატეხილშია, გატისკულია სულიერ პონტშიო.

აუო, გაიფიქრა ნინჩომ, თუ აღარ ვუყვარვარ, დავაი და კარგად იყოსო, რა. თავს არც მე მოვიკლავო!

თუმცა, იცოდა, მისი გაბრაზება დროებითი იყო. სიბრაზე, როგორც შეყვარებულ მოკვდავთ სჩვევიათ, მალე გაუვლიდა.

კაწკა, რომელიც ნინჩოსა და ნადრიკუჩას მანქანაში ელოდა, უკვე ასმეერთეჯერ ისმენდა ჯამბულას ახალ ჰიტს: “არ მოგწონვარ?... ბებიაშენისამ!”

– რას შეება? – ჰკითხა ნინჩოს.

– ხმა არ ამოუღია, მაგარი დაგრუზულია და დედა მომიკვდეს, ჩვენც მაგრა დაგვგრუზა.

– აღარც დაგვგრუზოს, ტო! – ძმაცაცს გამოესარჩლა ნიკუშა, – ქალები მაგარი ისინი ხართ, რა... (ნიკუშამ, სამწუხაროდ, სიტყვა ეგოისტები ვერ გაიხსენა).

ნიკუშამ მანქანა ცხოველური სისასტიკით მოატრიალა და კინაღამ კიდეც ერთი პლედშემოხვეული “კოკა-კოლას” გამყიდველი ქალი მiasრისა კედელს. ნინჩომ დაამთქნარა:

– აი, პანაშვიდები, პროსტა, ძან მეზიზღება.

სწორედ ამ დროს ვლადიმერ დოჩია დაფაზე ცარცს აკაკუნებდა.

– ეგი ქალია, – მასწავლებელი ქალისა და მამაკაცის დახატვას ცდილობდა, – ეგი კაცი. ვლადიმერ დოჩიამ ქალს კაბა ჩააცვა და ქოლგა დააჭერინა, კაცი მხოლოდ შარვლითა და ჰალსტუხით შემოსა. ქალისთვის ლიფის დახატვასაც შეეცადა, მაგრამ რაკი ამჯერად მართლა შემოესმა ბავშვების ქირქილი, ქალსაც მიახატა ჰალსტუხი.

– კაცი რო ქალს გადევკიდება, – განაგრძო ვლადიმერ დოჩიამ, – და ქალი რო ვარს სტკიცავს, მაი არ დეიჯეროთ, ბოვშებო, ქალი იერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს. აგი მე ბიჭების გასაგონად ვთქვი, თვარა გოგოებმა კი იცით ისედაც... მაშდამე, ქალს სხვაფერი მიდგომა სჭირია, სხვაფერი ჭკუა-გონება აქს და მიტომ!.. ქალი და კაცი ღმერთმა იმიზა შექმნა, რომე ბოვში დეიბადოს რაცხანაირად, მარა ქალს მარტო ბოვშიზა ხო არ გეექაჩები, გემოც ხო უნდა ჩაატანო ამ წყეულ წუთისოფელს!.. დიდი ოხერი ვინმეა, საზოგადოდ, ქალი!.. და კაციც, რასაკვირველია!.. ამიტომ, თქვენ შემოგეველეთ-თქვა, იერთმაც უნდა დეიცვას თავი და მორემაც!.. ჯერ კარგად გამეიკითხეთ, საიდანაა, რავარი ოჯახიდან, დებილი ხო არ ყავს გვარში, და მერე დეიგულეთ, სად გეიქცევა?.. იყიდეთ ეგი... რა ქვია... გონდოლი... და რავარც მეგეხასიათებათ, ისთე მეიქეციოთ!..

ამასობაში, ნიკუმას მანქანამ გოგებაშვილის ქუჩაზე ამოუხვია.

კატუმა დეიდა, ნადრიკუჩასთან ერთად, გოგებაშვილის ცამეტში ცხოვრობდა. ისე კი, ნადრიკუჩას სახლი, როგორც ნიკუმა ამბობდა, კოლონია იყო.

ქალებმა რომ ერთმანეთის ურცხვი ცნობისმოყვარეობით თვალიერება იციან, ცნობილია. პანაშვიდზე მსხდომი მგლოვიარე ქალები – ჭირისუფალთა ნათესავ-მეგობრები – უტიფარი მზერით აკვირდებიან სამძიმარზე მოსულ უცნობ ქალებს და გონებაში, ალბათ, ქულებსაც უწერენ.

ჯერ ფეხებზე შეხედავენ ხოლმე, კაცებზე უფრო გამომწვევად, მერე ზემოთაც აუყვებიან, შეუფასებენ მკერდს, პირისახეს, ვარცხნილობას და, ცხადია, ტანსაცმელს. კიბეს სამძიმარზე მოსულთა გრძელი რიგი მიუყვებოდა. უეცრად, მოხუცი ქალი, რომელიც ხალხს წინ მოუძღოდა, ბინაში შესასვლელ კართან შეყოვნდა, ზარის ღილაკს თითი მიაჭირა და მთელ ხმაზე აკივლდა:

– იმან გამიღოს!.. კატუმამ გამიღოს!

მოხუცებული ძლივს დააწყნარეს სადარბაზოში მდგომმა მოწყენილმა და დაბნეულმა მამაკაცებმა, სამზარეულოში გაიყვანეს და იქ მოღვაწე შაოსან ქალებს ჩააბარეს.

ჯერ ნიკუმა შევიდა ოთახში, მერე ნინჩო, რომელსაც კაწკა მოჰყვებოდა უკან. მოლულლულე და სიცხისგან შეღონებული ქალებიც მაშინვე მიჩუმდნენ და ნინჩოს მიაშტერდნენ. ათვალ-ჩაათვალთადა, შეაფასეს და გონებაში კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვეს.

“ნეტავი იციან, ნადრიკუჩას შეყვარებული რომ ვარ?” – დაინტერესდა ნინჩო.

– შენ გენაცვალე, დედიკო, კაი გოგო ხარ, – ხელზე მიეფერა ვილაცა, გამხდარი, ლოყაწითელი ქალი, ნელსაცხებლებით ალაპლაპებული კანით, – თემურიკოს ბიცოლა ვარ, დედა, – გამოეცნაურა ნინჩოს, – დიდი მადლობა.

– არაფრის, – დაიბნა ნინჩო და გაიფიქრა: “ესე იგი, იციან”.

კუბოში ერთი ბეწო ქალი იწვა.

ნინჩოს საშინლად ეშინოდა მიცვალებულების და არ უნდოდა კუბოსკენ გახედვა, თუმცა, თვალი მაინც გაეპარა.

“ეხლა რო წამოხტეს და მეცეს, თავი დაანებე ნადრიკუჩასო, დედა მომიკვდეს, მეც აქვე თუ არ მოვკვდე”, – თავში გაუელვა ნინჩოს და გული აუჩქარდა.

ნიკუშა, როგორც წესია, სადარბაზოში შეყოვნდა და ლიფტთან მგლოვიარე ყმაწვილებს გაესაუბრა. საბრალო ყმაწვილებს კი თვალები ნინჩოსკენ ეპარებოდათ, კაწკას ზედაც არ აფურთხებდა არავინ.

ნინჩოს უკვირდა: “რატო მიყურებენ, დღეს ხო უშნო ვარ”.

დღეს, რატომღაც, თავისი თავით უკმაყოფილო იყო. გაღვიძებისთანავე, ჩვეულებისამებრ, სარკეში ჩაიხედა და ხასიათი, რომელიც დილაობით ისედაც ცუდი ჰქონდა, კიდევ უფრო გაუფუჭდა.

ასე იცოდა ხოლმე. მართალია, ყოველთვის ერთნაირად ლამაზი იყო, მაგრამ ზოგჯერ აიჩემებდა ხოლმე, დღეს მახინჯმა გავიღვიძე და ამიტომ სახლიდანაც არ გავალო. მაგრამ სახლიდან მაინც გადიოდა, დილიდან საღამომდე სახლში ვერაფრით გააჩერებდი.

უკვე სახლში მისული, მაშინვე ეცა ტანსაცმლის კარადას და თავი თეიკოს დაბადების დღეზე წასასვლელად განიწყო. იმას ჩავიცვამ, რაც ხელში მომხვდებო, გაიფიქრა. თორემ არჩევა რომ დაეწყო, არაფერი მოეწონებოდა, ნერვები აეწეწებოდა და, ასე განსაჯეთ, შესაძლოა, ისტერიკაც კი დამართნოდა.

ნინჩო, როგორც წესი, ორმოც-ორმოცდახუთ წუთს ანდომებდა ტანსაცმლის არჩევას.

ნინუკა – საათს.

ლელუკა – საათნახევარს.

ხოლო ნუციკო – სამ საათს.

ნუციკოს არაფერი უხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფიქრობდა ასე. რა დიეტა აღარ გადასინჯა, მაგრამ ვერაფერმა უშველა.

როცა ვინმე შეუყვარდება, მერე გახდება, ამბობდა ბრძენი დედამისი. თინათინ ლობჯანიძე, ანუ ნუციკოს დედა, ქმარს ათი წლის წინ მიეტოვებინა და რუსეთში

გადასახლებულიყო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რუსეთშივე მოეყვანა რუსი ცოლი და ოქროსკულულებიანი ვაჟიც შესძენოდა.

ნუციკოს სძულდა მამამისი, თინათინ ლობჯანიძეს კი დღემდე უყვარდა. ზოგჯერ, ღამ-ღამობით, ნუციკოს დედამისის ტირილი აღვიძებდა ხოლმე. დღისით თავშეკავებულ და გაწონასწორებულ თინათინ ლობჯანიძეს ნერვები ღამით ღალატობდა. ნუციკო ღელავდა. შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად სწორედ ნერვიულობის გამო გასუქდა.

როცა მამამისი რუსეთში გადასახლდა, ხუთი თუ ექვსი წლის იყო. მას მერე მამამისმა ერთი-ორჯერ დაურეკა. ოდესღაც ფეხსაცმელებიც გამოუგზავნა. ოღონდ, მამაკაცის. ეტყობა, აერიაო, უთხრა თინათინ ლობჯანიძემ ნუციკოს, მაგრამ ნუციკო სხვანაირად ფიქრობდა, დაავიწყდა, პირველი შვილი გოგო რომ ჰყავსო, მაგ დამპალს მეც ბიჭი ვგონივარო.

ერთხელ, კაბაც კი გამოუგზავნა, ლურჯი, დაკოპლილი ყვითელ-ყვითელი ვარდებით, რომელიც ნუციკოს ბებიას უფრო მოუხდებოდა. სინდისი აწუხებს და კაბა ამიტომაც გამოგიგზავნაო, თქვა თინათინ ლობჯანიძემ, მაგრამ ნუციკო მთლად გადაირია – მაგ დამპალს (კვლავ ამ ეპითეტით მოიხსენია) სინდის-ნამუსი რო ჰქონდეს, ამ სიმახინჯეს კი არა, ფულს გამოგვიგზავნიდაო. თინათინ ლობჯანიძეს სიტყვა “ფულის” გაგონება არ ესიამოვნა და ქალიშვილს აკანკალებული ხმით ჰკითხა, რამე გაკლიაო? ამ შეკითხვას გრძელი, დაუნდობელი და უაზრო მონოლოგი მოჰყვა ნუციკოს მხრიდან – რომელიც, როგორც ყოველთვის, სააბაზანოში გაგრძელდა – შუადამისას კი თინათინ ლობჯანიძის სლუკუნი გაისმა. დილით, ახალი კაბა ფიზიკურად აღარ არსებობდა, ნუციკოს მამამისის მიერ გამოგზავნილი კაბა გამთენიისას დაეკუწა მაკრატლით.

ახლაც, თეიკოსთან წასვლის წინ, სიმსუქნისგან სასოწარკვეთილ ნუციკოს – რომელსაც არაფერი უხდებოდა – მამამისის გამოგზავნილი და მის მიერ განადგურებული ლურჯი კაბა გაახსენდა და ტირილი მოუხდა – ერთდროულად სძულდა და ეცოდებოდა კიდეც, როგორც მამამისი, დედამისიც, ბებიამისიც და საკუთარი თავიც.

“მე მხოლოდ მაწვნის დიეტა მიშველის”, – დამშვიდდა ბოლოს.

დემური, ამასობაში, თმას წყლით ისველებდა და ხრინწიანი ხმით ცდილობდა ლაპარაკს. მსმენელი არავინ ჰყავდა, ესეც, ნუციკოსავით, თავის თავს ელაპარაკებოდა:

– ბოლო-ბოლო, მეც ვისწავლი ძერსკობას.

ნიკუშას მანქანაში კი ჯამბულას სიმღერას უსმენდნენ:

“ნანაი-ნანაი-ნა-ნა... ღმერთო, დალოცე თინეიჯერებიი!”

ზარი მეთხუთმეტე

– შენ სად ცხოვრობ? ნინუკამ ჰკითხა.

– ვაკეში, – მოიტყუა დემურმა. რატომღაც რცხვენოდა, საბურთალოზე რომ ცხოვრობდა. ბებიათაძის ერთოთახიან ბინას – ყიფშიძის ქუჩაზე – თავის სახლად ასაღებდა.

ნინუკასთან საუბარი ამ კითხვა-პასუხით შემოფარგლა.

ნინუკა მოცეკვავე გოგონებს შეუერთდა, დემური – აივანზე მდგომ ანდრიკოსა და ხურციძეს.

სუფრასთან არავინ დამსხდარა, რადგან სუფრა არც იყო. გრძელი მაგიდა კედელთან მიედგათ და ზედ საჭმელ-სასმელი მიეყარათ. მიხვიდოდი, თეფშს კერძეულით აავსებდი და სადაც მოგეხასიათებოდა, ოთახის იმ კუთხეში დაინაყრებდი კუჭს.

გოგონები ფეხმძიმე თეიკომ და მისმა ქმარმა, ვანჩომ ააცეკვეს.

მთვრალმა რამაზიკო გვათუამ სითამამე გამოიჩინა და ინგლისურის მასწავლებელი, ჯენიფერ ბარდშოუ ააცეკვა. მსუქანმა და ღიმილიანმა ჯენიფერმა უხერხულად, მაგრამ ენერგიულად გაიქნია ხელ-ფეხი, ცეკვის დროს ხმამაღლა იცინა და ბოლოს მოსწავლეთა აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. ცეკვის დროს, ცხადია, შეწითლდა კიდეც.

თეიკომ ქეთო მასიც დაპატიჟა, რომელიც არ ცეკვავდა, კუთხეში იჯდა და ბავშვებს უღიმოდა. აუ, ქეთო მას, არ მოიწყინოთო, ყველა ამას ეუბნებოდა, – თავი დამანებეთო, მე ჩემებური გართობა ვიციო, ბრაზდებოდა ეს უკანასკნელიც.

ოთახის ერთი კუთხე შავებში გამოწყობილ ბიჭებს დაეკავებინათ, მეორე კუთხე თეიკოს ნათესავებს – აკურატულად ჩაცმულ სამ გოგონასა და ორ ბიჭს. დედამისს რომ არ ეაქტიურა, თეიკო ნათესავებს არც დაპატიჟებდა. ჩემ კლასელებს არ იცნობენ და ვერც მე მივაქცევ ყურადღებასო, ამბობდა. დედამისი კი განრისხდა, ნაზის, გოგის და ენდიკოს შვილები (ახლო ნათესავების სახელები ჩამოთვალა) ჩემი შვილებიც არიან და თუკი ამ ბავშვებს არ დაპატიჟებ, არც შენს სვეცკი კლასელებს შემოვუშვებ სახლშიო. დიახ, სწორედ ეს სიტყვა თქვა: სვეცკი.

რა უნდა ექნა თეიკოს, ადგა და დაპატიჟა ნათესავები – უწესიერესი და უზრდილობიანესი, დაბანო-დავარცხნილი მღუმარე ბავშვები, რომელნიც ერთმანეთსაც კი არ ელაპარაკებოდნენ – თეიკოს კლასელებს ათვალთვლებდნენ. თეიკოს დედა ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მირბოდა მათთან და რამე შეჭამეთო, ეხვეწებოდა. თავდაპირველად უარობდნენ, მერე კი სვავებივით დააცხრნენ ხაჭაპურს.

შიგადაშიგ თეიკოს მშობლების მძლოლიც შემოდოდა ოთახში, რომელსაც სლიკინა ღიპი მოუჩანდა ოფლისგან დანამული მათისურიდან, – სუფრას წვენებითა და ალკოჰოლური სასმელით ავსებდა და ქშენა-ქშენით უჩინარდებოდა. ასეთ დროს თეიკოს დედა ბავშვებს კისკისით ემუქრებოდა, ბევრი არ დალიოთ ბავშვებო, თორემ ყველას ჩემი ხელით GAGLAგაგლახავთო, თან ქეთო მასს ჩურჩულით ეუბნებოდა, სულაც არ მინდოდა, რომ ღვინო დაელიათ, მაგრამ ზურკომ (თეიკოს დედა ქმრის სახელს დღეში, სულ ცოტა, ორმოცჯერ მაინც ახსენებდა) მითხრა, უკვე დიდები არიან და თავი მოგვეჭრება, ღვინო

რომ არ დავახვედროთო. თუკი ბევრს დალევენ, ამშვიდებდა თეიკოს დედას ქეთო მასი, არც მე ვითაკილებ მათ გალახვასო.

ქეთო მასი ფიზიკურად კი იყო თეიკოს დაბადების დღეზე, მაგრამ გული სხვაგან ჰქონდა – მობილური ტელეფონი ცხვირსახოცში გაეხვია (ასეთი ჩვევა ჰქონდა) და ზარის მოლოდინში ფრჩხილებს იკვნეტდა.

მერაბის ზარს ელოდებოდა...

ნინჩო, როგორც სჩვეოდა ხოლმე, დაქალებთან ერთად ყოველ თხუთმეტ-ოც წუთში ერთხელ შერბოდა სააბაზანოში და კატუმა დეიდას პანაშვიდზე ჰყვებოდა.

სააბაზანოში ჭორაობას არაფერი შეედრებოდა!

– შენა და, – ნინუკა პომადით იწითლებდა ტუჩებს დაპირმომუწული ლაპარაკობდა, – რაო ნადრიკუჩამ, ძან გიჟათ იყო?

– დედა მომიკვდეს, ვაბშე არა, – ამბობდა ნინჩო, – პროსტა, ყურები ჰქონდა, რაღაც პონტში, ძან ჩამოყრილი, საყვარლად...

“ვირივით”, – ფიქრობდა ნუციკო, მაგრამ არაფერს ამბობდა.

მერე, ტუალეტიდან გამოსულები, კვლავ ენერგიულად აცეკვდნენ. ნინჩოს შარვალი ეცვა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ცეკვავდა. თეიკოს ქმარს, ვანჩოს, კლასის მასხარად წოდებული, სულიჩა დაეთრო და თავადაც დამთვრალიყო. სულიჩას ცალ ხელში ცარიელი ბოთლი ეჭირა, მეორეს უმისამართოდ იქნევდა. თან ბლაოდა, ეცინებოდა და ლაპარაკს ვერ ახერხებდა. სულიჩას დღეს ზუსტად სამჯერ მოუწევდა რწყევა.

ცეკვისგან დაქანცულ, მომღიმარ ჯენიფერს თეიკოს დედა რუსულ-ინგლისურად ელაპარაკებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯენიფერს რუსულად ერთი სიტყვაც არ ესმოდა. ანდრიკო მეთერთმეტე ეკლერს ყლაპავდა. არ შიოდა, მაგრამ არც გაჩერება შეეძლო, რამე ხომ უნდა ეკეთებინა.

ხურციძეს დემურისთვის გადაეხვია ხელი.

– ისე, – ეჩურჩულებოდა დემურს ხურციძე, – მართლა მაგარი გოგოა.

ნინჩოზე ეუბნებოდა.

დემურმა გაიფიქრა, ეხლა ერთი კვირა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ნინჩო უნდა მესიზმრებოდესო.

რამე უნდა ვქნაო, ეგებ გამოველაპარაკო მაინცო.

ამის გაფიქრება და კუჭის აბუყბუყება კი ერთი იყო.

რა უნდა ეთქვა ნინჩოსთვის? რაზე უნდა ელაპარაკა? რითი უნდა დაეინტერესებინა ნინჩო?

იქნებ ყურადღება მივიქციოო?

მაგრამ როგორ?

ხურციძეს ხომ არ წაეთაქოს, მეგობრულად, თუმცა ოდნავ ჯიქურად...

იქნებ ანდრიკო მიტუქსოს, ნინჩოს გასაგონად, რამდენს ჭამ, ბიჭო.

მოკლედ, თავისიანებს ხომ არ დაერიოს?

თუ შავებში გამოწყობილ თანაკლასელ ბიჭებს მიეტმასნოს?

არ გაუკვირდებათ? ხომ არ დასცინებენ? თვალში ხომ არ მოხვდებათ მისი უეცარი გაძველებიჭება!

ამ ფიქრებში იყო, როცა კვილის ხმა შემოესმა. თეიკოს ერთ-ერთ ნათესავს შიშისგან ხაჭაპურიც კი გაუვარდა ხელიდან, თეიკოს დედას გონებაში სისხლიანი სცენა წარმოუდგა – ეტყობა, ბიჭებმა ერთმანეთს დანა დაუსვესო, ხოლო ჯენიფერმა ყურებზე აიფარა ხელები, თუმცა კვლავ ილიმებოდა.

სანამ რამეს მიხვდებოდნენ, ოთახში აწითლებული ნუციკო სურმავა შემოვარდა. თურმე, სწორედ ის კიოდა. ახლა კი ტიროდა კიდევ. მერე გაბრაზდა, თავს რატომ ვერ ვაკონტროლებო, და გასასვლელისკენ გაიწია, თუმცა გოგოები შემოეხვიენ და წასვლის საშუალება არ მისცეს.

– აუ, პროსტა, რა მოგივიდა?.. დედას გაფიცებ, მითხარი!.. დებილი ხარ, რა გატირებს!..

ოთახში მხოლოდ ეს სიტყვები ისმოდა. იცინოდა მხოლოდ სულიჩა, რომელიც ხუთი წუთის წინ გოგონებთან ერთად ცეკვავდა. აუო, ამბობდა ჩლიფინით (ქვედა ოთხი კბილი არ ჰქონდა და ამიტომაც ჩლიფინებდა), ბოი განადარდი ვიყოვო, გიდივით (ანუ გიჟივით) გამოვადდაო (ანუ გამოვარდა).

თურმე, ნუციკო კი შეჰყვა დაქალებს ტუალეტში, მაგრამ უკან არ გამოჰყოლია, იქ დარჩენილა – დაქალებთან ერთად განტვირთვისა რცხვენოდა. სულიჩა კი მისდგომია ტუალეტის კარს და აუტეხავს ბრაზხუნი, გამიღეთ, თორემ თქვენ დედებს შევდდემო (ვგონებ, განმარტება არ არის საჭირო). თავის ჭკუით, ხუმრობდა. ნუციკოს ხმა არ ამოუღია, თუკი გავიყიდები, ეგ ისეთი დეგენერატია, უარესად ახმაურდებაო, და სწრაფ-სწრაფად დაუწყია მრავალლილიანი კაბის შეკვრა. ამასობაში, სულიჩა კარს დაჯაჯგურებია, საკეტი გამოუმტვრევია და სასოწარკვეთილი, აწითლებული ნუციკოსათვის სახეში შეუხარხარებია.

ეს იყო და ეს. ნუციკო კინაღამ გადარეულა. ახლა კი მთლად გაბრაზებულიყო, სულაც არ უნდოდა ყურადღების ცენტრში ყოფნა! და მოდაო (ანუ, რა მოხდა)? – კვლავ ხუმრობდა სულიჩა, ბოიღვიდი ვიყვე, ადაფედი დამინახავდო. ამ წინადადებას ნუციკო კიდევ უფრო გააწითლა და ამოიგმინა კიდევ, გამიშვითო. გოგონები წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

სულიჩამ ისევ გაიცინა, ამჯერად უხერხულობისგან და უეცრად თითქოს რაღაც მოხდაო დემურის სხეულში – კუჭმა ნერვიული ბუყბუყი შეწყვიტა და ხმას ხრინწი შეემატა:

– რა გაცინებს, – მიმართა მან სულიჩას და მიუხედავად იმისა, რომ გარდატეხის ასაკიდან ორიოდე წლის წინათ გამოელწია, მოულოდნელად ჩახლეჩილმა ყელმა ყვილნარევი ბგერებიც გამოსცა, – რა გაცინებს, შე ჩემა?

დიახ, “შე ჩემა”, – ეს შთამბეჭდავი ჟარგონიც აღმოთქვა და ღმერთს უმაღლვე შესწირა მადლობა, რადგან ნინჩომ პირველად გამოხედა რაღაცნაირად...

ნუციკოს მადლიერ და გაკვირვებულ მზერასაც წააწყდა და თუმც ყოველივე ეს წამებში მოხდა, დემურმა იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და მალე, ღვთის შეწევნით, ეგებ, ეძველბიჭა კიდევ, – ეს შე ჩემა ხომ ასე დამაჯერებლად გამოუვიდა!

ნუციკომ გარეთ გააღწია, ბინაში სასწაულებრივად აღმოცენებულ ლიფტს აღარ დალოდებია, გაიჭრა დერეფანში და ფეხით ჩაირბინა ოთხი სართული, გასასვლელში კი ქალური მიხრა-მოხრის მქონე ლადუნას მიენარცხა და უკანმოუხედავად გავარდა ქუჩაში.

– ქალო, გადაირიე? – მიაძახა ქალაჩუნა ლადუნამ, რომელსაც თეიკოსათვის თავისივე გამომცხვარი ტორტი მიჰქონდა საჩუქრად.

ტორტი კინალამ ხელიდან გაუვარდა, ძლივს დავარცხნილი გრძელი თმა აეშალა და ტორტის ოთხი ქონქოროზიდან ერთ-ერთი ნახევრად გამჭვირვალე მაისურზე მიეცხო.

– თმით გითრევ, დამპალო! – დაიყვირა ლადუნამ და ნაბიჯების ხმა მოესმა, კიდევ ვიღაც მორბოდა ზემოდან.

გოგონებიდან მხოლოდ ნინჩო გამოედევნა ნუციკოს, ბიჭებიდან – დემური.

– აუ, რამ გადარია ასე? – ნინჩო მელოდიურ შეკითხვებს სვამდა, – ეს სულიჩა, ყველა მომიკვდეს, მაგარი გასატისკი თუ არ იყოს!..

დემური ყურებს არ უჯერებდა, ნინჩო მას ელაპარაკებოდა.

– ხო, – თქვა ხმადაბლა, თუმც მტკიცედ, – საცემია... თან ცდილობდა ნინჩოს არ ჩამორჩენოდა. ლადუნა კიბეებზე შეეფეთათ.

– არ დამაგდო, ქალო, – დაიყვირა გაღიზიანებულმა, – ტორტი მიჭირავს!

ნინჩომ ლადუნა გადაკოცნა. ლადუნამ ტუჩი მოგრიხა, ნინჩოს ლოყას ვერ მისწვდა. დემური მას არ იცნობდა.

– აუ, სად წავიდააა? – იყურებოდა აქეთ-იქით ნინჩო.

– ეტყობა, – თქვა დემურმა და მაშინვე ინანა, ასეთი არქაული სიტყვები ლაპარაკის დროს აღარ უნდა ვიხმარო, ბევრად უფრო მარტივად უნდა ვილაპარაკო, ეტყობას და

ამისთანებს ბებიაჩემიც აღარ ხმარობსო, და ასე დაასრულა წინადადება – ნუციკოს მაგრა გაუტყდაო.

– ეგეც დებილია რა, ყველაფერზე ბრაზდება, – წუხდა, თავის მხრივ, ნინჩო.

დემურმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა, ნინჩოს ყველა რეპლიკაზე კომენტარი რომ გავაკეთო, ჩემს სიტყვებს ფასი დაეკარგებაო.

უკან დაბრუნდნენ. ამჯერად, მეოთხე სართულზე ლიფტით ავიდნენ.

– შენ სად ცხოვრობ? – ჰკითხა ნინჩომ დემურს.

– ვაკეში, – დღეს უკვე მეორედ იცრუა.

ეს უკვე სასწაულის ტოლფასი იყო, ნინჩომ მთავარი შეკითხვა დაუსვა.

გოგოები, ამასობაში, სულიჩას ტუქსავდნენ.

თეიკოს დედამ, ყოველი შემთხვევისთვის, სააბაზანოში შეიხედა და გატეხილ საკეტს რატომღაც ხელით მიეფერა.

ქეთო მასმა თითქმის ლექსად გალანძღა სულიჩა და ბოლოს ისიც უთხრა, ახლავე გაეკიდე და ბოდინში მოუხადეო.

საბრალო სულიჩა გონზე არ იყო, ცოტაც და მეორედ მოუწევდა რწყევა. ერთხელ უკვე ერწყია, ფარულად, კარადაში, სადაც თეიკოს მამის ჩვიდმეტი ჰალსტუხი ეკიდა.

ქეთო მასს ტელეფონი სწორედ ქადაგების დროს აუციმციმდა – მერაბისგან მოვიდა გზავნილი:

CHAMODU

მერაბი ასოებს არასწორად კრეფდა, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა ქეთო მასს, ბავშვებსა და ჯენიფერს გამოემშვიდობა და ლიფტს მიაშურა. ლიფტთან თეიკოს დედა წამოეწია, ქეთო მასი გადაკოცნისას პომადით მოთხვარა და პირველს მიაჭირეთო, უთხრა.

ცხადია, ქეთო მასი იმ ღილაკს მიაჭერდა, რომელსაც ერთიანი ეხატა, მაგრამ თეიკოს დედის ყურადღება მაინც ესიამოვნა და როცა ლიფტის კარი დაიხურა, გუშინდელი მერაბი წარმოიდგინა.

გუშინდელმა მერაბმა ქეთო ცარიელი სამასწავლებლოს ერთ-ერთ კუთხეში მიიმწყვდია და უთხრა:

– დედაჩემს შენზე ვუთხარი.

ქეთო მასმა აღელვება გაითამაშა, ვაიმე, როგორ მრცხვენიაო, თუმცა მაშინვე შეზიზღდა მერაბის მშობელი. ამან კი, გუშინდელმა მერაბმა, მაგრად მომუწული ტუჩები მიაბჯინა ქეთო მასის ტუჩებს.

მაგრამ ეს გუშინდელი მერაბი იყო, ნეტავ რას მოიმოქმედებდა დღევანდელი მერაბი? მერაბი სადარბაზოსთან ელოდა, სიგარეტს აბოლებდა.

– აკი არ ვეწევით? – გადაკოცნა ქეთომ.

– შენ დამაწყებიე, – ასო-ბგერა “წ” გამოტოვა მერაბმა (ცნობისათვის, ქეთო მასი ასეთ დროსაც კი მასწავლებლად რჩებოდა).

მერე კი ხელი გადახვია ქეთოს და ღიმილით უთხრა:

– დედაჩემი თბილისში ჩამოვიდა, შენი გაცნობა უნდა, მეტროსთან დავიბარე, რუსთაველზე.

– ეხლა? – არ იცოდა, რა ეთქვა ქეთო მასს.

– ხო, – მერაბმა სიგარეტი ძირს დააგდო, მერე კი ფეხსაცმლის ძირით გასრისა, – ეხლათ.

ქალური მიხრა-მოხრის ლადუნამ კი დისკოთეკაზე წასვლა აიჩემა.

– რო ზიხართ აქ ქაჯებივით, გამოიხედეთ, ქალო, თვალებში!.. წავიდეთ, გოგოებს კი შეგვიშვებენ უფასოდ!..

გოგონებმა გაიცინეს, ბიჭებმა კი გულში შეაგინეს ლადუნას.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ლადუნას არავინ ჩაგრაავდა. მამამისი, რომელიც რამდენიმე წლის წინ მომკვდარიყო, ვერელი კრიმინალი გახლდათ, კაიფში განაპარები, სრული ანტიპოდი თავისი ვაჟისა. ლადუნა თავადაც ხუმრობდა, უიმე, ასეთი რო ვარ, მამაჩემი, ალბათ, საიქიოდან ყოველდღე მწყევლისო.

გოგონები ბევრს მსჯელობდნენ, გადადგმული ჰქონდა თუ არა ლადუნას საბედისწერო ნაბიჯი.

ჩემი აზრით, არაო, ამბობდა ყოვლისმცოდნე პუპა, მაშინ უფრო წყნარად იქნებოდაო.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამ ლადუნამ იმდენი ქნა, რომ თეიკოს სტუმრები ნათესავებიანად დისკოთეკაზე გაიყოლია, რომელიც ავლაბარში, ყოფილი ოცდაექვსი კომისრის მეტროსთან გახსნილიყო.

წასვლის წინ ლელუკამ ნუციკოსთან გადარეკა. ყურმილი ბებიამისმა აიღო, მოვიდა და ტუალეტში შეიკეტაო. რომ გამოვა, დამირეკოსო, დაუბარა ლელუკამ, მაგრამ ნუციკოს არ გადმოურეკავს.

თეიკოს დედამისი ხმადაბლა წაეკამათა, არ წახვიდეთ, დარჩითო, ხომ ხედავ, ვანჩოც მთვრალიაო, მაგრამ თეიკომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყური არ ათხოვა, ვანჩო სიმთვრალეში ბევრად უფრო კარგად იქცევა, ვიდრე მაშინ, როცა ფხიზლადააო.

ამასობაში, სულიჩას მოესწრო და უკვე მესამედ ერწყია, ამჯერად ლიფტის შახტაში. სულიჩას შიგანის სურნელებას მალე რაღაც გაუგებარი სუნამოს მძაფრი არომატიც შეემატა – სახლში თეიკოს მამა დაბრუნებულიყო, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი, ოფლისგან გაყვითლებული საყელოთი.

ქალიშვილი დაქალებთან ერთად მძლოლს გააყოლა. ბიჭებიდან კი მარტო ერთს ჰყავდა მანქანა, დანარჩენები ტაქსებში MOMO განთავსდნენ. ჯენიფერის წაყვანა არავის უნდოდა, ეგებ სახლში მოინდომოს წასვლაო, ყველა ამას ოცნებობდა – ამ ქალის წამოსვლის შემთხვევაში ყველა სიტყვა ინგლისურად უნდა გეთარგმნა, გაგერთო და ყურადღება არ მოგეკლო. იქნებ მოვტეხოთო, ესეც იფიქრეს, და სხვათა შორის მოტეხეს კიდევ, მაგრამ ჯენიფერი მაინც მიხვდა რაღაცას... შუშის თვალები აღარ უცინოდა.

დემურს, ხურციძეს, ანდრიკოსა და კიდევ ორ მათ თანაკლასელს მანქანას არავინ უჩერებდა. ტაქსის მძღოლებს ხომ საშინლად ეშინიათ პატარა ბიჭების. მერე ყმაწვილებმა მოისაზრეს და მიიმალნენ, ტაქსის გაჩერება ანდრიკომ ითავა.

როგორც იქნა, ერთ-ერთი ხაფანგში გაება და მანქანა სამი წესიერი და ორი ოდნავ უწყესო ბიჭით შეივსო.

ტაქსის მძღოლებს, მშიშრებსაც და მამაცებსაც, როგორც წესი, სალაპარაკოდ, სამად სამი თემა აქვთ. პირველი – მთავრობის ლანძღვა. “ესენი ხალხზე არ ფიქრობენ, ჯიბეს ისქელებენ, შვილო, ყველაფერი თავისთვის მიაქვთ”. მეორე – პროფესია. “ამ ქვეყანას რა ვუთხარი, თორემ ტაქსაობა რა ჩემი საქმეა! გამოთვლით ცენტრში ვმუშაობდი ლაბორატორიის გამგედ... ოცი კაცი მეზარა. გეფიცები, მრცხვენია, დილით რო გამოვდივარ, მეთქი, ნაცნობი არ შემხვდეს...” და მესამე – ქალები. “წესიერი ქალი მეგონა, ტო, გავუჩერე, გვერდით მომიჯდა, უცებ ხელი არ დამადო... მეთქი, აილე დედი-ჯან, შენი თავი არა მაქ...” ან, ასე: “სუ პატარა გოგო, კაცო, უტრუსიკოთ, მეთქი, შვილის ტოლა ხარ, გენაცვალე, წადი, საქმეს მიხედე. ფული იქით მივეცი, გავუშვი”. ქალებზე, ალბათ, მხოლოდ ბიჭებთან ლაპარაკობენ და დაუღალავად თხზავენ ეროტიკულ-მორალისტურ ამბებს. არიან დეპრესიულები, უხასიათონი, საუბარს დანატრებულები და ოდნავ მანიაკალურნიც, თუკი ქალი უკან კი არა, მათ გვერდით დაიკავებს ადგილს – “წინ ხო მარტო ბოზები ჯდებიან!”

ახლაც, მძღოლმა, ჯერ მთავრობა გალანძღა, წესისა და რიგისამებრ და მერე ისიც თქვა, ქალაქელი კაცი ვარ, ქუჩაში გაზრდილი, ქურდი როა, ჯუმბერა, გლდანელი, ჩემი ნათლულიაო.

ბიჭების, როგორც ყველა მძღოლს, მასაც ეშინოდა და ეს ამბავი სწორედ ამიტომ მოჰყვა, თუკი ჩემი დაყაჩაღება აქვთ განზრახული, უეჭველად დაფრთხებიანო.

მერე გადამგდებებსაც შეაწია ორიოდ სიტყვა – ერთმა ნახევარი ქალაქი მომატარა, ორი წუთი დამელოდეო, სადარბაზოში შევიდა და არ გამოსულაო – უკვე კაცები ხართო, ბიჭებს უთხრა, რაც გინების პრელუდია გახლდათ და აფერისტ კლიენტებს გრძლად, ხატოვნად და მსუყედ შეაგინა. ბოლოს დამწუხრდა, რაკი ფული ეცოტავა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დღეს დემურს ავლაბარში უნდა ეჩხუბა.

ზარი მეთექვსმეტე

გოგოები უფასოდ შეუშვეს, ბიჭებმა ფული გადაიხადეს.

კიეველი დიჯეი სლავა პატარა სცენაზე იდგა და ნასვამი, უცნაურ აბებდანაყლაპი ქართველების აცეკვებას ცდილობდა.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ახალგაზრდებს წყვილ-წყვილად შეეძლოთ ხელ-ფეხის გაქნევა! სადღა ნახავდით ახლა დინჯად მოქანავე, ჩახუტებულ გოგო-ბიჭს – აქ ყველა ცალ-ცალკე ცეკვავდა. გაფითრებული ქალ-ვაჟები მარტოდმარტო ხტოდნენ ერთ ადგილზე და ერთი-ორი საათით იმასაც ივიწყებდნენ, რომ თბილისში, ძველისძველ და ნაგვით სავსე ავლაბარში უწევდათ ცეკვა.

კიეველი დიჯეი, სლავა, უკვე ფრჩხილებით კაწრავდა ფირფიტას, როცა ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ავლაბრის დისკოთეკის ადმინისტრატორი და მამა თორნიკე შემოვიდნენ.

მამა თორნიკეს პირველმა წინუკამ მოჰკრა თვალი და გაიფიქრა, მარხვის დროს კუპალნიკი რო ჩავიცვი, ალბათ, ღმერთი მსჯის და ყველგან მამაო მეღანდებო.

თუმცა, როცა სლავას გაჩერება სთხოვეს და დარბაზში სინათლე აინთო, წინუკა დარწმუნდა, რომ მამა თორნიკეს სხვებიც ხედავდნენ.

– დედა მომიკვდეს, თუ არ ვიტირო, მამა თორნიკემაც რომ იცეკვოს, – გადაულაპარაკა ნანუკამ წინჩოს.

– არ მივესალმობო? – იკითხა ლელუკამ.

– გაგიჟდება, გოგო, აქ რო დაგვინახოს, – შეეშინდა წინუკას.

– თვითონ რო დადის! – გაბრაზდა წინჩო.

ამასობაში, ადმინისტრატორმა მიკროფონს მიაშურა.

– რას, რას... – შეამოწმა, ჩართული თუ იყო, მერე კი ალაპარაკდა, – ბოდიში რა, ხუთი წუთით... ისა... – და გაიღიმა.

დარბაზში ერთი სტიქაროსანი და ოთხი თავწაკრული სევდიანი გოგოც შემოვიდა, მგალობლები.

– ჩვენი ცენტრი, მუსიკალურ... კულტურული, ახალგაზრდული, – მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა ადმინისტრატორი, – ერთი კვირაც არაა, რაც გაიხსნა... დღეს, ჩვენი თხოვნით, მამაო აკურთხეხს ამ დაწესებულებას და მერე ისევ სლავა გააგრძელებს თავის საქმეს... მადლობა.

ლელუკამ ვერ მოითმინა და მაინც მივიდა მამა თორნიკესთან.

– აიტ, თქვე მამაძაღლებო! – გაუხარდა მოძღვარს, – თქვენც აქა ყოფილხართ!.. ქეთევანიც აქაა?

მამა თორნიკეს სხვა გოგონებიც მიუახლოვდნენ.

– არააა, – ჩვეულებისამებრ, მორცხვად გაამღერეს ბავშვებმა, – არ არიიი.

ხოლო სევდიანი, თავწაკრული გოგონები უსმენოდ შეუდგნენ გალობას. პირჯვარს დიჯეი სლავაც იწერდა.

ნაკურთხი წყალი დემურსაც მიეპკურა, რომელიც იმით, რაც აქ ხდებოდა, სულაც არ იყო აღფრთოვანებული. თუმცა, თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. ვერ ხვდებოდა, მოეჩვენა თუ მართლაც წააწყდა თეიკოს სახლში ნინჩოს რაღაცნაირ მზერას. ფიქრობდა, ერთი “შე ჩემა” ვთქვი და ნინჩო ასე გავაკვირვე, ეს სულიჩა რო იქვე გამელახა, თავსაც შევაცვარებდიო. ნუციკოს გაკვირვებული თვალებიც დაამახსოვრდა. “შე ჩემა” არაფერ შუაშიაო, უბრალოდ, გაუხარდა, ნუციკოს რომ გამოვექომაგეო. მაგრამ აქვე გადაწყვიტა, რომ ისეთი რთულად გამოსათქმელ-აღსაქმელი სიტყვა, როგორც, მაგალითად, “გამოქომაგებაა” გონებაშიც კი აღარასდროს გაეველო – თუკი ასე ვილაპარაკებ, გიჟად ჩამთვლის ნინჩოო.

დემურს სასწრაფოდ უნდა აეთვისებინა რუსულ-ქართული სლენგი.

როგორც იქნა, დისკოთეკის კურთხევის ცერემონია დასასრულს მიუახლოვდა, სევდიანმა გოგონებმა დისონანსურად წაიმღერეს – ამიიინ, და მამა თორნიკემაც მოკლედ იქადაგა:

– გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, წადით სახლში და ილოცეთ. მერე გოგონებს გამოემშვიდობა და ადმინისტრატორთან ერთად დატოვა დარბაზი.

– ხშირად მოდით ხოლმე ეკლესიაში, რისი გემინიათ, კი არ შეგჭამთ, – უთხრა გოგონებს წასვლის წინ მამა თორნიკემ.

დიჯეი სლავა კვლავ პატარა სცენაზე აბობლდა.

– გაიხარეტ, კარტველებო! – დაიყვირა მან დამტვრეული ქართულით და ხალხი ააკივლა. საბრალო ნუციკო სურმავა კი ამ დროს სახლში, თავის ბნელ ოთახში შეკეტილიყო და გულში სულიჩას ლანძღავდა:

“დამპალი სულიჩა, მოვკლავ მაგ საცოდავს!”

თან საკუთარ თავზეც ბრაზდებოდა: “მეც დებილი რო ვარ, დავტეულიყავი, რას გამოვრბოდი! სკოლაში აღარ წავალ!”

ნუციკოს ერთი წუთითაც არ დავიწყებია დემურის “რა გაცინებს, შე ჩემა?” – ვერ ხვდებოდა, რატომ ახსენდებოდა ასე ხშირად დემურის სიტყვები...

ნინჩო ბართან, მაღალ სკამზე ჩამოჯდა და შარვლის ტოტები მუხლამდე აიწია, დამცხაო. დემურს სევდა დაეუფლა. ხურციძეს გონებაში მკრეხელურმა აზრმა გაუელვა: სუ მკიდია ეს გამოსირებული დემური, მივახტები ეხლა ამ ნინჩოს და აგერ დამასკდეს ყველაო.

დაახლოებით იმავეს ფიქრობდა ანდრიკოც, სხვა ყმაწვილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

უეცრად, დემურმა გაბედა და ნინჩოს მიუახლოვდა.

– რამე ხო არ გინდა?

დარბაზში კიეველი სლავას ნაჯაფარის მეტი არაფერი ისმოდა.

– რა თქვი? – დაიყვირა ნინჩომ.

– რამე ხო არ გინდა-მეთქი, წვენი ან... – დაიყვილა დემურმა.

ნინჩომ თავი გააქნია.

საუბარი არ შედგა. დემური დანადვლიანდა, თავის თავზე გაბრაზდა, წვენი რამ მათქმევინა, წვენი რა სასმელიაო... ძლივს გაიხსენა სიტყვა “ტეკილა”.

– ტეკილა გაქვთ? – ჰკითხა დახლს უკან მდგომ საქმიან ბარმენს. უნდოდა, ნინჩოს დაენახა, როგორ სვამდა ტეკილას.

– დღეს არა, – უპასუხა ბარმენმა, – რო გვიკურთხეს აქაურობა, ადმინისტრაციამ აკრძალა, უხერხულიაო. ხვალიდან, კი ბატონო.

დემური კიდევ უფრო დასევდიანდა, ისევ ნინჩოსთან მივიდა.

– ხო არ მოიწყინე?

ნინჩომ ხელი გააქნია, არაო, ხმას აღარ იღებდა. მერე წამოხტა და ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდა სცენას, იქვე აცეკვდა.

“ისე, მაგარი გარეკილია”, – გაიფიქრა დემურმა და გული კიდევ უფრო შეეკუმშა სიყვარულისგან.

ნუციკო სურმავა საწოლზე მიწოლილიყო და თავი ტირილისათვის განეწყო. ზოგჯერ არ ეტირებოდა, მაგრამ წარმოიდგენდა თავის პანაშვიდს, მოქვითინე მშობლებს, მეგობრებს, მასწავლებლებს და გულაჩუყებული ატირდებოდა. ასეც ერთობოდა ხოლმე. მაგრამ,

ამჯერად, ბუნებრივად ეტირებოდა, ოღონდ, სიბრაზისაგან. ყელიც სტკიოდა, თუმცა იმდენად სულიჩა არ სძულდა, რამდენადაც – საკუთარი თავი. რატომ გამოვიქცეო, ისევ ამას ფიქრობდა, კრეტინი ვეგონები ყველასო.

რატომღაც ვერა და ვერ ივიწყებდა დემურის სიტყვებსაც...

თავად დემური კი ჩხეიძეს, პუსკას და ჟვირავას მიეტმასნა, ანუ იმ ყმაწვილებს, რომელთაც სულ ახლახანს ესწავლათ უმიზეზო ბღვერა...

არ გამოსაუბრებია, ანკი რას ეტყოდა, უბრალოდ, მათ გვერდით დადგა. მერე პუსკამ საიდანღაც მოსაწევი გააჩინა და ყმაწვილები გარეთ გავიდნენ. დემურისთვის არც შეუთავაზებიათ.

“მათთან მუშაობა დამჭირდება”, – გაიფიქრა დემურმა და კვლავ ბარისკენ დაიძრა. ნინჩო სცენის მახლობლად ხტოდა, იქვე ზანტად ირხეოდა თეიკოს ერთ-ერთი ნათესავიც, თეთრ შარვალში გამოწყობილი, უწესიერესი ყმაწვილი შოთო. დემური მისკენ გაემართა და განზრახ დაეჯახა.

– უკაცრავად, – შოთომ მაშინვე მოიხადა ბოდიში, რაკი ორი წელი გერმანიაში ესწავლა და ბოდიშების თქმა სწორედ იქ ესწავლა, მაგრამ დემურმა გაღიზიანება გაითამაშა: – ფრთხილად, ჩემი ძმა, – თვალელებში ჩახედა შოთოს და მერე ნინჩოსკენაც გაიხედა, გაიგონა თუ არაო.

ნინჩო დემურს მიუბრუნდა:

– რატო არ ცეკვავ?

“ესე იგი, გაიგონა”, – გაიფიქრა დემურმა და სულ რაღაც ერთ წამში, გონებაში პასუხის მილიონი ვარიანტი შეთხზა:

– რავი, – თქვა ბოლოს და ნინჩოს გაუღიმა.

საბრალო, უწესიერესი შოთო ამასობაში სადღაც გამქრალიყო.

ამ დროს შემოსასვლელში ჩოჩქოლი ატყდა. ჩხეიძეს, თურმე, არყის შემოტანა განუზრახავს დისკოთეკაზე და დაცვის ბიჭებს არ შემოუშვიათ. ჩხეიძე გაქაჩულა კიდეც. პუსკა და ჟვირავა, უკვე გვარიანად დანაბოლები, გინებ-გინებით მიცვენილან დაცვის ბიჭებთან. მერე ჩხეიძემ დანაც კი იშიშვლა. ხოლო დაცვის ბიჭმა, კობამ, სახეში ისეთი თეთქვა, რომ არათუ იქვე მიცვენილი გოგოები, კიეველი დიჯეი სლავაც ააკვივლა. პუსკა კობას ზურგზე შეახტა, თან იგინებოდა.

ადმინისტრატორი დარბაზში შემოვარდა:

– არ გინდათ, ძმებო, ნაკურთხები ვართ!

დაცვის ბიჭებს ნინჩუკამაც კი შეაგინა.

ქალური მიხრა-მოხრის ლადუნა ადმინისტრატორს დაემუქრა – დისქოთეკაა თუ რაღაც ჯანდაბაა, დაგიხურავთ, დედას გიტირებთო.

თან სადღაც რეკავდა.

დემური მიხვდა, რომ სიმამაცე უნდა გამოეჩინა. ძალა მოიკრიბა, ჩხეიძესა და დაცვის ბიჭს შორის ჩადგა და კუჭმაც მოუარა.

დარბაზში ასაკოვანი პოლიციელი შემოვარდა – დასახვრეტები ხართ ყველანი, თქვენხელა შვილიშვილები მყავსო, ყვიროდა.

ნინჩოს ტელეფონი აუწვრიალდა.

– ორი საათია გირეკავ, სადა ხარ? – ნიკუშა იყო.

– ზარი არ მესმოდა, ავლაბარში ვარ, დისკოტეკაზე, აუ, მოდი სწრაფაად!..

– ფანჩულა გამოგივლის ეხლა...

სწორედ ამ დროს დემურს ცხვირში მოხვდა კობას მუშტი და ნესტოდან სისხლმა გამოჟონა. ნინჩომ კი შენიშნა, მაგრამ ჩხუბისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ნიკუშას ზარმა ააღელვა:

– ნიკუშ, რამე მოხდა?

– ნადრიკუჩა გაიქცა ციხიდან.

თავი დაიძვრინეს ნინჩოს კლასელებმაც – გაღიზიანებული ჯეელები გინებ-გინებით დაუსხლტნენ ხელიდან დაცვის ბიჭებს და ქუჩაში გაცვივდნენ.

მათთან ერთად დემურიც მირბოდა, თან ავლაბარში ტოვებდა სისხლის კვალს.

– დაჭრილი ხარ? – ჰკითხა მას ჩხეიძემ.

– მგონი, – უპასუხა დემურმა, – ცხვირში.

თეიკომ ძლივს გააღვიძა ტუალეტის კართან მძინარე ვანჩო.

კობამ პანლური ამოჰკრა ქალაჩუნა ლადოს, რასაც ამ უკანასკნელის ისტერიკა მოჰყვა:

– დაგასახიჩრებ, შე უპატრონო, გველო... დამპალო!

ლადუნა ასაკოვანმა პოლიციელმა გაათრია გარეთ, თან მეგრულად ლანძღავდა. ლადუნამ პოლიციელი შეუბრალებლად დაპორტყენა.

ხურციბე, ანდრიკო და თეიკოს ნათესავები შეშინებულები აცეცებდნენ თვალეზს.

“ბევრს რო ვანძრევთ, დავისაჯეთ და ამიტომაც გავეხვიეთ ხათაბალაში”, – ფიქრობდა ანდრიკო. ხურციძე დაცვის ბიჭებს უღიმოდა, მე თქვენკენ ვარო.

ნინჩოს ფანჩულამ გამოუარა და მის მანქანაში, ნინჩოს გარდა, კიდევ რვა გოგონა აღმოჩნდა.

გოგონებმა ნინჩოსა და ფანჩულას მოკლე დიალოგიდან შეიტყეს ნადრიკუჩას ციხიდან გაქცევის ამბავი:

– აუ, პროსტა, რაა? – პირი დაალო რვავემ. პუპას ხასიათი მოეშხამა, ნეტა პირველს მე გამეგო და ნინჩოსთვის მეთქვაო.

– ბიჭები სად არიან? – იკითხა ფანჩულამ და პუპა მაშინვე კარგ ხასიათზე დადგა.

– ბიჭებმა ისე იჩხუბეს, ისე იჩხუბეს, რო აი, პროსტა, რა ვიცი...

პუპამ მოყოლა დაიწყო. ბიჭებმა, ამასობაში, ბარათაშვილის ხიდიც კი გადაირბინეს, მაგრამ ტაქსი ვერაფრით გააჩერეს, მერე მოისაზრეს, განცალკევდნენ და დემურმა მორახრახე წითელი ტაქსი გააჩერა.

ჩაჯდა თუ არა, მძღოლმა ლაპარაკი დაიწყო:

– მოვდივარ, ამასწინებზე, აეროპორტიდან... ვხედავ, გოგო დგას, ჩემი შვილის ტოლა, კაცო... გავაჩერე, მეთქი, საით?... იქითო, ზემელზეო. მომიჯდა და პირდაპირ ხელი არ გადმოყო, მე მაგის დედა რო მოვსტყან!..

ზარი მეჩვიდმეტე

ნადრიკუჩას გაქცევიდან უკვე ერთი კვირა გასულიყო, მაგრამ მის შესახებ – სად იმალებოდა, რითი იკვებებოდა და ა.შ. – ჯერჯერობით, არაფერი იცოდნენ.

ნიკუშა ორაზროვნად პასუხობდა ნინჩოს შეკითხვებს, ფანჩულა საერთოდ არ იღებდა ხმას. აუ, არ მენდობითო, ბრაზდებოდა ნინჩო, ჩემი შეყვარებულია ბოლო-ბოლოო, ნიკუშა კი ამბობდა, რა პონტს ჩალიჩობ ეხლაო, ჩვენ ბანძები ვართ და შენ კაი ტიპიო? მაგრა გვიტეხავო, უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებო, ნუ იზმენდებიო, რაც სათქმელია, ითქმება მერეო.

პუპას ჭორი მოეტანა, ნადრიკუჩა ვაკის სასაფლაოზე დაუნახავთო. დეიდამისი ხომ იქ დაეკრძალათ.

ნინჩომ არ დაიჯერა, შენ საიდან იციო. ჩემი მამიდაშვილი ცხოვრობსო ბაგებში, მიუგო პუპამ, მისი სახლი სასაფლაოს გადაჰყურებს და ღამით ნადრიკუჩას ხმა გაუგონიაო: დეიდ, დეიდ, მართალია, აყვანილი ვყოფილვარ, მაგრამ მაინც თქვენი, ნადარეიშვილებისა და

ღუღუშაურების (კატუშა დეიდა გვარად ღუღუშაური ყოფილა!) სისხლი და ხორცი ვარ, ბოისშვილი ვიყო.

პუპა კი ეცადა, მაგრამ ნინჩო მაინც არ მოტყუვდა.

დაუჯერებელი იყო ნადრიკუჩას გაქცევის ამბავიც, თითქმის ზღაპარით.

როგორც ამბობდნენ, ნადრიკუჩას ისე გაზრდოდა თმა-წვერი, დავარცხნის შემთხვევაში, თხუთმეტ-ოც მეტრზე გაიჭიმებოდა.

სიბრძნის კბილი, რომელიც ციხეში ამოსვლოდა, საკუთარი ხელებით ამოუძრვია და საკნის გისოსები ახალმოდრობილი, ბასრი კბილით გადაუხერხავს, მერე სასწაულებრივადგრძელი თმა-წვერიც მიუჭრია (შესაძლოა, დაეპუტა კიდეც), გადაუხლართავს ერთმანეთისთვის და ერთი ბოლო რკინის საწოლის ფეხისთვის მიუბამს, ხოლო მეორე ვიწრო ფანჯრიდან გადაუგდია. ამის შემდეგ, რის ვაივაგლახით გამძვრალა ფანჯარაში, მოსჭიდებია თოკად ქცეულ საკუთარ თმა-წვერს და მშვიდობიანად დაშვებულა მიწაზე. მისი საკნის ფანჯარა სამარშრუტო ტაქსების გაჩერებას გადაჰყურებდა, შესკუპებულა ერთ-ერთ პაწია ავტობუსში, მძღოლს დამუქრებია, შენაირებს პირში ვაძლევ, გადაეთრე, თორემ მოგკლავო, და ფეხი გაზისთვის მიუჭერია, თანაც უყვირია, ციხიდან დიდი პროჭი ვინმე გამოიქცა ჩემი სახითო.

შოკში იყო, ალბათ.

პოლიციელები უკვე ერთი კვირის განმავლობაში უშედეგოდ დაეძებდნენ ნადრიკუჩას.

გამომძიებელი სახლშიც კი ეწვია ნინჩოს. დედ-მამის და პაწია სოფიოს თანდასწრებით უთხრა, როგორც ვიცით, თქვენი საქმროა და თუკი გამოჩნდება, არ დაიზაროთ, შეგვატყობინეთო.

წავიდა თუ არა გამომძიებელი, ლამარა ნატროშვილს, ნინჩოს დედას, წნევა დაუვარდა.

სოფიომ ნერვიულობისაგან ერთ საათში ჩაიკითხა მთელი “ონეგინი”.

კარლომ ჯერ სუსტი ქარები, მერე კი გულწრფელი დიალოგი შესთავაზა ქალიშვილს:

– რა ხდება, მამა, მითხარი... მოკვდეს დედაშენი?... მოკვდეს?... მოკვდე მეცა?... ეს ბავშვიც მოკვდეს?... სოფიო, ჭკუისკოლოფი... რატო, თორე კი!.. ვისი საცოლე ხარ, შვილო?... რა უნდა შენთან პროკურატურას?..

– აუ, მა... – თითქოს წაიტირა ნინჩომ, – თავი დამანებეე...

ლამაზი კი იყო, ეს ოხერი ესა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კარლოც გაბრაზდა:

– ჩემი ხელით გაგამსერებ ამერიკაში!.. საცოლეს კი არა, დედიმისას მივართმევ მაგას!..

კარლოს ადელვებისგან ძალაგამოცლილი და წნევადავარდნილი ლამარაც გამოეხმაურა:

– ვიღაც ნაბიჭვარი ყოფილა! – როცა ცუდად ხდებოდა, ლაპარაკის დროს, როგორც წესი, უზრდელო სიტყვებს ამბობდა ხოლმე, თან რუსული აქცენტით, – ბოზი დეიდის გაზრდილი!..

რა იცოდა სასტიკმა ლამარამ, რომ ცხონებული კატუშა წუთისოფელს ქალწულად გამოემშვიდობა – ცოცხალი რომ ყოფილიყო, სახეში მიახლიდა ლამარას: ბოზობა თქვენგან ისწავლა ხალხმაო!

ნინჩო ტელეფონს ეცა, ლელუკასთან უნდოდა დარეკვა, სახლში გაჩერება აღარ უნდოდა, ჭავჭავაძეზე ეწადა გასვლა-გამოსვლა, მაგრამ გაავებულმა კარლომ ტელეფონს ყურმილი მოაწყვიტა და, ალბათ, შეჭამდა კიდეც, ნინჩო სამზარეულოში რომ არ შეკეტილიყო.

– ვენები არ გადაიჭრას! – დაიყვირა ლამარამ, ამ დევივით კაცს, კარლოს კი ფეხები მოეკვეთა, რატომ უნდა გადაეჭრა მის ქალიშვილს ვენები, ნუთუ პატარა გოგონები თავს სწორედ ასეთ დროს იკლავენ!

კარლომ ღიპით გაიტანა სამზარეულოს კარი და მაცივართან ჩაცუცქულ, ნამტირალევ და შეშინებულ ნინჩოს ეცა:

– მითხარი რა გიყიდო? მითხარი, რა გინდა? – ყვიროდა კარლო.

ლამარა ტიროდა. სოფიო შუალამისას ლოგინში გეგმავდა ტირილს.

“ეს ცხოველები, – ფიქრობდა ბავშვი, – ფსიქიკას დამიზიანებენ, რა ვქნა, სად ჯანბაში წავიდე, ვის რად ვუნდივარ ასეთი პატარა!”

ლამარა ნატროშვილი იმ დღეს საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნინჩო ოკეანის გაღმა უნდა გაეშვა, თორემო, კანკალით ვარაუდობდა, ან მომიკლავენ, ან მომი...

მოკლედ, ამ საღამოს ნინჩომ ვერ მოახერხა სახლიდან გასვლა და ჭავჭავაძის პროსპექტზე გასეირნება, თუმცა ლელუკას მაინც დაურეკა, გამომძიებელი იყო, ჩემებს ვეჩხუბე და, მგონი, ნადრიკუჩამაც დამიკიდაო. ლელუკას არაფერი ჰქონდა სათქმელი. შაბათს ჯამბულას კონცერტზე წავიდეთო, მხოლოდ ეს უთხრა, ვაკის პარკში მართავსო.

ნინჩო უხალისოდ დაეთანხმა ლელუკას. ნინჩო ნადრიკუჩაზე ფიქრობდა.

დემური ნინჩოზე.

დემურზე კი ნუციკო სურმავა ფიქრობდა.

ეს ერთი კვირა არც ნუციკო მისულა სკოლაში, სახლში იჯდა და სიბრაზისა და სირცხვილისაგან იტანჯებოდა.

ნუთუ დემური მოეწონა? კი მაგრამ, რა მოეწონა? გუშინ ხომ არ გაუცნია? თითქმის ყოველ დღე ხედავდა სკოლაში... თუ მართლაც გუშინ გაიცნო, უფრო სწორად, ერთი კვირის წინ, თეიკოს დაბადების დღეზე?

– რაღაც აბნეული ხარ, – ეუბნებოდა სააბაზანოში შეკეტილი ნუციკო საკუთარ ანარეკლს, – შენი მეგობარია, ხო არ გაგიჟდი!..

დემურს ჩხეიძემ, პუსკამ და ჟვირავამ მიაკითხეს სახლში, სადარბაზოსთან ვდგავართ, ჩამოო.

პუსკამ თქვა, აქამდე სირის პონტში იყო, მაგრამ იმ დღეს ხელები მაგრა იქნაო.

დემური პირველად ჩაიკუზა სადარბაზოსთან.

– ხო არ გაგიტეხეს? – ჩხეიძე დემურის ცხვირით დაინტერესდა.

– არა, – გაიღიმა დემურმა, – მაგრა კი არ მომხვედრია.

მერე პუსკამ პათოლოგიური ყაიდის ანეკდოტი მოყვა და ყმაწვილებიც თავის გზას გაუყვნენ.

დემური არცთუ ისე უკმაყოფილო დარჩა ბიჭებთან ბაასით, თუმცა ერთი წინადადების მეტი არც უთქვამს.

კიბეზე ადიოდა და ფიქრობდა:

“რეებს ვაკეთებ ნინჩოს გამო... ჩხეიძე, პუსკა და ჟვირავა მინდოდა ეხლა!.. ნინჩო მაინც მხედავდეს!”

დისკოთეკიდან რომ დაბრუნდა, თამარ ჩიჯავაძეს კინაღამ გული შეუწუხდა, დემურს პაწია ნიანგით დამშვენებული ყვითელი მაისური სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, ცხვირი კი დასიებოდა.

იმ დღეს, მის სამსახურს, ბაპტისტთა სამკურნალო ცენტრს, მართლმადიდებელ ინვალიდთა ასოციაციას შემოურტყამს ალყა და ხეიბართა გაშმაგებულ ნათესავებს შუშები ჩაულეწავთ კენჭებით, მოღალატე ქართველებო, რატომ მიეყიდეთ ამ სატანის მოციქულებსო!

ერთი კენჭი თამარ ჩიჯავაძის ოთახშიც შეფრენილა და გერმანელი ბაპტისტების მიერ ჩამოტანილი თავის ქალა გაუბზარავს.

ორივეს ცუდი დღე გვქონდაო, უთხრა თამარმა თავის შვილს და შეკითხვები მიაყარა, მითხარი, დედიკო, რა შეგემთხვა, პირველად გხედავ ასეთ დღეშიო.

– არაფერი, – უპასუხა, უფრო სწორად, აუტანლად მოკლე პასუხი გასცა დედამისს დემურმა და ტელევიზორი ჩართო.

– გამორთე, ერთი წამი, – აფორიაქდა თამარ ჩიჯავაძე, – დამელაპარაკე.

– რატო უნდა გამოვრთო? – ცუდ ხასიათზე დადგა დემური.

– ხმას ჩაუწიე მაინც, – თამარი დემურს ახლოს მიუჯდა. აღარაფერი უნდოდა, აღარაფერზე ოცნებობდა, არ აინტერესებდა აღმოაჩენდა თუ არა ოდესმე რაიმე უცნაურ სენს, რომელსაც მის სახელს დაარქმევდნენ, არც სამსახური, ბაპტისტა სამკურნალო ცენტრი და არც გაავებული მართლმადიდებელი ინვალიდები აღელვებდა (ბესიკი და მისი წიკები ხომ უკვე კარგა ხანია ფეხებზე ეკიდა), ახლა მხოლოდ დემურზე ღელავდა – რამ დაამუნჯა მისი შვილი და საიდან გაჩნდა სისხლის კვალი ყვითელ მაისურზე!

დემური მიხვდა, რომ დედამისს თავისი დუმილით ანერვიულებდა და სიბრაღის გრძნობა გაუჩნდა, იფიქრა, რამეს მაინც მოვუყვები, ეგებ დამშვიდდესო, მაგრამ კიდევ უფრო გააგიჟა საწყალი ქალი...

თეიკოს დაბადების დღეზე ვიყავითო, მერე ავლაბარში წავედით დისკოთეკაზე და იქ ჩხუბი მოუვიდათ ბიჭებსო.

– ხურციძემ და ანდრიკომ იჩხუბეს? – გაუკვირდა დედამისს.

– ჩხეიძემ, პუსკამ და ჟვირავამ...

– რომელმა ჟვირავამ, დედა?

– რომელმა და იმან... ჩემმა კლასელმა...

– რა ჯანდაბა გინდოდა მაგათთან ერთად?

– თეიკოსთან ეგენიც იყვნენ... დედა, თვალებს რატო აბრიალებ? თამარ ჩიჯავაძეს სულაც არ უნდოდა, რომ დემური გაებრაზებინა.

– არ ვაბრიალებ, დედიკო, უბრალოდ, მიკვირს...

– მოკლედ, იჩხუბეს და შუაში ჩავდექი, რა... ვაშველებდისავით...

– რატო ჩადექი შუაში? – თამარმა ისტერიული ტონით დაიწყო შეკითხვების დასმა, – რატო არ წამოხვედი მაშინვე? მოგეკიდა ხელი ხურციძისთვის და ანდრიკოსთვის და გამოქცეულიყავით... ტაქსის ფული არ გქონდათ?

– იმიტო, რო კაცია, თამრიკუნ, იმიტო, რო ეგრეა საჭირო! – გაისმა ბესიკის ხმა სახელოსნოდ გადაკეთებული სამზარეულოდან.

– მოიცა, კაცო! – დაიყვირა თამარმა და რატომღაც ქმარს შეურაცხყოფა მიაყენა, – ერთი შენ იყავი კაცი და მეორე ესაა!

დემური ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა დედამისი. ხოლო ბესიკი, როგორც ჩანს, მიხვდა, რაკი მაშინვე გამოვარდა სამზარეულო-სახელოსნოდან და შეშლილივით დასძახა:

– მომესალმე, ხუთჯერ!

– თავი დამანებე, ბესო, ნუ შემჭამე, აღარ შემიძლია! – თამარმა იცოდა, რომ ქმარი თავს არ დაანებებდა, მაგრამ არც დამამშვიდებელი მისალმება შეეძლო.

დემურმა ტელევიზორი გამორთო, წამოდგა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

თამარ ჩიჯავამე ხელზე წაეპოტინა:

– დაეტიე, დემუცი, ორი წუთი, სად მიგეჩქარება, ადამიანო?

დემუცი.

აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის მიმართა დედამისმა ასე?

გახსენდა საკუთარი თავი, ხუთი თუ ექვსი წლისა, დედამისის კალთაში მჯდომი. მამამისს, რომელიც კაცმა არ იცის სად იყო მაშინ, ყოველ შემთხვევაში, თბილისში არა, ტელეფონით ელაპარაკებოდა და დედა სიტყვებს კარნახობდა:

– როდის ჩამოხვალ-თქო, კითხე.

– როდის ჩამოხვალ? – იმეორებდა დემური.

– მენატრები-თქო.

– ველოსიპედი მიყიდე, – თავნებობას იჩენდა დემური.

– უკვე დიდი დემუცი ვარ-თქო.

ნეტავ, მართლაც სად იყო მაშინ მამამისი. რაც თავი ახსოვს, ბესიკ ჩხიკვიშვილი სულ თბილისშია.

უცნაური მოგონებაა.

– მომესალმე, გამარჯობა-თქო, ჰე! – ჭირვეულობდა ბესიკი.

– მოგესალმებით, გამარჯობა, სალამი... – ცოტაც და თამარი ტირილს დაიწყებდა.

ერთი სიტყვით, კომმარული სადამო იყო.

მაგრამ უკვე დილით, სკოლაში წასვლის წინ, დემური დიდი ზეიმურობით იტკეპნიდა სველ თმას და გაუცრეცელ, გაქვავებულ ჯინსებს იცვამდა.

ჩაიცვა თუ არა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩამოიჩაჩა, მაგრამ შეეშინდა, არ ჩამძვრესო, და ისე აიწია, რომ უმაღლეს თეიკოს წესიერ ნათესავს დაემსგავსა... ბოლოს, რაღაც შუალედურ მონაკვეთს მიაგნო სხეულზე და დაკმაყოფილდა. სულ მთლად შავებში ხო არ გამოვეწყო, როგორც ჩხეიძეო, ესეც იფიქრა, მაგრამ შავი პერანგისა და პერანგის ასევე შავი ამხანაგის, ანუ ნიფხვის გარდა, სახლში ვერაფერს მიაგნო. მამამისს ჰქონდა შავი შარვალი, და

ღილაწყვეტილი ნაცრისფერი, თითქმის შავი მისური. გამოეწყო თუ არა ამ ყველაფერში, მიხვდა რომ არა ახალგაზრდა, შართა მამიებელ, ქალაქელ ჯეელს, არამედ აფხაზეთიდან დევნილ შუახნის მამაკაცს დამსგავსებოდა, თანაც მამამისის ტანსაცმელს ზეთის საღებავის სუნი უდიოდა.

მერე ჯინსების დაჭმუჭვნა მოინდომა, გულმოდგინედ გაუთოებულს ჰგავსო, მაგრამ ამ მხრივ დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

უკვე სკოლაში მისულმა, ზანტად გადაკოცნა ჩხეიძე, პუსკა და ჟვირავა, და მიიხედ-მოიხედა, ნინჩოც ხომ არ არის აქვეო.

ნინჩო უკვე კლასში იყო.

თეიკოს მუცელი ასტკიებოდა, დღეს დილით გაექანებინათ სამშობიაროში და გოგოები ამაზე ბჭობდნენ.

– ვანჩო, პროსტა, ისეთ დღეშია ნერვიულობისგან, ბიჭებსწამალი აუტანიათ, გაიჩხირე, დაგაწყნარებსო, – ჰყვებოდა პუპა.

ვანჩო მართლაც დაძრწოდა სამშობიაროს მისაღებში დაბლეთილი თვალებით და თეთრხალათიანებს შეკითხვებით ბურღავდა.

ზარი დაირეკა და კლასში ქეთო მასი შემოვიდა, დაბნეული და გახარებული. კისერზე კი ტუჩის ფორმის წითელი ლაქა უელავდა და მის დამალვას რატომღაც არც კი ცდილობდა.

ეს, ცხადია, მერაბის ტუჩის კვალი გახლდათ. გუშინ, სადღაც, ბნელ კუთხეში შეყუჟულან და მერაბს უთხოვია, ჟაკეტი მაინც გაიხადე, სხვას ხომ არაფერს გთხოვო (ვერ ვიტყვით, რომ ციოდა, მაგრამ ქეთოს მაინც თბილად ეცვა), ქეთო მასს არ გაუხდია, ყოველი პაემანის შემდეგ მამა თორნიკეს ურეკავდა და აბა, ჯვრისწერამდე რას გაიხდიდა! – ხოდა, მერაბს ჟაკეტში ჩაურგავს თავი და ალერსიანი ჭიდაობის დროს ბლომად ბეწვიც უჭამია.

გოგონები შეკითხვების დასმას ერიდებოდნენ, კოლეგები კი პირდაპირ ეკითხებოდნენ ქეთოს, ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, მოგწონთ ერთმანეთი თუ, უბრალოდ, თანამშრომლები ხართო.

ქეთო მასს კონცენტრირება უჭირდა. ჰყვებოდა სიმბოლისტთა შესახებ, მაგრამ სახეგანიერი მერაბი ელანდებოდა...

დედამისი სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელი ყოფილა. მგონი, მოვეწონეო, ფიქრობდა ქეთო და ცოტა ბრაზდებოდა კიდევ, ბეზიამისისამო, რა! თან ოდნავ დელავდა კიდევ, მერაბის დედა დიდი აშარი დედაკაცი ჩანდა.

გრძნობდა, ყველა მათზე ჭორაობდა, თუმცა არ წუხდა.

მხოლოდ ნინჩო და ნუციკო არ ჭორაობდნენ მასზე, და კიდევ დემური.

დემური პუსკას უზრდელურ კომენტარებზე იღიმებოდა.

ნინჩო გამტერებული უყურებდა ფანჯარას და ყველამ იცოდა, რომ ახლა ნადრიკუჩაზე ფიქრობდა: “სად გაქრა ეს დებილი! არ უნდა დარეკოს? ხოდა, გააჯვას!”

ნუციკო კი სახლში იჯდა და ჯერაც ვერ ბედავდა სკოლაში მოსვლას.

დღეს საღამოს დემურთან აპირებდა დარეკვას.

– მეგობრულად, რა... – უთანხმდებოდა საკუთარ ანარეკლს, – არ შეიძლება?

ზარი ირეკებოდა, ბავშვები დერეფანში გადიოდნენ, ზოგი კლასში რჩებოდა, ისმოდა პირველკლასელთა ჟივილ-ხივილი...

პატარა, წითელლოყება ბავშვები ერთმანეთს ასკდებოდნენ და მთელ ხმაზე ბლაოდნენ:

– ზედახორააა!

მერე ერთმანეთს ახტებოდნენ და ოფლიანდებოდნენ.

უფროსკლასელმა გოგონებმა ბავშვების ამოჩემა იცოდნენ. მოეფერებოდა, ვთქვათ, ნინჩო, ან რომელიმე სხვა გოგონა რომელიმე პირველკლასელ იკუნას და მერე ყველა ამ ბავშვს ჩქმეტდა ლოყებზე.

– იკუნა, რა საყვარელია! – გაისმოდა გარშემო, – აი, ძან ლამაზი ბავშვია!

ნორჩი მოსწავლეები ვლადიმერ დოჩიამ გაახარა:

– დღეს ადრე გაგიშვებთ, იგი მაქ...

რა იგულისხმებოდა “იგი-ში” არ დააკონკრეტა. ქადაგებას მოჰყვა:

– ქალი რო ყურებით გამეიჭერს კაცს, ტყვილია, დამთავრებულია ამ კაცის საქმე!..

მერე გაკვეთილის ახსნას შეუდგა:

– გადაშალეთ რვეულები, ბოვებო... დღეს ფინურ სექსს გევივლით!

ვლადიმერ დოჩია სიტყვის კაცი გახლდათ – ბავშვები, დაპირებისამებრ, ზარის დარეკვამდე გაათავისუფლა. ჭადრაკის ღია კონკურსზე მიექარებოდა, რომელიც პენსიონერთა შორის იმართებოდა რიყეზე.

დემურს მაინც ანდრიკოსკენ და ხურციძისკენ მიუწევდა გული, მაგრამ ნინჩოს გამო – თუმცა, არავინ იცის, რაში სჭირდებოდა ეს ნინჩოს! – მაინც მიეწება საეჭვო სამეულს.

ანდრიკო გაკვირვებული უყურებდა მის ჩაჩაჩულ შარვალს. ხურციძეს ორიოდე დღის წინ ცხვირში საყურეგაყრილი ქალიშვილი, ირკა, გაეცნო და იმაზე ფიქრობდა. ზარის დარეკვისთანავე სამეულმა, დემურის თანხლებით, მესამე სართულზე გადაინაცვლა,

სადაც მერვე-მეცხრე კლასელები ეუფლებოდნენ ცოდნას. ერთ-ერთი კლასიდან ფეთიანივით გამოვარდა ცხვირზე სათვალედაკოსებული ყმაწვილი რომიკო – წესიერი, თუმც ანცი ბავშვი, და ხაფანგშიც გაეზა.სამეულმა რომიკო ტუალეტებისკენ გაიხმო და შეყენების რიტუალის აღსრულებას შეუდგა. დემურიც იქ იყო.

ლაპარაკი პუსკამ დაიწყო, რომიკო კიდეც უფრო დაფეთდა.

– ჩემი ძმა, აქ როდის გადმოხვედი?

საბრალო “ჩემი ძმა” პირში ენას ძლივს ატრიალებდა, ხვდებოდა, პუსკას ტონი კარგს არაფერს უქადდა. შარშანო, ამოილულლულა.

– რა უბნელი ხარ? – ტრადიციული შეკითხვით მიმართა პუსკამ.

– იმერელი, – დაიბნა ბავშვი, – ქავთარაძეზე ვცხოვრობ.

“ჩემი მეზობელი ყოფილა”, – გაიფიქრა დემურმა.

– მე იცი, ვინა ვარ? – დაკითხვას განაგრძობდა პუსკა.

რომიკომ არ იცოდა, პუსკა ვინ იყო, მაგრამ თავი მაინც დაუქნია, კიო.

– რომიკო რატო გქვია? – დაინტერესდა ჩხეიძეც.

რომიკომ ტანჯული სახით გაიღიმა, არ ვიციო.

– რამდენი წლის ხარ? – შეკითხვა ჟვირავამაც დასვა.

– ცამეტის.

დემურმა გაიფიქრა, რაკი ყველამ დასვა შეკითხვა, ალბათ, მეც უნდა ვკითხო რამეო. მაგრამ რა? თავში არაფერი მოსდიოდა. გამრავლების ტაბულას ხომ არ ჰკითხავდა: “ცხრაჯერ შვიდი, რომიკო?”

– შენი მასწავლებელი ვინაა? – დაკითხვა პუსკამ განაგრძო.

– მაიკო მასი, ჩაჩავა.

– ეგ ვინაა?

– დიდი წარბები რო აქვს...

– საიდან გადმოხვედი?

– გლდანიდან, იქ ვცხოვრობდი.

– აუ, გლდანში არავის არ ვიცნობ... რატო გადმოხვედი? არ დაგეგვასათ გლდანი?

– რა ვიცი...

– რა არ იცი, ბიჭო? მამაშენი ვინაა?

– ისა...

– ისა, რა?

– რესტორანში მუშაობს.

– ოფიციალურია?

– არა, – რომიკოს კვლავ ტანჯულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, – ისაა... დირექტორი.

– მაყუთი და, რამე?

– ფული გააქ?

“ზაზას ჰქონდა ხუთი ვაშლი, ორი აიღო ხათუნამ. რამდენი ვაშლი დარჩა ზაზას?”

დემური ისევ თავის შეკითხვებზე ფიქრობდა.

დიალოგი, ამასობაში, უფრო გამძაფრდა.

– ფული მოგვი, ბიჭო, თორე აგათლი ამ ყურებს! – ხმა შეიცვალა პუსკამ.

რომიკომ ჯიბეები ამოატრიალა, არაფერი ჰქონდა.

– ხვალ მოიტან, გაიგე?.. ორმოცდაათ დოლარს თხოვ მამაშენს... მაგარი სქელია, არა?
საუბარში ჩხეიძე ჩაერთო:

– იტყვი რამეს და ენას ამოგაჭრით, ბიჭო, ტუალეტში ჩაგკეტავთ არდადეგებამდე!
დემური სრულიად ამაზრზენი სცენის მონაწილე გახდა. რომიკოს მდგომარეობაში უწინ
თვითონაც მრავალჯერ აღმოჩენილა, თუმცა ახერხებდა და რაღაცნაირად მაინც ძვრებოდა
ხოლმე სიტუაციიდან. მისგან, როგორც წესი, ბევრად უფრო ნაკლებს ითხოვდნენ.

დემური ფიქრობდა, ხომ არ გამოვესარჩლო ამ საწყალ რომიკოსო, მაგრამ ეშინოდა,
პუსკასიც ეშინოდა, ჩხეიძესიც, ჟვირავასიც და ნინჩოსიც.

კეთილი ანგელოზი მას პროტესტის გამოხატვას სთხოვდა, ხოლო ბოროტი, რომელსაც
ნინჩოს სახე, პუსკას ხმა, ჩხეიძის ტან-ფეხი და ჟვირავას ღიმილი ჰქონდა, მისგან
აგრესიული შეკითხვების დასმას მოითხოვდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, დუმდის.

რომიკო საჩვენებელი თითით ისწორებდა დაცურებულ სათვალეს, გაურკვევლად ლულულულებდა, ეგებ ეტირა კიდეც.

რო იტიროს, ალბათ, შეეცდოებათო, ფიქრობდა დემური. რომიკოს არ უტირია, თავს წიკიანივით იქნევდა, ხვალ მოგძებნითო, დაემუქრა პუსკა, თან დააყოლა – სიცხეები, გრიპები და რამე არ გინდა, ბოლო-ბოლო ხო მოგიწევს მოსვლაო, და უეცრად დერეფნის ბოლოს ნინჩო და ლელუკა გამოჩნდნენ. ნეტავ, აქ რა უნდა ნინჩოსო, გაიფიქრა დემურმა და მაშინვე მიხვდა, რომ სასწრაფოდ უნდა მოემოქმედა რამე, ამიტომ რომიკოს ყურზე მოკიდა ხელი – რაკი არ იცოდა, ასეთ დროს ძველ ბიჭებს სად მიჰქონდათ ხელები – და ზედმიწევნით აგრესიულად, ხმამაღლა, ნინჩოს გასაგონად უთხრა:

– რამე არ შეგეშალოს, ჩემი ბიჭი, აქ გლდანია არ არი.

პუსკამ ჩხეიძეს გადახედა, ჟვირაგამ – სულ მთლად ნირწამხდარ რომიკოს.

ნინჩომ და ლელუკამ გვერდით ჩაუარეს ბიჭებს:

– ვაიმე, ვგიჟდები ამ ბავშვზე! – გადახედა რომიკოს ნინჩომ.

– აუ, მეც, ძაან საყვარელია, – დაეთანხმა ნინჩოს ლელუკაც.

“ეხლა მთელი სკოლა ამ ბავშვს დაუწყებს ფერებას, ჩვენ კი შევაცენეთ”, – გული დაწყდა დემურს.

რომიკო კიბისკენ გაქანდა.

დემურს ხასიათი საბოლოოდ მოეშხამა, ვეღარ გაეგო, როგორ უნდა მოქცეულიყო, გული ერეოდა, როცა პუსკას ლაპარაკს ისმენდა – აღარც ძველბიჭობაზე ფიქრი შეეძლო.

ცუდ ხასიათზე იყო იმიტომაც, რომ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ დაიფიცა, რუსიკოსთან აღარასდროს მივალო, მუსიკაზე მაინც მოუწევდა მისვლა – დედამისს სრული ისტერიკა დამართნოდა ამ დილით, ეს თვე ჩაამთავრე და მერე საერთოდ ნულარ მიხვალო – უნდა ეჩხუბა, ეს ბრძოლა მაინც უნდა მოეგო დედამისისთვის, მაგრამ ძალა აღარ ეყო – ნინჩომ გაიწოვა მისი ენერგია. იცოდა, დედამისიც სწორედ ამიტომ ეჩხუბებოდა – მართლა მუსიკაზე კი არ ნერვიულობდა – დედაშენს გველის ინტუიცია აქვსო, ეუბნებოდა წიკიანი მამა. თამარ ჩიჯავაძე პირდაპირ არასდროს იტყოდა, რაზე ბრაზდებოდა და რაზე ღელავდა, მონა იყო ისტერიულ ქვეტექსტთა.

– რაღაც გახდი, ხო? – ჰკითხა რუსიკომ დემურს. დემურმა მხრები აიჩეჩა.

– არა, მსუქანი არასდროს ყოფილხარ, – გაიღიმა მასწავლებელმა და ხველება აუტყდა, – სიგარეტს თავი დავანებე და ყველაფერი ზემოთ ამომდის...

– არ მინდა რა, დაკვრა, – თქვა უეცრად დემურმა და თავადაც გაუკვირდა, ასეთი რამე როგორ ვთქვიო, – ძაან დაღლილი ვარ...

– როგორც გინდა, დედი, – რუსიკოს გაკვირვება არ გამოუხატავს, პირიქით, თითქოს გაუხარდა კიდეც, – კი მაგრამ, ასე სად ილღები, ჩემთან რო გასავათებელი მოდიხარ?
– სკოლაში, – გაიღიმა დემურმა.

– დალევ ჩაის? – რუსიკო რატომღაც დემურის ღიმილმა დააბნია.

– დაუკარით, რა, – მოულოდნელად ითხოვა დემურმა და კიდეც ერთხელ განცვიფრდა, რა დამემართა, რეებს ვამბობო.

ამჯერად რუსიკოს მართლაც გიჟივით გაეცინა, მოკლედ და ნერვიულად:

– კაი ეხლა, ნუ მაშაყირებ...

ესღა თქვა მხოლოდ და სამზარეულოსკენ წავიდა.

ასანთს გაჰკრა და ძირ-გაშავებული ჩაიდან მწვანე ცეცხლზე შედგა, რატომღაც აფორიაქდა, იცოდა, სანამ დაქალ ვიკას არ დაურეკავდა, მანამდე ვერ დამშვიდდებოდა.

სახლში დაბრუნებულ დემურს ხურციძემ დაურეკა, ამოდიო. მაგრამ დაკიდა თუ არა ყურმილი, ტელეფონი კვლავ აწკრიალდა.

“ნინჩო რეკავს”, – რატომღაც გაიფიქრა დემურმა და გული აუჩქარდა.

ნუციკო აღმოჩნდა, სურმავა.

მართლაც, რატომ გადაწყვიტა, რომ ნინჩო დაურეკავდა... რატომ უნდა დაერეკა ნინჩოს!

– რას შვები? – ჰკითხა ნუციკომ.

– არაფერს, სახლში ვარ.

– ვიცი...

– სად გაიქეცი იმ დღეს?

– დებილია ეს სულიჩა!.. – მაგარი...

დემურმა ორი სიტყვით მოუყვა დისკოთეკის კურთხევისა და ჩხუბის ამბავი.

– კიდე, – თქვა ნუციკომ, – რას შვები?

ესე იგი, სალაპარაკო უკვე აღარ ჰქონდა.

როცა დიალოგის დროს ჩნდება: “შენა და,” “მითხარი და...” ან “კიდევ რას შვები?” – საუბარი მალე მიუახლოვდება დასასრულს. თუმცა, ამჯერად ასე არ მომხდარა. ნუციკოს არ ეჩქარებოდა.

– შენა და, – თქვა დემურმა, – რა ქვია იმას... ნადრიკუჩა არ გამოჩენილა?

“სუ დამავიწყდა, ამას ხო ნინჩო მოწონს”, – გაახსენდა ნუციკოს.

– გამოჩნდება, სად წავა.

– ორი კაცი ყავს ხო მოკლული?

ნუციკოს სულაც არ უნდოდა ნადრიკუჩაზე ლაპარაკი, ხვდებოდა, სინამდვილეში, დემური ნადრიკუჩას კი არა, ნინჩოს შესახებ ეკითხებოდა.

– ხო, ჯერ ძმაკაცის ნათლია მოკლა, მერე ვიღაც მოხვევ... რაში გაინტერესებს?

დემური დუმდა. ნინჩოს გამო კაცს ვერაფრით მოკლავდა. მაგრამ, იქნებ სწორედ ეს აკლდა – ნორჩი მკვლელის შარავანდედი – ნინჩოს სხვებისგან რომ გამოერჩია? თუკი ასე იყო, ესე იგი, ნინჩოს სახით უსასტიკესი და უბოროტესი გოგონა უყვარდა, რაც სინამდვილეს, ცხადია, არ შეეფერებოდა. ხომ არიან ნაკითხი ძველი ბიჭებიო, ფიქრობდა დემური, მსროლელებიც კი, ნაჯდომები, მაგრამ მთელი ბიბლიოთეკა რო აქვთ გადაბულბულებული. დემურმა იცოდა, გასროლით ვერ გაისროდა, ვისთვის უნდა ესროლა, ან რატომ, არც ციხეში ჩაჯდომა უნდოდა ნინჩოს გამო, ვერც წამალზე შეჯდებოდა, სიგარეტსაც კი არ ეწეოდა – აი, მოწევა კი ნამდვილად უნდა დაეწყო! – რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოძველბიჭო ჯეელის როლი უნდა ეთამაშა, ეგებ – თუკი გამბედაობა ეყოფოდა – დაეჩაგრა კიდევ ვინმე ნინჩოს დასანახად, როგორც რომიკო ამ დილით, სკოლაში არ შესულიყო, ქუჩა-ქუჩა ეყილა – ესეც, შემღებისდაგვარად, ნინჩოს დასანახად – და წიგნიერი ქუჩის ბიჭის სახელი დაემკვიდრებინა.

ო, რა რთული ამოცანა იდგა დემურის წინაშე!

– კიდევ რას შვები? – არ ეშვებოდა ნუციკო.

– პუსკას უნდა შევხვდე, – მოიტყუა დემურმა, სინამდვილეში ხურციძესთან აპირებდა წასვლას, მაგრამ იფიქრა, იქნებ ნუციკომ ნინჩოს უთხრას, დემური პუსკას, ჩხეიძეს და ჟვირავას დაუძმაკაცდა და მთელი დღეები მათთან ერთად დადისო.

– პუსკაც შენი ძმაკაცია?

უტაქტო შეკითხვა იყო. ამას ნუციკოც მიხვდა.

– ხო, – ჩაილაპარაკა დემურმა, – რავი...

ნუციკო, თავის მხრივ, დემურის “რავი-მ” ააფორიაქა, როგორც რამდენიმე დღის წინათ მის მიერვე ნათქვამმა “შე ჩემამ”.

ყურმილმა, როგორც ნუციკოს, ასევე დემურს, ყური გაუწითლა, მაგრამ ნუციკოს კვლავ ლაპარაკი ეწადა. ასეთი თამამი არასდროს ყოფილა.

– შენც მიდიხარ ჯამბულას კონცერტზე? – ახალი თემა წამოჭრა ნუციკომ.

– როდისაა? – ესე იგი, ნინჩოც მიდისო, გაიფიქრა დემურმა, – სადაა?

– ვაკის პარკში, გოგოებმა დამირეკეს, შაბათსო, გამოეთრიე სახლიდან, თორე ხმას აღარ გაგცემთო, დავიფიცე, ერთი თვე სახლიდან არ გავალ-მეთქი, გავაგიჟე დეერემი და ბებიაჩემი, მაგრამ უკვე აი, დედას გეფიცები, ძაან ცუდად ვარ, სახლი მეზიზღება...

– მართლა კაია ვითომ ეს ჯამბულა?

– რაღაცნაირია, – დასერიოზულდა ნუციკო, – კი, კაია.

“ესე იგი, ნინჩოსაც მოწონს”.

იმ ნინჩოს, რომელიც ამჟამად ლელუკასთან, ნინუკასთან და კაწკასთან ერთად სეირნობდა ჭავჭავაძის პროსპექტზე.

– გააჯვას, რა! – ამბობდა ნინჩო. ბრაზობდა, რაკი ნადრიკუჩასგან არაფერი ისმოდა. დამირეკოს მაინცო, წუწუნებდა, ეგ ცოტა ვერააო, რო გარბოდა, სად გარბოდა, დატეულიყო იქ, სადაც ეგდო, თუ დარეკვის ტრაკი არ ჰქონდაო.

– კაი, ცოდოაა! – მოკლე და მელოდიურ კომენტარს აკეთებდა ნინუკა. კაწკა ნიკუმაზე ეჭვიანობდა, მე მოვკვდე, სადღაც დაეთრევაო.

– სად ხარ? – უკიოდა ტელეფონში, ოღონდ, ვერ გაიგებდი, სერიოზულად ბრაზობდა, თუ მაიმუნობდა. თითქოს ნიკუმასთან ჩხუბის მიზეზს ეძებდა.

– მანქანაში ვზივარ, – პასუხობდა ნიკუმა.

– დაიფიცე!

– შენ დიგ ხო არა გაქ? – თითქოს ნიკუმაც ხუმრობდა, – ვფიცავ!

– აბა, დააპიპინე! – არ ცხრებოდა კაწკა.

ტელეფონიდან მოგუდული პიპინი ისმოდა.

მოკლედ, ბრაზიანი გოგონები, როგორც სჩვეოდათ ხოლმე, უსაქმოდ მისეირნობდნენ ჭავჭავაძის პროსპექტზე, ოთხივე მზესუმზირას აკნატუნებდა და თავს ოთხივე ერთდროულად ატრიალებდა, თუკი მათ ზურგს უკან, ან გვერდით, რომელიმე მანქანა ზედმეტად სწრაფად და ხმაურიანად ჩაიწულილებდა.

– შენა და, – ამ დროს, ნუციკო კვლავ დემურთან აგრძელებდა ბაასს.

“ამას, მგონი, შევუყვარდი”.

როგორც იქნა, ნუციკომ ყურმილი დაკიდა და სააბაზანოსკენ წავიდა.

– დიდხანს არ შეიკეტო, – სთხოვა დედამისმა, – სენადე მაქ დალეული და ყოველ წუთში შეიძლება რო ცუდად გავხდე.

ნუციკო დაბოღმილი შეიკეტა სააბაზანოში.

– ყველა ნერვებს მიშლის, – უთხრა თავის თავს.

ამასობაში, თეიკოს ბავშვი გაეჩინა, არსება – სამი და რვაასი. თეიკოს მამა დათვრა და აიჩემა, ბავშვს მამაჩემის სახელი, ვიტალი, უნდა დავარქვათო, ხოლო ვანჩოს, შემცივნულსა და აკანკალებულს, ძმაკაცი ჯღიბოსთვის უთქვამს, მე არაფერს მეკითხებიან, რახან ჩასიძებული ვარ, ამათ ჩავუჯვი ქონებაშიო, ვიტალი არა ჩემი ფეხები, ამათ სირი ხო არ ვგონივარო.

ბოლოს და ბოლოს, ბავშვს ზურაბი დაარქვეს – ზუკა. თეიკოს უთქვამს, ვგიჟდები ზუკებზე, ყველა ზუკა ძან კაი ტიპიაო.

ქეთო მასი ხაშურში გაიტაცა მერაბმა, თუმცა იმ დღესვე უკან დააბრუნა, ქეთოს ბრმა ნაწლავის შეტევა დაეწყო და საოპერაციო შეიქნა.

ჯამბულა კონცერტისთვის ემზადებოდა. ეს პატარა, ჯიგარი ნაბიჭვარი ბავშვები დილამდე უნდა ვაცეკვოო, იმუქრებოდა.

ვაკის პარკში უკვე დაემონტაჟებინათ დიდი სცენა, სადაც სამი ვეებერთელა ჯვარი აღემართათ.

ჯამბულას ამ ჯვრების ფონზე უნდა ემღერა.

ზარი მეთვრამეტე

სანამ სცენაზე ავიდოდა, ჯამბულას ქალაქის გარეუბნებიდან მოსული თაყვანისმცემელი გოგონები მიესივნენ და ავტოგრაფი სთხოვეს.

ჯამბულას სკოლაში სწავლა კარგა ხნის წინ გაესრულებინა, მაგრამ ასოები, “მ” და “ზ” (ისევე, როგორც “შ” და “წ”) ჯერაც ეშლებოდა. ერთადერთი სიტყვა, რომელსაც დაუფიქრებლად, სწრაფად წერდა ფურცელზე, საკუთარი ზედმეტსახელი – ჯამბულა იყო.

ჯამბულა, რიგით ჯემალ ბელიაშვილს, ჯერ კიდევ ჯარში მსახურობის დროს შეერქვა. მისი გვარ-სახელი ვიღაცას მოხდენილად შეეჯვარებინა.

სიმღერა ჯარშივე დაეწყო, კრიმინალური ყაიდის, სევდიან რუსულ სიმღერებს მღეროდა.

ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ, ჯამბულა დეპრესიას მოეცვა. ამერიკაში წასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ წავიდა.

საქართველოში, სამოქალაქო ომის შემდეგ, არეული დროება იდგა და ჯამბულამ პატარა, გასამხედროებული ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელსაც “ვარკეთილის გიჟები” ეწოდა.

ჯამბულა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე უსახურ უბანში, ვარკეთილში ცხოვრობდა. შემდეგ “ვარკეთილის გიჟები” პოლიციას დაეშალა და ჯამბულაც სამი თვით ჩამჯდარა ციხეში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ანსამბლ “მართვეს” ბიჭებს დაახლოვებოდა, მე ჩემი ვიომეო, უთქვამს და თავი ხელოვნებისთვის მიუძღვნია.

მერე ძმაცაგი რამაზას (უფრო კი მისი სიმამრის, ჩაის ფაბრიკის ყოფილი დირექტორის, აწ კი კერძო მეწარმის) დახმარებით, ოცნება აუსრულებია და ამერიკაში, ქალაქ ატლანტაში წასულა ერთი წლით.

ატლანტა, როგორც ჯამბულა ამბობდა, ამერიკის სვანეთი გახლდათ. ცხადია, მენტალიტეტს გულისხმობდა და არა ბუნებას. ასე იყო თუ ისე, სამი თვე უსაქმოდ უყიალია, მრავალჯერადი უშედეგო ცდის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მაგრამდაც გალახულა მონათმფლობელების შთამომავალთა მიერ და გოგოც გაუცნია, სახელად დები, რომელსაც სრულიად გადაუსხვაფერებია ჩვენი ჯამბულა.

აკი ამიტომაც გაჩნდა სულ ახლახანს ერთ-ერთ ყვითელ ჟურნალში სტატია, სათაურით: “რა შეაყვარა ამერიკაში ყოფნის დროს ჯამბულას იქაურმა გოგონამ?”

ვინც თვალი მოჰკრა სათაურს, ცხადია, ყველამ რაღაც უხერხული იფიქრა.

ამ დროს, თურმე, დებიმ, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანები შეაყვარა ჯამბულას. მანამდეო, ჰყვებოდა მერე მომღერალი, ადამიანები, ძირითადად, მაგარი თესლები მეგონენო, მაგრამ დებიმ სუ გადამაკეთაო – მაგის ხათრით სიგარეტსაც დავანებე თავიო. მე რო ვიტყოდი, მაგალითად, ზანგზე – ბეეეე, ტო, შავტრაკ, ტო, – დები გიჟდებოდა, ნოუო, შე ჩემო, რას ამბობო, აქაურ ველურებს ხო არ უნდა დაემსგავსო, ჯორჯიელებს გულისხმობდა, ატლანტელებს.

დები თავადაც ჩამოსული გახლდათ კოსტა-რიკიდან, სინამდვილეში მარია-ანხელიტა ერქვა და ამერიკელ მოხუც ქალს უვლიდა.

რო წამოვედი, მაგრა მენატრებოდა, მაგრამ ჩემ თავს ვუთხარი, არ ჩაიჯვა, ჯამბულ, თბილისი ჯიბეში უნდა ჩაისვაო.

მერე, ასევე ძმაცაი რამაზას სიმამრის დახმარებით, ჩამოუყალიბებია როკ-ჯგუფი “მირიანი და ნანა”, მოუვლია რეგიონები და ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიისათვის პატრიოტული როკ-ჰიმნიც დაუწერია. ჰიმნი ჰიტად ქცეულა და ჯამბულას სახელი გადაურქმევია თავისი ჯგუფისთვის: “ჯამბულა და მოციქულები”.

მის ჯგუფში “მართვეს” ბიჭები და ყოფილი ვარკეთილელი გიჟებიც მღეროდნენ. ახლა კი ჯამბულა გარეუბნულ გოგონებს თავისი ფსევდონიმით ასაჩუქრებდა.

არ იღიმებოდა, ავტოგრაფს მექანიკურად იძლეოდა, თავს ვარსკვლავად გრძნობდა, თბილისი უკვე ჯიბეში ესვა...

ერთი საიდუმლო ჰქონდა ჯამბულას – ასაკს იკლებდა, ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ამბობდა.

ნინჩოს ნუციკოც წაეყვანა კონცერტზე, გამოეთრიე, გოგო, სახლიდან, თორე, დედა მომიკვდეს, ხმა თუ გაგცო. ლელუკა ავად გამხდარიყო და საბანში გახვეული, თავს გზავნილების წარმოქმნა-გაგზავნით ირთობდა. ნინუკას უთქვამს, მეზარებაო, და სახლში დარჩენილა, ასე რომ ნუციკო ვაკის პარკში ნინჩოსთან და კაწკასთან ერთად წასულიყო.

კაწკას, თურმე, ნიკუშასთან უჩხუბია, კონცერტზე არ მიშვებდაო.

– შენ ვინ გეკითხება-მეთქი, ვუთხარი, და დედა შემაგინა...

ნინჩო კაწკას არ უსმენდა, კონცერტზე მოსულ ხალხს ათვალთვლებდა, ამიტომ დაუფიქრებლად წამოსცდა:

– რა საყვარელია.

– რო შემაგინა, იმიტოა საყვარელი? – გაუკვირდა კაწკას, თუმცა ნინჩოს მაინც აუბა მხარი, – არა, ზოგჯერ, მართლა მაგარი საყვარლობაა ნიკუშას გინება, მაგრამ ეხლა, პროსტა, არანაირად!

– აუ, რამდენი სოფლეელია! – უკმაყოფილოდ ამოიოხრა ნინჩომ და გაიფიქრა, მგონი, მაგარი ბანძობა იქნებაო.

– არ აგვწაპნონ ტელეფონები! – შეეშინდა კაწკას.

– რაია, გოგოებო, აქანა რო დგარიენტ! – დაიყვირა მათ ზურგს უკან ვიღაცამ, – ძლივს გიპოვეთ, ბლიად!

ნინჩომ თავიდან ვერ იცნო, ვინ იყო ეს, როგორც უწინ იტყოდნენ, პიჟონი – სახელოებმოფცქვნილ (და არა მოჭრილ!) მაისურსა და ტყავის შარვალში გამოწყობილი ყმაწვილი.

– აუ, ამირაან! – გადაეხვია კაწკა ყმაწვილს.

ეს ხომ სწორედ ის ბათუმელი ამირანა გახლდათ, რომელიც ორი წლის წინ დაეჭრა ნადრიკუჩას. ნეტავ, როგორ გაბედა თბილისში ჩამოსვლა? არ ეშინია? თუმცა, ეს ხომ ძველი ამბავია... მაგრამ მაინც, კაწკა, ოფიციალურად, ისევ ნიკუშასთან დადის, ახლა კი ნიკუშა აქ არაა, კაწკა ამირანას კოცნის, შეიძლება ითქვას, რომ მაინც ცეცხლს ეთამაშება...

აი, თურმე, რატომ არ უშვებდა კაწკას ნიკუშა! ეტყობა, რაღაცას გრძნობდა. ნიკუშას რომ გაეგო, კაწკა ამირანას შეხვდაო, კაწკას თუ არა, ამ ერთუჯრედიან ამირანას ნაღდად ესროდა, თან, როგორც ჩანს, კაწკასა და ამირანას შეხვედრა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა:

– რატომ არ დამირეკე, ხო მითხარი, იქანა შეგხვდებიო... რა ქვია?.. ლომებთან!

ქვის ლომები იგულისხმა ამირანამ.

– აუ, არ დამიტენია, გამომერთო, ხო მაინც მომნახე... – თავი გაიმართლა კაწკამ. ეს მისი ხვედრი იყო. კაცებთან ყოველთვის თავს იმართლებდა.

– რავა ხართ? – გადაკოცნა ამირანამ ნინჩო და ნუციკო.

ნინჩოს თანდასწრებით სამმაგად იპრანჭებოდა, თუმცა ოდითგანვე კაწკა მოსწონდა. “ეს კაწკა, პუპას თქმის არ იყოს, მგონი, მართლა ბოზია”, – გაიფიქრა ნუციკომ.

– აქანა რა გვინდა? ახლოს მივიდეთ, სცენასთან... იცნობთ ჯამბულას? გაგაცნობთ...
– შენ რა ყველას იცნობ! – თქვა კაწკამ.

– ჯამბულა ძმაა, აი აპარატურა ჩემი მოთრეულია აქანა, – გაიღიმა ამირანამ და გოგონებს ორივე ხელით უბიძგა, სცენისკენ წადითო.

ამასობაში, ხალხიც აღრიალდა.

ჯამბულა – რომელსაც წელს ზემოთ არაფერი ეცვა, ხოლო სრულიად დაბანჯვლულ მკერდზე ვერცხლის ჯვარი ეკიდა – სცენაზე გამოჩნდა:

– მიყვარხართ, ლამაზებო! – ჩასძახა მიკროფონს, დაიჩოქა, ძირს დადებული ელექტროგიტარა ხელში აიღო, მუცელზე მიიბჯინა და “მოციქულებს” თვალი ჩაუკრა, დავიწყოთო.

“მოციქულებმაც” არ დააყოვნეს.

ჯამბულას მუსიკამ მთელი პარკი გააყრუა. პირველი სიმღერა რელიგიურ-ისტორიული ყაიდისა გახლდათ. ჯამბულას სასოწარკვეთილი ხავილი აღმოხდა, თან ადგილზე ხტომა დაიწყო. – როცა ფარავნიდან შემოვიდაააა წმინდა ნინო...

დემური კონცერტზე მარტო მოსულიყო. არც ხურციძე წამოჰყოლოდა და არც ანდრიკო, ახალ მეგობრებს, ჩხეიძეს, პუსკასა და ჟვირავას კი ვერსად მიაგნო. დიდხანს ჭოჭმანობდა თვითონაც, წამოსულიყო თუ არა. ჯერ ერთი, ეგონა, რომ ნინჩოს ვერ იპოვიდა, და მეორეც,

თუკი იპოვიდა, ვალდებული იყო რაღაც მოემოქმედებინა, თავი გამოეჩინა რამენაირად, ეს კი საშინლად ეზარებოდა.

ვაკის პარკში ცენტრალური შემოსასვლელიდან შემოვიდა, იქიდან, სადაც ძველისძველი, ჟანგიანი და პრეისტორიული ტროლეიბუსები ჩერდებიან, ჩამოირბინა გრძელი კიბე, ხალხს შეერია და ნინჩოს ძებნას შეუდგა. საკმაოდ დიდხანს ეძება, მაგრამ ვერ ნახა. უცნაურია, მაგრამ სადღაც გაუხარდა კიდეც, ეს იმას ნიშნავდა, რომ დღეს ვალდებულებებისაგან თავისუფლდებოდა – და როცა უკან, კიბეზე ასვლა გადაწყვიტა, სწორედ ამ დროს მოჰკრა ნუციკოს თვალი, მერე კი ნინჩოს, რომელიც იქვე ცეკვავდა.

“ეს გოგო ოღონდ აცეკვე და...” – გაიფიქრა დემურმა და კუჭმაც, როგორც წესია, თავი შეახსენა, ესე იგი, ნერვიულობა დაეწყო.

უეცრად, ჭეშმარიტად რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო, სამამულო წარმოების ლუდი შეიძინა და ისე ჩაცალა სულმოუთქმელად, თითქოს ღვინოს სვამდა ყანწიდან. დემურმა, ჯერჯერობით, არ იცოდა, რა არის სიმთვრალე. ღვინის გემო არ მოსწონდა. არაფი ბავშვობაში შესძულდა მამამისის გამო, რომლის ტანსაცმელსაც არყის სუნი უდიოდა, ისე კი, ბესიკი, როგორც იცით, ბევრს სულაც არ სვამდა, ასაყროლებლად ცოტაც ჰყოფნიდა. იფიქრა, ლუდი გამათამამებსო, და კიდეც ერთი ქილა იყიდა. მერე სულიჩა გაახსენდა და შეეშინდა, რწყევა არ დამაწყებინოსო, ამიტომ არც კი გაუხსნია, მერე დავლევო, და რის ვაივაგლახით ჩაიტენა შარვლის ჯიბეში.

სცენისკენ გაიკვლია გზა და ამასობაში ლოყებზეც შეწითლდა.

ჯამბულა კვლავ ადგილზე ხტოდა, მაგრამ უკვე სხვა სიმღერას – რელიგიური როკის ახალ შედევრს – მღეროდა:

– თეთრად რო გადაგვიღებეს რუსმა ეკზარხოსებმა ეკლესიებიი...

რომელსაც ასეთი მისამღერი ჰქონდა:

– ამიტომ, მერე ეგენიც დაისაჯენ... დაისაჯენ! დაისაჯეენ!..

– მარტოები რატო ხართ? – მიუახლოვდა დემური გოგონებს. უნდოდა, ასევე, ეთქვა, ჩემი მისახედები იქნებითო, მაგრამ ვერ გაბედა, შეეშინდა, არ დაეცინათ.

დემური იმდენად მთვრალი არ იყო, რამდენადაც მთვრალს თამაშობდა.

თუმცა, მოეჩვენა რომ ნინჩომ მაინც დასცინა:

– ვა, დემური! – დაიძახა ნინჩომ.

რატომ “დემური” და არა “დემურ”? მეც ქაჯი ხო არ ვგონივარო, ეწყინა დემურს.

სამაგიეროდ, ნუციკოს გაეზადრა სახე:

– აუ, რა გიჟი ბიჭი ხარ, საიდან გაჩნდი!

ეჰ, ნეტავი ეს ფრაზა ნინჩოს ეთქვა და არა ნუციკოს, თან ისე, როგორც ნუციკომ წარმოთქვა ამ წუთას.

– ვიცოდი, რო აქ იქნებოდით, – გაღიმება სცადა დემურმა, – და მოვედი, რა.

– ჯიგარი ხარ, – ზრდილობიანად, მაგრამ ცივად მოუჭრა ნინჩომ და სცენისკენ გაიხედა.

“სულ ტყუილად ვწვალობ, – გაიფიქრა დემურმა, – ამ გოგოს ფეხებზე ვკიდევარ”.

– მთვრალი ხო არა ხარ? – ნუციკო დემურს შეჰხაროდა.

– არა... მთვრალი არა... – დემურმა ხმას ხრინწი და ოდნავი იდუმალეობა შეჰმატა.

– მოწეული ხარ? – არ მოეშვა ნუციკო.

დემურს ნინჩომაც გამოხედა.

“გაჩხერილი მაქ-მეთქი, ხო არ ვთქვა? – გაუხარდა დემურს, – ეგებ, მოტრიალდეს კიდევ...”

– რამე ხო არ გინდათ? – გამოსავალი მოძებნა დემურმა.

ფული დღეს დილით ამოეღო დედამისის ჩანთიდან. გოგოებმა თავი გააქნიეს.

– მაგარია, არა? – თქვა კაჭკამ.

– დაცემაა, ბოის ზრდილი რომ ვიყვე, – უპასუხა ამირანამ.

ასე შეაფასა ამ ორმა ჯამბულას სიმღერა. დემურმაც მხოლოდ ახლა შეამჩნია ისინი. და დაიყვირა:

– უმაგრესი ხარ, ჯამბულ!

ანუ, მთვრალი ვარო, ამ ყვირით ამბობდა, ან მოწეულიო. იქნებ სულ ცოტათი მაინც შეეშინდეს ნინჩოსო.

სამწუხაროდ, ნინჩოს არა, მაგრამ ნუციკოს კი შეეშინდა:

– გაგიჟდი? – თქვა მან და დემურს თვალეებში შეხედა. ახლა საბოლოოდ გააცნობიერა, რომ დემური მოსწონდა. გააცნობიერა და ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდევ. რალა დემური?

ამ დროს, ჯამბულამ შედარებით მშვიდი სიმღერა წამოიწყო:

– ზემელი არ მიყვარს, თემქა მირჩევევნიააა...

ამირანამ კაჭკას ხელი წელზე შემოხვია და ყურში უჩურჩულა:

– ამ სიმღერაზე, პროსტომც, ვეცემი!

დემურმა გაიხედ-გამოიხედა, თეიკოს წესიერი ნათესავისმაგვარ ყმაწვილს ეძებდა, რომ მიჯახებოდა და ეთქვა: ცოტა ფრთხილად, ჩემი ძმა! – მაგრამ მის ჯინაზე, გარშემო მხოლოდ აგრესიული გოგო-ბიჭები ცეკვავდნენ, ამიტომ პროვოკაციული ბარბაცი შეწყვიტა და ჯამბულას ზიზღით შეაცქერდა.

– მოგწონს? – ჰკითხა მას ნუციკომ. ამ მსუქან და მუდამყამ გაბუტულ გოგონას იმდენად სწრაფად გამოუკეთდა ხასიათი, რომ ნინჩომ გაიფიქრა, ცუდად ხომ არ გახდაო.

– მე მეკითხები? – ნუციკოს ჰკითხა.

– არა, დემურს, – დაიბნა ნუციკო.

– ვის? – ნინჩომ მარცხენა ყური მიუშვირა ნუციკოს, ჯამბულა მთელ ხმაზე ხაოდა, არაფერი ისმოდა.

“დემურსო, დემურს ვეკითხებიო, – შინაგანი ხმით, ნუციკოს მაგივრად პასუხობდა დემური, – უკვე დაგავიწყდა არა, შენს გვერდით რომ ვდგავარ!”

– დემურს! – დაიყვირა ნუციკომ.

ნინჩომ გაიღიმა. ნუციკოს მოეჩვენა, რომ ნინჩო ირონიულად იღიმებოდა.

– ბათუმში სექტემბრის ბოლოს უნდა ჩამოსულიყავით, – ჩასძახოდა კაწკას ამირანა, – მაგარი სენტმენტია, სიმონ!.. ზღვა ეგი... რა ქვია... გამჭვირვალე... პლაჟი ცარიელი... აბა, რო ჩამოდიენ აგვისტოში, ბოლოსკენ, სუ წვიმებია, ბლიად... ვერც დეისვენებიენ და ვერც იგი... ჩამოით ჩემთან, დეეცემით, ყველა ამომიწყდეს...

დემურმა ლუდის დალევა გადაწყვიტა, მაგრამ ჯიბიდან ამოღება არ უნდოდა, ვერ გაუგებდნენ...

კიდევ კარგი, ამ სიბნელეში უცნაურად გამობერილი ჯიბე არ უჩანდა, ნინჩო ნაღდად დასცინებდა.

– არ წახვიდე, რა! – შეეხვეწა ნუციკო.

“ამან ხო გამიტრაკა საქმე!” – გაიფიქრა დემურმა, თუმცა მაინც გაუხარდა, რომ ნინჩოს უახლოესმა დაქალმა, ნუციკომ, სთხოვა დარჩენა.

– ეხლავე მოვალ. – თქვა და ხალხს შეერია.

– დემური დაგევასა, ნუც? – გადაიხარხარა ნინჩომ.

ნუციკომ ჯერ კაწკასა და ამირანას გადახედა, ნინჩოს სიტყვები ამათაც ხომ არ გაუგონიათო, მერე კი საჩვენებელი თითი მიიღო საფეთქელთან და დაატრიალა:

– დებილი ხაარ?

დემური ხეებთან მივიდა, თვალი მოჰკრა ბუჩქებთან მოკოცნავე წყვილს და მიუხედავად იმისა, რომ წესით ეს მოვლენა უკვე აღარ უნდა გაჰკვირვებოდა, ერთ ხანს მაინც შეამტერდა.

ლუდს იქვე გაუსინჯა გემო, გაუჭირდა, მაგრამ მაინც არაყვივით გადაჰკრა.

ჯამბულა თავის მორიგ ჰიტს მღეროდა:

– ნანაი-ნანაი-ნანა... ღმერთო, დალოცე თინეიჯერები!

ბოლოს აჩხავლდა, გიტარის დამტვრევას მოერიდა, ტყავის ჩექმა, რომელზეც გველები ეხატა, გაიძრო, ხალხში გადააგდო, დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა.

მსმენელიც ჩხავილით გამოეხმაურა. დემური სცენისკენ დაიძრა და ნუციკო შეეფეთა.

– მარტო ხარ? – გაუკვირდა დემურს.

– ამირანას გაყვინ, ჯამბულა უნდა გაიცნონ...

“ჯამბულა, ამირანა... რა უბედურებაა!.. რა სახელები ქვიათ!”

ნუციკო აშკარად გაცილებას ითხოვდა.

დემურს თავბრუს ეხვეოდა, ნინჩოსთან განშორება სულაც არ უნდოდა.

– ჯიგარი ხარ, – უცერად ლოყაზე აკოცა ნუციკოს, – იცი, როგორ მიყვარხარ... აი, მაგრა! – და კვლავ ხალხში გაუჩინარდა, ჩემს უცნაურ საქციელს სიმთვრალეს დააბრალებსო. ისე კი, ბოლო-ბოლო, რას იფიქრებდა ახლა ნუციკო, ფეხებზე ეკიდა. ნუციკომ, ხმა ვერ ამოიღო, ისე დააბნია დემურის კოცნამ.

მერე ნინჩოს დაურეკა:

– სად ხართ?

ნინჩომ უთხრა, სცენას უკნიდან მოვუარეთო.

– მე წავალ, რა, – უთხრა ნუციკომ.

ოო, ნუ წახვალო, შენც აქ მოდიო, აწუწუნდა ნინჩო.

– რაში გაინტერესებს ჯამბულას გაცნობა, არ გეზარება?

ნინჩომ უპასუხა, ბარემ აქა ვარ და თანაც, კაწკა არ მიშვებსო.

– კაი, კაი, მოკლედ, მე წავედი...

ნუციკომ ტელეფონი პატარა ჩანთაში ჩაიდო, ნინჩომ იფიქრა, დამიკიდაო და გადარეკვა დააპირა, თუმცა გადაიფიქრა, მომკლა მაგან თავისი გაბუტვებით, რაც უნდა, ის ქნასო.

ნუციკომ ტყე-ტყე გაიკვლია გზა, გადააწყდა მრავალ მოკონცნავეს და საბოლოოდ ფალიაშვილზეც გამოაღწია.

მერე უკვე აყროლებულ სამარშრუტო ტაქსიში მჯდომი, საკუთარ თავს უსვამდა შეკითხვებს:

– მოგწონს?

– უიმეე...

– გიყვარს?

– ნუ მეკითხები... დებილები ხართ ყველანი!

დემურმა სცენას ორჯერ მოუარა, მაგრამ ნინჩო ვერსად იპოვნა. მერე სცენაზე ავიდა, სადაც ინსტრუმენტებს დიდ შავ ყუთებში აწყობდნენ ბრაზიანი კაცები.

უეცრად კაწკას, ნინჩოს და ამირანას მოჰკრა თვალი. გადმოხტა სცენიდან და მათი მიმართულებით გაიქცა, თან ფიქრობდა, რო მირბოდა, სად მირბოდა, ამიტომ შეყოვნდა, ნაბიჯს შეუნელა.

ამირანამ კაწკა და ნინჩო რაღაც სოკოსმაგვარ წითელ მანქანაში ჩასვა, თვითონ კი კაწკას მიუჯდა გვერდით. საჭესთან ვინ იჯდა, დემურმა ვერ გაარჩია.

იქვე მდგომ კერძო ტაქსიში შეხტა და მძღოლს, მსუქან და ჭადარა მამაკაცს გაუღიმა:

– იმ წითელ მანქანას გავყვეთ...

– ველოდები, – მოუჭრა კაცმა.

– არ წამიყვანთ?

– ველოდები, შვილო! – გაღიზიანდა კაცი.

ცხადია, არავის ელოდებოდა, უბრალოდ, დემურის წაყვანა არ უნდოდა.

აბაშიძის ქუჩის კუთხეში, პარკის ზემოთა გამოსასვლელთან, კიდევ რამდენიმე მანქანა იდგა. დემური შავტუხა მძღოლებს ეცა:

– რომელი მიდის?

მძღოლები ისე დაფიქრდნენ, თითქოს მათ ურთულესი ამოცანის ამოხსნას თხოვდნენ. ამ დროს ამირანას სოკოსმაგვარი მანქანაც დაიდრა.

დემური, როგორც იქნა, ერთ-ერთ ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს დიპლომატიურად მიუგო:

– იმ წითელ მანქანას გავყვეთ, ჩემი მეგობრები არიან, ვერ ჩავეტიე...

მძღოლს ხმა არ ამოუღია, ტაქსი ამირანას სოკოს უკან გაჰყვა.

მძღოლი მალევე ალაპარაკდა:

– ჩამოვდივარ, ამას წინათ, ოქროყანიდან... ვხედავ, ქალი დგას... რა ქალი, გოგო, ტო!.. პატარა გოგო... გამიჩერეო. გავუჩერეო... გვერდით მომიჯდა. სიგარეტი არა გაქო?... არა მაქმეთქი, შვილო, დავანებე... მე ეხლა დავიწყეო... ან დედა არა გყავს, ან მამა, ვფიქრობ... უცებ, არ გადმოყო, ამ შობელმადლმა, ხელი!.. მეთქი, აილე, შენხელა შვილი მყავს... ეგრე მინდაო, მითხრა. გავაჩერე, არც შენი ფული მინდა, არც არაფერი-მეთქი, ძალით გადავაგდე... უყურებ, რა ხდება! გული მიკვდება, შვილო... ინჟინერი კაცი ვარ...

ამირანას სოკომ შატბერაშვილის ქუჩაზე აუხვია და ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა.

– შენც აქ გაგიჩერო? – ჰკითხა დემურს მძღოლმა. დემურმა თავი დაუქნია.

ამირანამ გოგონები სადარბაზოში შეიყვანა.

დემური იქვე, მის მანქანასთან შეყოვნდა. არ იცოდა, ახლა რაღა უნდა ექნა, ან რატომ წამოვიდა. მალე სახლს კიდევ ერთი მანქანა მიუახლოვდა, ესეც სოკოს ფორმისა, და იქიდან თავად ჯამბულა გადმოვიდა, რამდენიმე “მოციქულთან” ერთად.

ჯამბულაც ამ სადარბაზოში შევიდა, სადაც ამირანა, ნინჩო და კაწკა შევიდნენ რამდენიმე წუთის წინ.

დემური მაწანწალა ძალივით აწრიალდა, საშინლად ნერვიულობდა, თან ფიქრობდა, აქ რა ჯანდაბა მინდაო.

არც ნინჩომ იცოდა, რატომ წამოყვა კაწკას და ამირანას აქ, შატბერაშვილის ქუჩაზე, სახლში, სადაც ამდენი უცხო, დაღლილი, მთვრალი და მოწეული ადამიანი მიდი-მოდიოდა.

ნინჩომ ჯერ კიდევ ვაკის პარკში, სცენის მახლობლად გაიცნო ჯამბულა. ისეთი შეგრძნება მაქ, თითქოს ტელევიზორი გავიცანიო, კაწკას უთხრა. ცოცხალი ჯამბულა არასდროს ენახა. მიუხედავად იმისა, რომ თამამი გოგონა გახლდათ, როა ამირანამ ჯამბულა გააცნო, ნინჩოს ისე შერცხვა, რომ გაწითლდა კიდევ. მერე ნერვები აეშალა, რატომ ვწითლდები, დებილი ფანი არ ვეგონოო, და კიდევ უფრო აჭარხლდა.

ჯამბულა კონცერტის მერე არათუ დაღლილი, პირიქით, უფრო აგზნებული იყო. მან, როგორც იტყვიან, ცხოველი ენერგიით დაუწყო ნინჩოს პრანჭვა და პირში თავისი ხელით შეტენა სრულიად მყრალი სიგარეტი, თანაც უთხრა, დაქაჩეს პონტი გააკეთე და მაგრა გაგისწორდებაო.

ნინჩომ უარის თქმა ვერ გაბედა. კაწკას უკვე მოეჩაჩა და ასეთ სიტუაციაში მრავალგზის ნამყოფი ქალის როლის თამაში დაეწყო – ძირს დამჯდარიყო და ამირანას მუხლზე ჩამოედო ხელი.

ჯამბულა ისე ელაპარაკებოდა ნინჩოს, სხვას რომ იგივე ეთქვა, მოეწონებოდა კი არა, კრეტინად ჩათვლიდა, იტყოდა, ეს, დედა მომიკვდეს, ცოტა ვერააო, მაგრამ ჯამბულა ვარსკვლავი იყო – მართალია, რეგიონალური მასშტაბის, მაგრამ მაინც ვარსკვლავი – ამიტომ მისგან ყველაფერი სხვაგვარად ჩანდა და ისმოდა.

– მეძინებას პონტია, მაგრამ რო დავიძინო, გაქრები, ბოზი ვიყო, და ძან გამიტყდება. სიზმარში ვარ-ს პონტი მაქ, საკაიფო ხალხი, მუსიკა, რამე და უმაგრესი გოგო...

– ძან მომეწონა, – თქვა ნინჩომ, უკვე თავბრუც ეხვეოდა.

– მიაყოლეს პონტი გააკეთე, – ჯამბულამ რამდენიმე სასმელი აურია ერთმანეთში, ჯერ თვითონ დალია და მერე ნინჩოს პირთან მიუტანა.

– არა, – იღიმებოდა ნინჩო, – კონცერტი მომეწონა-მეთქი, ეს კი არა...

– გამიტეხავ, თან მაგრა! – ძალით გაიცინა ჯამბულამ, – რამდენი წლის ხარ? ოცის? ოცდახუთის?

ნინჩო ვერ მიხვდა, ასაკი რომ მოუმატეს უნდა წყენოდა, თუ პირიქით, გახარებოდა.

– შენ რამდენის გგონივარ?

– ოცის.

ნინჩომ თავი დაუქნია.

– გამოიცანი, – მოიტყუა რატომღაც.

– გამოცნობის მამა ვარ, – ხილაბანდი მოიხსნა ჯამბულამ, ეტყობა, დასცხა.

ნინჩომ ჯამბულას შექმნილი სასმელი გადაჰკრა. ჯერ კიდევ შეეძლო ფიქრი და საკუთარ თავთან კამათი:

“დებილი ვარ?.. კააწ, ავდგეთ, აქ პროსტა, რა გვინდა!.. აუ, ეს მართლა მაბაავს!.. ეხლა ვეტყვი, რო თემურიკო ნადარეიშვილი მიყვარს... იქნებ იცნობს?.. ისე, საიდან უნდა იცნობდეს!.. ეს ნადრიკუჩა, დედა მომიკვდეს, იდიოტი თუ არ იყოს... რატო არ რეკავს?.. მარა – აი ოღონდ მართლა – ჯამბულა რა საყვარელია!.. ვაბზე არ ყოფილა, რო ამბობდნენ, რაღაცნაირი... ვარსკვლავი... თუ რაღაც...”

– თვალებით ვგავართ ერთმანეთს, – ლოყებში ხელები წაავლო ჯამბულამ ნინჩოს, – მე ხო მაგარი გიჟი ვარ, შენც, ტო!..

ნინჩოს არ ესამოვნა მისი მკვეთრი მოძრაობა. უნდა წავიდეთ, გაიფიქრა, და ოდნავ წამოიწია, მაგრამ ისე დაეხვა თავბრუ, რომ კინაღამ გული აერია.

უკვე ველარც ჯამბულას ხედავდა ნორმალურად.

– რა ჩამიყარე? – ბავშვივით, გულწრფელად იკითხა, – აუ, ხო არ მომწამლევ?

– გაგისწორდას პონტი გაქ? – ჯამბულამ ნინჩო მიიხუტა.

– ხო ჯიგრულად მეხუტები? – ჩაილაპარაკა ნინჩომ და თვითონაც მიხვდა, რომ უკვე ბოდავდა. უცრად, გადაწყვეტილება მიიღო, ჩემზე უნდა მოვუყვე რამეო.

– ჩემი შეყვარებული იჯდა ციხეში... თემურიკო ნადარეიშვილი... ხო იცნობ?...

– ეე! – დაუყვირა ვიღაცას ჯამბულამ, – გამორთე რა სინათლე!

– აუ, რატო უნდა გამორთოს... კაწკა სადაა?..

– იყოს, ტო!.. თუ გინდა, იყოს. აუ, მაგრა მიყვარხართ რა, ქართველი გოგოები!..

– ნადრიკუჩა გაიქცა ციხიდან... – ნინჩო ისევ თავის ამბავს უყვებოდა ჯამბულას, – მარა არ დაურეკავს, ტრაკია... აუ, რა სიგიჟეა, ამ ყველაფერს შენ რო გიყვები!.. მგონია, რო ჯამბულა კი არ ხარ, აი ვიღაც ხარ... სხვა!

– იცი, რა მინდა? – თმაზე ხელს უსვამდა ჯამბულა ნინჩოს, – მინდა რო კონცერტის დროს ხალხს თავზე გადმოვაფსა...

– ფუუ... – დაიჭყანა ნინჩო, – რა ცუდი ხარ!.. კააწ...

ნინჩოს უნდოდა, რომ კაწკასთვის ეთქვა, ჯამბულა ძან საყვარელიაო, მოტრიალდა და თვალებს არ დაუჯერა: კაწკა ამირანას ეჯდა კალთაში და ტუჩებში კოცნიდა.

“ეს მართლა ბოზი ყოფილა”, – გაიფიქრა ნინჩომ, თუმცა დიდად არც გაკვირვების და არც გაბრაზების თავი არ ჰქონდა, თანაც ჯამბულას წვერის შეხება იგრძნო ლოყაზე.

– დებილი ხაარ? – ამის თქმაღა მოასწრო.

ეგონა, რომ ჯამბულა კოცნიდა, ამ დროს, თურმე, თვითონაც აქტიურობდა, ხელები, ყოველ შემთხვევაში, ჯამბულას კისერზე შემოეჭდო და შიგადაშიგ მელოტ თავსაც უზელდა.

ეჰ, მაინც რას შერება ეს ტელევიზორი!

ასე სწრაფად მაინც როგორ მოახერხა ჯამბულამ ნინჩოს შებმა?

რალა უნდა ეთქვა ნადრიკუჩასთვის? ხო გაგიჟდებოდა! გაგიჟდებოდა კი არა, ცოცხლად დამარხავდა მთელ “მოციქულებს...” ესე იგი, არც ჰყვარებია, უბრალოდ, მაგრა მოსწონდა...

ან ძაან გაბრაზებული იყო, თავს მიგდებულად გრძნობდა და ამიტომაც ვერ შეეწინააღმდეგა ჯამბულას... მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის არც თავი ჰქონდა და არც, გულწრფელად რომ ვთქვათ, სურვილი...

უკვე ჩვიდმეტი უპასუხო გზავნილი გაჩენილიყო კაწკას ტელეფონზე, რომელსაც გაავეებული ნიკუშა გზავნიდა.

როცა ჯამბულა ნინჩოს შარვალს დაეჭიდა, ამ უკანასკნელს მამამისი, კარლო ღვანფერიძე და დედამისი, ლამარა ნატროშვილი წარმოუდგა თვალწინ...

– არა, დედა! – წამოიყვირა მის წარმოსახვაში ლამარამ.

– აპ, აპ, აპ, აპ! – ხელები გაასავსავა კარლომ.

– აუუ, – მოეხვია ნინჩო ჯამბულას, – არა... – და მიიხედა-მოიხედა კიდეც, კაწკა და ამირანა სადღაც გამქრალიყვნენ, ახლო-მახლო აღარც უცხო ხალხი ჩანდა.

– ეხლა არ გამაგიჟო... – მასწავლებელივით გაუბრაზდა ჯამბულა ნინჩოს.

ნინჩო ფიქრობდა, აქედან გაეთრიოსო, მაგრამ თვითონვე ეხუტებოდა...

ჯამბულას სულაც არ ეგონა, რომ ჭიდაობა მოუწევდა ამ პატარა გოგოსთან.

ნინჩოს კბილებიც კი უკაწკაწებდა შიშისგან.

“ეს თუ ქალიშვილი იყო, იმ გამოსირებულმა ამირანამ თავიდანვე ვერ მითხრა?!” – ბრაზობდა ჯამბულა, თუმცა იქვე იმასაც ფიქრობდა, ამირანას საიდან უნდა სცოდნოდაო, და სევდა ერეოდა. ასე თუ ისე, მაინც მომღერალი იყო, მხეცი ხო არა. ჭიდაობას ვერ დაიწყებდა.

ამასობაში, საბრალო დემურს ვერ გადაეწვიტა, ისევ აქ, სადარბაზოსთან დარჩენილიყო, თუ ფეხებზე დაეკიდა ნინჩო, ტაქსი გაეჩერებინა და სახლში წასულიყო. აქ ტანჯვას, სახლში ჯდომა და ტანჯვა ჯობიაო, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძროდა. ალბათ, ლუდის ბრალიაო, თავის თავს ეუბნებოდა და ჭოჭმანისგან დაღლილს მთელი თბილისი, მთელი საქართველო, მთელი სამყარო შესძულდებოდა...

რა იცოდა დემურმა, კიდეც რამდენჯერ მოუწევდა ცხოვრებაში ჭოჭმანი!

ბოლოს სადარბაზოში შევარდა, აირბინა კიბე, ავიდა მეორე სართულზე, მესამეზე, მეოთხეზე, და ხან ერთ კარს, ხან კი მეორეს მიადო ყური, მაგრამ უშედეგოდ – ისე კი, თვითონაც არ იცოდა, რას აპირებდა...

სიმთვრალის ნატამალიც კი აღარ შერჩენოდა და გამბედაობა აღარ ჰყოფნიდა.

საბოლოოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მეორე სართულიდან პირველზე დაეშვა.

გამოვიდა სადარბაზოდან, ფანჯრებს ახედა, ჰაერი ჩაისუნთქა, ძალა მოიკრიბა და არც იმდენად ხმამაღლა შესძახა:

– ნინჩო!

კიდევ ერთხელ სცადა, ოდნავ უფრო ხმამაღლა, მაგრამ რაკი ახლაც არავინ გამოიხედა, წასვლა გადაწყვიტა.

არ უნდოდა ტაქსის გაჩერება, მაგრამ არც ფეხით სიარული უნდოდა.

კინალამ მანქანა დაეტაკა, ქუჩებში ბნელოდა, არაფერი ჩანდა.

ბოლოს ტაქსის გაჩერება გადაწყვიტა, მაგრამ კიდევ კარგი, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხურდების მეტი არაფერი ჰქონდა. სახლში ფეხით მოუწევდა წასვლა.

ცარიელმა ქუჩებმა კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება.

ასე, დილის სამი საათი იქნებოდა, როცა კაწკა იმ ოთახში შევიდა, სადაც ნინჩო და ჯამბულა იყვნენ.

ნინჩოს თვალები ჰქონდა დასიებული, ჯამბულას ჩაჰხუტებოდა. ჯამბულას წელს ზემოთ არაფერი ეცვა. ნინჩო ხელს ბანჯგვლებზე უქლასუნებდა. ჯამბულა დაქანცული და გაღიზიანებული ჩანდა.

– დეემენს დაურეკე? – ჰკითხა კაწკამ ნინჩოს.

ნინჩომ თავი გააქნია.

– გაგიჟდი? გადაირევა, – კაწკამ სიგარეტს მოუკიდა, – იტირე?

ნინჩომ არაფერი უპასუხა.

ჯამბულამ ხელი გაიშვირა კაწკასკენ:– დამიტოვე. – სიგარეტი უნდოდა.

კაწკამ მიაწოდა.

ჯამბულას უკმაყოფილებისგან სახე დამანჭვოდა, თუმცა კაწკას მაინც გაეხუმრა:

– იქნები, დაიკო, ჩვენი მეჯვარე?

ზარი მეცხრამეტე

თბილისში დიადი სროლების კვირეული დაწყებულიყო.

ჯერ იყო და, სახლში გამთენიისას მობრუნებულ ნინოს ლამარა ნატროშვილმა გამჭვირვალე ვაზა ესროლა (სწორედ ის, კარლომ სახელური რომ მოაჭამა), რას გვერჩი, ადამიანო, ჩვენი სიკვდილი გინდაო?!

საბედნიეროდ, ვაზა ნინოს ასცდა და კედელს მიენარცხა. ნამსხვრევებად იქცა. საძინებელი ოთახიდან ნამტირალევი სოფიო გამოვარდა, ჩემს ბავშვობას ბავშვობა ჰქვიაო?!

კარლოს, თურმე, მთელი ქალაქი შემოუვლია ძმაკაც ელგუჯას მანქანით. ჯერაც ქუჩაში ყოფილა საწყალი.

ლამარას ნინოს უკლებლივ ყველა დაქალისთვის ჩამოურეკავს და ნუციკოსაგან შეუტყვია, რომ ნინო კაწკას და ვიღაც ამირანას გაჰყოლია სადღაც...

ამ კაწკას ტელეფონის ნომერიც გაუგია ნერვიულობისგან მთლად ჭკუიდან გადამცდარ ლამარას, მაგრამ ეს კაწკა, თურმე, ზარს არ პასუხობდა.

– სად იყავი, დედა, სად? – კიოდა ლამარა, თან ტელეფონზე კრეფდა კარლოს ნომერს, – კარლო! მოვიდა ეს იდიოტკა, აქაა, სახლში!

ყურმილიდან კარლოს გინება ისმოდა.

ნინო თავის ოთახში შევარდა. ლამარა უკან შეჰყვია. არ მოერიდა, ტუჩებზე მაგრად მისცხო ხელი. ნინო ტახტზე გაგორდა და თავი ბალიშში ჩარგო, არ უნდოდა ტირილი. რო ეტირა, იცოდა, ვერ გაჩერდებოდა.

– იმ შენმა იმანაც დარეკა... – კვლავ კიოდა ლამარა.

– ვინ? – თავი წამოწია ნინომ, ახლა მართლა იტირებდა.

– რა ქვია, კაცო!.. ჯანდაბა! – ლამარას სუნთქვა უჭირდა. – ნადრიკუჩამ? – პირი მოედრიცა ნინოს.

– ხო, ხო!.. თქვენ მოუკვდით თქვენს პატრონს!

– მერე... მერე რა უთხარი? – ფრჩხილი მოიკვნითა ნინომ.

– რა უნდა მეთქვა?.. რა უნდა მეთქვა, შენ გაგიხმეს ეგ თავი!.. არ მოსულა-მეთქი...

– კიდე, რაო?

– რაო და თქვენი სინსილა გაწყდესო... სად იყავ-მეთქი, სად დაეთრეოდი მთელი ღამე?

ნინო ქვითინით დაემხო ბალიშზე, – “ვაიმე, ნადრიკუჩა!.. შენი ბრალია... იცი, რატო? იმიტო, რო სირი ხარ!.. რო დაიკარგე, სად დაიკარგე!..”

კიდევ კარგი, ყოველივე ეს ხმამაღლა არ უთქვამს, ხმამაღლა ეს თქვა:

– ძაან ცუდად ვარ...

ლამარა აღარ კიოდა:

– რა გჭირს, დედიკო, მითხარი... მე ხო შენი ლამარიკო ვარ, დედა!

ნინჩო უკვე ტულეტში შეკეტილიყო, როცა სადარბაზოდან კარლო ღვანფერიძის მრისხანე ქარების ხმამ შემოაღწია.

ნუციკოს ლელუკასთვისაც ეთქვა, ნინჩო და კაწკა ამირანასთან ერთად წავიდნენო, ხოლო ლელუკამ, თავის მხრივ, ეს ამბავი ნინუკას შეატყობინა. გოგონებმა გადაწყვიტეს, რომ კაწკასთვის ნამუსი არ შეენახათ – რაკი კაწკა სულაც არ იყო მათი დაქალი – და უკვე სკოლაში მისულეებმა, კლასშიც იჭორავეს, ეს კაწკა ისევ იმ იდიოტ ამირანას შეხვდაო, ნინჩომაც, პროსტა, უარი ვერ უთხრა და ნიკუმასთან კი ძაან უტყდება, მაგრამ რა ექნა, კაწკას და ამირანას მაინც გაყვაო.

რა ბედი ეწია იმ ღამეს თავად ნინჩოს არც ნუციკომ იცოდა, არც ლელუკამ და არც ნინუკამ.

ნუციკო ჯერაც ვერ ბედავდა სკოლაში მისვლას. რომც მისულიყო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მასაც ეჭორავა, ნუციკოს თავისი სადარბაზოელი ჰქონდა...

ნიკუმა ისედაც ხვდებოდა ყველაფერს.

ფანჩულას, მის ძმაკაცს, ეთქვა, ის სირი ამირანა ჩამოვიდაო.

გაიგეს იმ სახლის მისამართი, სადაც ამირანა ცხოვრობდა და მანქანით აადგნენ. თითქმის მთელი დღე დარაჯობდნენ.

ამირანა ორ ჯეელთან ერთად გამოსულა სადარბაზოდან.

ფანჩულა ამ ამბავს მერე ასე იხსენებდა: ჩვენო, ოთხნი ვიყავითო, და მეთქი, ამირანას რამენაირად მანქანაში ჩავისვამდით და გასაპიზდათ ავიყვანდით კუს ტბაზე, მარა რახან ეს ქაჯი ორ კაცთან ერთად გამოვიდა, მანქანაში ჩასმა არ გამოგვდიოდა და უცებ ნიკუმა გადახტა მანქანიდან, ამოიღო ბიძამისის სტეჩკინი და არ მიუშვა სამივეს!

– თქვენ დედებს გაჭმევთ, ბოზებო! – რატომღაც, თურმე, ასე იგინებოდა ნიკუმა.

მერე სწრაფად შემხტარა მანქანაში და ბიჭებსაც მოუხევეიათ.

ამირანას არც ერთი ტყვია არ მოხვედრია. მთელ ხმაზე ბლაოდა:

– ჯამბულა დაგვიჭრენ, ბოის შვილნი ვიყვეთ... ქართველ მსმენელს ჯამბულიე დაუჭრენ!

ერთ-ერთი, იმ ორიდან, ჯამბულა ყოფილა. ტყვია მხოლოდ მას მოხვედრია, თან ერთი კი არა, სამი, თანაც დუნდულოში სამივე.

როცა ნიკუმას სროლა დაუწყია, ჯამბულას უკან, სადარბაზოში გადაუწყვეტია დამალვა და სწორედ მაშინ დაჭრილა.

რომელიღაც ყვითელ ჟურნალში მეორე დღესვე გაჩნდა სათაური:

“სხეულის რომელი ნაწილი დაუზიანდა ჯამბულას წუხელის?”

ფანჩულა ამბობდა, ეს ნიკუმა ბრუციანი ყოფილა, ერთი ტყვიაც ვერ გაარტყა ამირანას, ჯამბულას დაუხვრიტა ტრაკიო.

ნიკუმას ბიჭები მელიქიშვილის ქუჩაზე გადმოუყრია, კაწკა მყავს სანახავიო.

ფანჩულას კი უთქვამს, რა დროს კაწკაა, შე ჩემა, მოსატყდომად გაქ საქმეო.

აუ, შენ ნუ მასწავლიო რა, გაბრაზებულა ნიკუმა, ჩემი საქმისა მე ვიციო, ძმაო, და ფილარმონისკენ აუწეწია.

ფილარმონიას გამცდარა თუ არა, ტროტუარზე ავარდნილა, შეჯახებია ძელს, გაუტანია პარპრიზი, უფრენია ათი თუ ოცი მეტრი და “კოკა-კოლას” გამყიდველი, პლედ-შემოხვეული, მოზუზული და მთვლემარე ქალბატონის ფერხით დაცემულა. მადლობა ღმერთს, გადარჩენილა. დამტვრეული ხელ-ფეხით და ტვინის შერყევით დაუწვენიათ საავადმყოფოში, სადაც შავ-შავ ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი პოლიციელებიც მალე მისულან.

კაწკას ტელეფონი გამოერთო, არავინ იცოდა, სად იყო, იმალებოდა.

ამირანამ ბათუმისკენ მოუსვა.

ნინჩო სახლში ჩაიკეტა.

გოგოები – ნინუკა და ლელუკა – ნუციკოს სახლში აადგნენ და ნინჩოსთან წასვლამდე, ბევრიც იწიწინეს.

– დედა მომიკვდეს, ჩემი ბრალი თუ იყოს, – ჩხაოდა ნინუკა, – ნიკუმამ ისედაც იცოდა... ხო შენ მოუყევი ლელუკას? – ნუციკოს ეკითხებოდა, – ლელუკამ მე მითხრა... და უკვე პუპამაც იცოდა.

– პუპამ საიდან გაიგო? – ჩხაოდა ლელუკაც.

– მთელმა თბილისმა გაიგო და პუპა ვერ გაიგებდა!

– აუ, ისე გამოდის თითქოს მე გავაგებინე მთელ თბილისს – სააბაზანოსკენ, თავის თავთან საკამათოდ იწევდა ნუციკო.

იმ დღის ამბავს, ცხადია, უკვე დემურის ყურამდეც მიეღწია, მაგრამ მანამდე მასაც მოესწრო მშობლებთან ჩხუბი.

– დალიე?

დედასთან კამათი ამ სიტყვამ გამოიწვია.

– ეხლა ავდგები და დავრეკავ იმ კრეტინ გოგოსთან, კი არ მომერიდება! – თავისი ჭეშმარიტი სახე გამოაჩინა თამარმა.

– შენ გიჟი ხო არა ხარ! – დაიყვილა დემურმა. ხმა, ისე როგორც საჭიროა, ჯერაც არ დაბოხებოდა.

– ეგ, ეტყობა, არ მიცნობს, ვინა ვარ!..

ნინჩო ღვანფერიძე თამარს დემურის შეყვარებული ეგონა, – ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ეს უტიფარი, ცხენივით გოგო ზედაც არ აფურთხებდა მის შვილს; ფიქრობდა რომ დემური მთელ დღეებს ამ ვინმე ნინჩოს გარემოცვაში ატარებდა და მის ჭკუაზე დადიოდა...

– მერე მეტყვი მადლობას, სახლიდან გასაგდები რო გეყოლება! – ბრაზობდა თამარი, დემურს კი სევდა ერეოდა: “აუ, ეს სად არი! დედაჩემო, მართლაც სად ბანაობ!”

მერე შეეშინდა, მუქარა არ აასრულოს, ნინჩოს არ დაურეკოსო, და გადაწყვიტა, არ ეკამათა, თუმცა, ისიც იცოდა, დედამისი აქ, სახლში, მასთან და ბესიკთან ჩხუბის დროს იყო მაგარი, თორემ სხვასთან ხმას ვერ ამოიღებდა.

მაგრამ გაბრაზებული თამარ ჩიჯავაძის ყურება ჯოჯოხეთი იყო. თუკი არ ყვიროდა, თვალებს აბრიალებდა (“თვალებს ნუ მიპრაჩავ!” – ჩიოდა ხოლმე ასეთ დროს ბესიკი), აბსტრაქტულად ილანძვებოდა და დღეში ათ ჭიქა ყვავს სვამდა – ნეტავი მალე მოვკვდეო! – ზოგჯერ, ამ სიტყვებსაც ამბობდა.

სწორედ ამიტომ დემურმა ბებიასთან, ვაკეში, გადაწყვიტა ერთი-ორი დღით გადასვლა.

ბებია ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ყიფშიძის ქუჩის დასაწყისში. დილიდან საღამომდე სამზარეულოში იჯდა და თავის თავს კარტს ეთამაშებოდა. დეპრესიაში იყო, რაკი მოსაუბრე არ ჰყავდა. თამარს კი ურეკავდა დღეში სულ მცირე ორმოცჯერ, მაგრამ მაინც არ ყოფნიდა. დემურის მოსვლამ გაახარა, თუმცა მანამდე მოესწრო და თამარს დაერეკა, შეყვარებულია, ოფოფები აქვს და არ გაგაკვირვოსო.

შემოვიდა თუ არა დემური სახლში, მაშინვე უკან გავარდა, მალე მოვალო, ბებიამისმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: “ბებიკო...” ამ დროს, უკვე გვიანი იყო, საწამ დემური არ დაბრუნდებოდა, მანამდე ვერ დაიძინებდა. რაკი დემური მასთან ათენებდა ღამეს, თავი საბავშვო ბაღის ზედამხედველად, დემური კი ისევ პატარა ბიჭად, თითქმის ალუად მიაჩნდა.

დემური ხურციძესთან წავიდა.

ამასობაში სახლში გამოკეტილი ნინჩო ჯამბულას ინტერვიუს კითხულობდა, რომელიც ლელუკას, ნინუკას და ნუციკოს ამოეტანათ მისთვის.

– ჯამბულ, მაინც რა მოხდა იმ ღამეს? – ეკითხებოდა ვარსკვლავს ჟურნალისტი.

– არ იცით?

– შენი აზრი გვეინტერესება.

ჟურნალისტი სულ ახლახანს გადმოსულიყო ხაშურიდან თბილისში.

– შური, რა...

მოკლედ პასუხობდა ჯამბულა.

– ეჭვი გაქ ვინმეზე? – ხალხს რო ვუყვარვარ, ეგ აიზმენებთ, საქართველო რო გულზე მახატია, მაგაზე ილექებიან.

როგორც ჟურნალისტი იტყობინებოდა, ჯამბულას სახლთან მისი თაყვანისმცემლები ათენებდნენ ღამეებს, პლაკატებით: “ჯამბო, გვიყვარხარ!”

ნინჩოს ერთი სული ჰქონდა, გოგონებისთვის მოეყოლა ჯამბულას შესახებ. ჯამბულაზე უნდოდა ლაპარაკი, მისი დახასიათება, მიზამვაც კი, შეძლებისდაგვარად...

ნუთუ შეუყვარდა?

რატომ აღარ ფიქრობდა ნადრიკუჩაზე?

ჯამბულა ერთხელ ნახა, კი ბატონო, აკოცა, მიუალერსა კიდეც, მაგრამ უკვე შეუყვარდა?

ამ დროს, ეგონა რომ ნადრიკუჩა უყვარს... ესე იგი, მხოლოდ მოსწონდა... ოღონდ ძან მაგრა!.. კი მაგრამ, მთელი ორი წელი?

ნუთუ აწი გული აღარ აუჩყუდება, როცა ქუჩაში გადააწყდება ფურთხის გუბეებს?

ახლა ბანჯგვლიანი და მელოტი კაცების დანახვაზე უნდა აუჩქროლდეს გული?

იქნებ, ერთდღიანი სიყვარულია? იქნებ, ნადრიკუჩა ისევ შეუყვარდეს ხვალიდან?

ნეტავ, ჯამბულა დარეკავს?

რო არ დარეკოს, გააფრენს... თვითონ დაურეკავს. კაწკასგან გაიგებს ამირანას ტელეფონის ნომერს და ამირანა ჯამბულასთან დააკავშირებს...

უიმე, რა სახელებია!

რატო უნდა მოატყუოს ნინჩო ჯამბულამ?

არა, შეიძლება, ცოლად მართლა არ მოიყვანოს, მაგრამ რო იარონ, რა მოხდება, ნინჩოზე უკეთესს სად ნახავს...

იქნებ ჭიდაობა სულაც არ იყო საჭირო? ქაჯივით ხო არ მოიქცა! აბა, რა ექნა!.. დედ-მამა წარმოუდგა თვალწინ, ლამარა ნატროშვილი და კარლო ღვანფერიძე, თანაც შეეშინდა... ჯამბულასი შეეშინდა... იმ ადამიანების, ოთახში რო მიდი-მოდიოდნენ და მოულოდნელად რომ აორთქლდნენ... თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და ამან დააფრთხო. კაწკაც სადღაც გაქრა, ამირანასთან ერთად... მაგრამ ჯამბულა მაინც ძან საყვარელი იყო... მიხვდა რო ნინჩო ქაჯი არაა, პირიქით, ალბათ, დააფასა კიდევ...

მოკლედ, ჯამბულა უყვარს.

ვერ მოითმინა, მაინც აღიარა.

– რაა? – პირი დააღეს გოგონებმა, – დაიფიცე?

– თან სახლში რო მოვედი, დეერქმმა მომახალა, ნადრიკუჩამ დაგირეკაო...

გოგონები ყურებს არ უჯერებდნენ.

– მოგკლავს, შე საწყალო... – პირზე ხელი აიფარა ნინჩუკამ.

– ფეხებსაც ვერ მომჭამს. – გაბრაზდა ნინჩო.

გოგონებს ნინჩოსთვის ერთადერთი შეკითხვის დასმა ეწადათ, რომლის გაცხადებასაც, ჯერჯერობით, ვერც ერთი ბედავდა, ხოლო ნინჩოს უკვე მზად ჰქონდა ღირსეული პასუხი: “აუ, არა!.. დებილი კი არ ვარ!”

გოგონების წასვლის შემდეგ, ნინჩომ კაწკასთან გადარეკა – ჯამბულას ტელეფონის ნომრის გაგება უნდოდა, თანაც რასაც კაწკასთან იტყოდა, სხვასთან ვერ გაბედავდა, ახლა მისი მთავარი მოკავშირე კაწკა იყო, სხვა არავინ – მაგრამ კაწკას ტელეფონი ჰქონდა გამორთული, იმალებოდა.

დედამისი, ლამარა ნატროშვილი, ამ დროს, ჩურჩულით ესაუბრებოდა უმცროს ქალიშვილს, სოფიოს:

– რა ვქნა, დედიკო, მირჩიე... ხოა სასწრაფოდ გასაგზავნი ამერიკაში? შენც ხო ასე ფიქრობ.

– შორია ძალიან, მომენატრება, – ნაღვლიანად პასუხობდა სოფიო, – თუმცა, რო უნდა წავიდეს, ფაქტია.

ცხადია, კარლოც იმავეს ფიქრობდა. ამაჟამად აბანოში იყო, მეგობარ ელგუჯასთან ერთად და მიუხედავად იმისა, რომ ელგუჯას ტელეფონში მსუბუქი ყოფაქცევის ქალების –

მარიეტასა და ინგას – ტელეფონის ნომრებს ეძებდა, ასეთ რთულ და საპასუხისმგებლო მომენტშიც კი, უფროს ქალიშვილზე ფიქრობდა.

კარლოს განტვირთვა ესაჭიროებოდა. იმ დამემ მომიღო ბოლოო, გამოუტყდა ელგუჯას, ვიფიქრე, მოიტაცეს, ან ავარიაში მოხვდაო.

აბანო გამოგიყვანსო, შეაპარა ელგუჯამ, კაი ქალები და კაი ქისაო. ორივე ასაკში იყო, ორივეს ჭაღარათი დაეფარა თავი და ორივეს ბებერი ცოლი ჰყავდა.

პატარა გოგოებთან ხომ არ დაიწყებდნენ არმიყს, თვეში ერთხელ, ჰა და ჰა, ორჯერ, აბანოს მიაშურებდნენ ხოლმე და მარიეტებსა და ინგებს იბარებდნენ – ქეიფობდნენ მათთან ერთად, უყვებოდნენ ანეკდოტებს და საჩუქრებსაც ჩუქნიდნენ.

ზოგჯერ, მესამე ძმაკაცს, ზაურ კამკამიძესაც წამოიყვანდნენ ხოლმე, რომელსაც, ასაკის გამო, სამწუხაროდ, მხოლოდღა საუბარი შეეძლო კახებთან...

კარლო ამბობდა, ვგრძნობ, შემომელახება ის სირისტიანიო. ნადრიკუჩას გულისხმობდა.

ელგუჯა ცხელ წყალში ლივლივებდა. ფიქრობდა, ეგებ აუზში ჩამოვიტყუო მარიეტაო.

სკოლაში მხოლოდ ორად ორი გოგო ლაპარაკობდა ნინჩოს და ჯამბულას შესახებ, – ლელუკა და ნინუკა, დანარჩენებს კი ქეთო მასისა და მერაბის სახელები ეკერათ პირზე – ქეთო მასს ფარულად დაეწერა ჯვარი.

არ ყოფილა არც დიდი სუფრა, არც კობტად გამოწყობილ მეჯვარეთა დამაბული ცეკვა და არც თეთრი კაბის კალთები დასვრია პატარძალს. არც სიძის წითელი ყურები დაუნახავს ვინმეს, რადგან ქეთოს და მერაბს ამ უკანასკნელის სოფელში, ნიაბში, დაეწერათ ჯვარი.

გოგონებს, რომელთაც უკვე ზრდასრულ ქალებად მიაჩნდათ თავი, ცოტა არ იყოს, ეწყინათ, რატო გამოგვაპარაო, ნინუკამ კი თქვა, მამა თორნიკეს მაინც როგორ არ შეატყობინაო.

ასე იყო თუ ისე, როცა ქეთო ჩამოვიდა, მოწაფეებმა მას გულით მიულოცეს, ის კი მორცხვი ბავშვივით ინაზებოდა. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ სოფლური ჯვრისწერით არ შემოფარგლულან, პაწია სუფრა თბილისშიც გაუმლიათ, ქეთოს სახლში და კოლეგებიც მიუპატიჟებიათ, ჯენიფერის ჩათვლით, რომელიც სულ მოკლე ხანში დაანგრევდა მათ ნორჩ და ბედნიერ ოჯახს...

პუსკამ დემურთან დაიჩვილა, რომიკოს, აი იმას, ფული რო უნდა მოეტანა, ისე ჩაუჯვამს, კლასელებისთვის უთქვამს, სხვა სკოლაში გადავდივარო.

– კარგად იყოს, რა! – თავი დაიმშვიდა ბოლოს, – ბავშვების მეტი რა არი!

სკოლაში ნუციკოსაც გაეხედა მოსვლა, მაგრამ როგორც კი კლასში შემოვიდა, მაშინვე მოეჩვენა, რომ სულიჩამ მასზე თქვა რაღაც.

სანამ დაქალებს გადაკოცნიდა, დემურმა გადაკოცნა.

ნინუკამ უთხრა:

– დებილი ხაარ?.. დემური მართლა მოგწონს?

– დებილი შენ ხარ!.. ვინ გითხრა?

– ნინჩომ!

– ეგ ცოტა დებილი ხო არაა!

და გაიფიქრა: “კი მაგრამ, მაგ დებულმა როდის მოასწრო ჩემზე ჭორაობა?”

ისე, სუ ფეხებზე ეკიდა, ლელუკა, ნინჩო და ნინუკა რას იტყოდნენ და რას იფიქრებდნენ – თავიანთ თავებს მიხედონო, რა!

დიახაც, მოეწონა ეს დემური, მეტიც, მგონი, შეუყვარდა, თუმცა, ჯერ ზუსტად არ იცის – უწინ დღიურებს წერდა, მერე შეწყვიტა, სულ ახლახანს, ორიოდ დღის წინ განაახლა ჩანაწერები:

“იდიოტური დღე იყო. ნინჩო სახლში ყავთ გამოკეტილი. ვფიქრობ დ.-ზე. ბებიაჩემს ვეჩხუბე. დეეჩემს კაკუჩამ დაურეკა, წნევა გამიზომეო. მოკლედ, დღეს არაფერი მომხდარა. დილიდან ტელევიზორთან ვგდივარ. მაინც ძან მეზარება ამეების წერა”.
კლასში ბოტანიკის მასწავლებელი, სოსო ლაბუციძე შემოვიდა, რომელსაც ბავშვებმა ზედმეტსახელად ბუტკო შეარქვეს.

საგანი, სახელად ბოტანიკა, საგანთა შორის, ბავშვებს ერთ-ერთ ყველაზე მოსაწყენ და უინტერესო საგნად მიაჩნდათ. ბუტკოს არც უსმენდნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. თავის მხრივ, არც ბუტკო იძლეოდა შენიშვნებს, წინა მერხებთან მსხდომი წარჩინებულ მოსწავლე გოგონების გასაგონად ლაპარაკობდა.

ნუციკოს რვეულის სულ ბოლო გვერდი გადაეშალა და თავისი გვარ-სახელით ავსებდა:

ნუციკო სურმავა, ნუციკო სურმავა, ნუციკო სურმავა, ნუციკო სურმავა... სასწრაფოდ დიეტაზე უნდა დავჯდეო, ფიქრობდა.

რომელი სცადოს?

ბრინჯის?

მაწვნის?

თუ ბანანის?

მთავარია, სადამოს ექვსი საათის მერე არ ჭამოს და არც პურს გაეკაროს!

შეძლებს კი?

რის გამო უნდა იწვალოს ასე? თანაც, ვის გამო? დემურის გამო?

უფ, არა, რა სისულელეა!.. აუ, დემური რა შუაშია!

ნუციკომ ოცდამეხუთედ დაწერა საკუთარი გვარი და სახელი, კალამი პირში ჩაიდო და დემურს გადახედა.

უცნაურია, მაგრამ დემურმაც შეხედა.

ნუციკომ გაუღიმა. დემურსაც დაძაბულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, გვერდით პუსკა ეჯდა და ბურღავდა:

– ერთია რა, მეხუთე კლასელი, დათუჩა თუ ოთუჩა, არ მახსოვს... შეიძლება მაგის შეყენებაც. შეექვსე კლასელებშიც დიდი მაყუთი ტრიალებს, გასიებული ბავშვი როა, ილიკო, რიჭა, მაგაზეც შეიძლება შეჯდომა... იკისრებ?

ნინჩო სკოლაში არ იყო. რატომ უნდა ეკისრა?

– რავი, ვნახავ, – მხრები აიჩეჩა დემურმა.

– რა იყო, შე ჩემა, კი არ გიკბენს! – დაიმანჭა, თავისი ჭკუით კი გაიღიმა პუსკამ.

– რა შუაშია...

ვითომ ეწყინა დემურსაც.

ამ დროს, როგორც კი ზარი დაირეკა, პირდაპირ სახლისკენ აიღო გეზი, წითური ილიკო არც უძებნია.

მაგრამ როგორც კი ქუჩაში გამოვიდა, ნუციკოს ხმა მოესმა:

– დემო!

ვა! “დემო” რაღაც ახალი იყო. მგონი, წარუმატებელ “ბუბასაც” სჯობდა.

– მოიცა, მეც მოვდივარ.

“ამან ხო შემც...” – სიტყვა ვერ დაასრულა დემურმა, რაკი თავადაც გაუკვირდა, არც დავეფიქრებულვარ, შემჭამა-ს მაგივრად, გონებაში ისე წარმოვთქვი სრულიად უზრდელო სიტყვაო. ესე იგიო, გადაწყვიტა, მართლაც ვიცვლებიო. სულ ცოტათი მაინცო.

– რას შვები?

მიყარა ჩვეული შეკითხვები ნუციკომ.

დემური გაღიზიანდა, გრძნობდა რომ ნუციკო ისე აღარ ექცეოდა, როგორც ადრე – ვერ იჯერებდა, მაგრამ ნუციკო აშკარად ეპრანჭებოდა – ბევრს იცინოდა, უცნაურად აქებდა: თმა რატო შეიკრიჭე, გრძელი უფრო გიხდებოდაო.

დემურს შეეშინდა, ამან თუ თქვა, დემური მომწონსო, ნინჩოსთან პრანჭვა შედეგს ვერასგზით გამოიღებდა, ნინჩო ხომ ყველა ვარიანტში ეტყოდა დემურს, შენ, ბიჭო, გიჟი ხო არა ხარ, ნუციკოს ევასები, მე თავი დამანებეო. ნინჩო ღვანფერიძე ყველაფერს იკადრებს, მაგრამ დაქალს შეყვარებულს არ აახვესო.

ამიტომ დემურმა გადაწყვიტა, რომ ნუციკოსთვის ნინჩოს სიყვარულის შესახებ ეუწყებინა.

პუსკას ფრაზაც გაახსენდა: “პონტი უნდა გაიასნდეს, ძმაო”.

– ნუც, – უთხრა, – შენ ხარ, დედა მომიკვდეს, აი მართლა ჩემი და...

ნუციკომ ვერ გაიგო, უნდა სწყენოდა, თუ გახარებოდა. გული, რა დასამალია და, ცუდს უგრძნობდა.

– გახსოვს, ერთხელ, რაღაცის თქმა რო მინდოდა და რო ვერ გითხარი?

– როდის? – დაიძაბა ნუციკო. – ადრე, რა... მოკლედ... არა აქ მნიშვნელობა... მე მინდა რო შენ იცოდე, რა... რაღაც პონტში... უკვე სამი წელია ნინჩო მიყვარს და არ ვიცი, რა ვქნა...

განა ნუციკო ვერ ხვდებოდა ამას? ხვდებოდა, როგორ არა, მაგრამ რა საჭირო იყო ახლა ამის თქმა!

რატომ დემურ? რატომ მეუბნები? რატომ ამიშალე ნერვები?

ნუციკო გაბრაზდა.

გაბრაზდა და პირიც მოაღო, დაქალთა საიდუმლო გათქვა:

– აუ, – თქვა, – იცი, რას გეტყვი...

– რას? – დემური ყველაფერს მოელოდა ნუციკოსგან, მაგრამ ასეთ გაწიწმატებას – არა. – ნინჩო ნადრიკუჩას დაშორდა...

“ვაიმე, დედა!”

სიხარულისგან კინადამ გული წაუვიდა დემურს.

– რაა?

– ჯამბულასთან დადის, ალბათ, ცოლადაც გაყვება...

ყოველთვის ასეა: ჯერ კარგი ამბავი უნდა გითხრან, მერე კი ცუდი.

– ვისთან დადის?

აქ კი ნუციკოც გამოფხიზლდა. მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა. ნერვები აეფოფრა, საკუთარ თავზე ისე გაბრაზდა, რომ ხმას ვეღარ იღებდა – ჯერ ერთი, გაბრაზდა იმიტომ, რომ თავი ვერ აიყვანა ხელში, როცა დემურმა ნინჩოს სახელი ახსენა, და მეორეც, ნინჩოს საიდუმლო რომ გათქვა, ამაზე შეწუხდა.

მერე ორივემ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, რაკი ერთიც ცუდად გრძნობდა თავს და მეორეც, დემურს ყელში ბურთი გაჩხეროდა ბოლმისგან, მარტო რომ ყოფილიყო, ალბათ, იტირებდა კიდევ...

ჯამბულა აკლდა!

ახლა რაღა ექნა! სად უნდა წასულიყო? სად ექვითინა? სახლში? არავითარ შემთხვევაში! ავეჯი, ფარდა, გულისამრევი ტელევიზორი, ძველი მაცივარი, ნაცრისფერი ტელეფონი, წიგნის თაროები, მამამისის დამტვერილი პეიზაჟები – მის სახლში თითქოს დრო გაჩერებულიყო, ეს სტატიკა უეჭველად თვითმკვლელობამდე მიყვანდა.

არც ბებიამისთან შეეძლო მისვლა, “ბებიკო, არი რამე ახალი?” – ბებიამისის ფლეგმატური ტონი და შეკითხვები მოუღებდა ბოლოს.

ისევ ხურციძესთან, ან ანდრიკოსთან მისვლა ერჩია, ეგებ რომელიმესთან დარჩენილიყო ამ ღამით! მათთან დაიწუწუნებდა, დაიჩვილებდა, ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, გულწრფელად ილაპარაკებდა ნინჩოზე.

იმ ნინჩოზე, რომელსაც ახლა ტელეფონის ყურმილი მიეზღინა ცხელი ცრემლებისგან გახურებულ ლოყაზე და რომელსაც სრულიად არ აღელვებდა, რა სტანჯავდა ამ წუთას დემურ ჩხიკვიშვილს.

ნინჩო ნადრიკუჩას ელაპარაკებოდა.

– რაა? – ხრინწიანი ხმით ყვიროდა ეს უკანასკნელი და რისხვისგან ასოებიც კი ერეოდა, – სე ჩემა, გაიმეორე!

– ნაად, – ტიროდა ნინჩო, – არ გაგიტყდეს, ნაად... აი, პროსტა, დავიდალე... ხო არ მოგატყუებ! რო მოგატყუო, ძაან ბანძი უნდა ვიყო... რატო დაიკარგე? რატო არ მირეკავდი? აუ, არ გამიგია ასეთი პაბეგი!..

– ხო გითხარი, გოგო, ხო გაგაფრთხილე, – არ უსმენდა ნადრიკუჩა ნინჩოს, – ეგეთ დროს, პირში ვიძლევი-მეთქი, ამოგბუგავთ, შეგთხრით შესათხრელს.. ვინ არი? სად მოძრაობს? სახელი მითხარი, გოგო!

– აუ, არ შეიძლება, რომ ისე, უბრალოდ გადამიყვარდე? ვინ უნდა იყოს, არავინ! – მოატყუა ნინჩომ, – მაგრად მევასები... ძაან საყვარელი ხარ, მარა აღარ მინდა... აუ, თან იცი, პროსტა, როგორ მეცოდები!.. ოღონდ, მართლა, ჯიგრულად... – მართალია, ნინჩო ხვდებოდა, რომ რაც მეტს ილაპარაკებდა, მით უფრო მეტ სისულელეს იტყოდა, მაგრამ გაჩუმება მაინც არ შეეძლო, – დეიდაშენი რო მოკვდა, თან რო, თურმე, აყვანილიც ხარ... და მეც რო დამპალი გამოვედი... ძაან ცოდო ხარ... მაგრამ არა ვარ, ნოოდ, დამპალი... შენი ვარ!.. პროსტა, ასე აღარ მინდაა...

ამ სიტყვებმა ნადრიკუჩა კიდევ უფრო გააშმაგა:

– ხო სახლში ხარ? ხო სახლში ხარ-მეთქი, გოგო?

ნინჩოს შეემინდა:

– მერე რა, რო სახლში ვარ, რა გინდა?... არ უნდა მეთქვა, უნდა დამემალა?..

– მანდ იყავი, რა... ათ წუთში მანდ ვარ... ვილძევი-მეთქი, გოგო, ასეთ დროს პირში, ვის ვეუბნებოდი!

– სად მოდიხარ, დებილი ხარ?!.. მამაჩემი სახლშია... მორჩა, ნაად... აღარ მინდა, ნაად... დაგიჭერენ, რო გამოხვიდე...

ნადრიკუჩამ ტელეფონი დაუკიდა ნინჩოს, ესე იგი, მართლა მოდიოდა.

ნინჩო კანკალმა აიტანა, სასწრაფოდ უნდა გაქცეულიყო სახლიდან. აუ, მე მგონი, კრეტინი ვარო, ფიქრობდა, რამ მათქმევინაო! მაგრამ რო დამირეკა, ვერ მოვითმინეო, ბოლო-ბოლო, ხო მაინც მომიწევდა თქმაო... კიდევ კარგი, ის არ მითქვამს, რო ვილაცა შემიყვარდაო...

ნინჩო ოთახიდან გავარდა, მაგრამ წინ დედამისი, ლამარა ნატროშვილი გადაეღობა.

– არსად არ გაგიშვებ! მომკალი და ისე წადი! – დაიყვირა ლამარამ.

ნინჩომ ისე დაიხზავლა, რომ ოცი წლის წინ ნაყიდი ჭალიც კი შეზანზარდა:

– შე ძროხა, გამატარე!

ხოლო ნადრიკუჩა, რომელიც ფანჩულას მამიდაშვილის სახლში იმალებოდა, მისთვის საბედისწერო ნუცუბიძის პლატოზე, განაჩხერი და საეჭვო ტაბლეტდანაყლაპი გამოვარდა ქუჩაში და იქვე, სადარბაზოსთან მდგომ მწვანე “ნივაში” დააპირა შეხტომა.

მერე ამბობდნენ, განაჩხერი რომ არ ყოფილიყო, ასე გიჟივით არ გავარდებოდა, მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა, ნინჩოს მერეც ნახავდაო.

ხოდა, სანამ ჩაჯდებოდა, შავად შავ მანქანას წაუჩერებია იქვე, გადმომხტარა ერთი ქალი და ორიც მამაკაცი, ესენიც შავებში და ქალს სახელით მიუმართავს ნადრიკუჩასთვის:

– თემურ, სწორფერი მომიკალ, კაი ყმა, მიმავალი საფრანგეთს... ღირსი ხარ განა სიცოცხლისა?

და ავტომატიდან, რომელიც ხელში სჭერია, მიუშვია და მიუშვია ნადრიკუქასთვის.

იარაღი კაცებსაც ჰქონიათ, ნადრიკუქასთვის მათაც დაუხლიათ ტყვიები.

– თქვე ბოზებო, როგორ მიცანით, ესე იგი, ტყუილა მომიშვია, თქვე ჩემა, ეს სირული ულვაში!

უყვირია ნადრიკუქას და “ნივის” კაპოტზე გადამხობილა.

კონსპირაციის მიზნით ულვაში მოეშვა, ეგებ ვერ მიცნონ პოლიციელებმაო, მაგრამ სხვებმა კი იცნეს.

კაცები იმ მოხევე ბიჭის ნათესავები ყოფილან, ნადრიკუქას გუდაურში რო შემოჰკვდომოდა, ქალი კი მოკლულის დობილი გახლდათ, აკი ამიტომაც თქვა, სწორფერი მომიკალიო – მისანი და დიდი ოხერი გოგო.

ეს გოგო რომ არა, ნადრიკუქას, ცხადია, ვერ მიაგნებდნენ, ამას, ამ გათახსირებულს დასიზმრებია ჯერ მთელი ნუცუბიძის პლატო, მერე ის კორპუსი, სადაც ნადრიკუქა იმალებოდა, შეუყრია მთელი ნათესაობა და უთქვამს:

– ვიცი, სადაც ცხოვრობს, წავიდეთ, მოვკლათ, თორო არ მასვენებს მკვდარი ძმობილი, სიზმრადა ვხედამ ყოველ ღამ... ჯერ მარტო ის რამ დამავიწყოს, ვიზებზე რამდენი იწვალა... გასტანჯეს, ბედკრული, ფრანგთა საელჩოში... ჯერეც მოწვევაო, მერე პასპორტის ასლიო, ორი ფოტოვო, სამი-ოთხზეო... და ამ ძაღლმა არ მოჰკლა უცება! ვინ ოხერია!.. წავიდეთ, სისხლი ავიღოთ, პლატოს მივაშუროთ!.. მეოთხე მიკრორაიონია!..

ამ ოხერ გოგოს ორი ბრგე ბიჭი გამოჰკოლია. სულ, სამივეს, ჯამში ორმოცდაათი ტყვია უსვრია ნადრიკუქასთვის.

ვინ მოიყვანდა ცოლად ასეთ სასტიკ ქალს! ასეთ ტიალს რძლად ვინ დაისვამდა! ტყვია ოდესმე, ალბათ, მასაც მოძებნიდა.

მაგრამ შემზარავ ამბებს დასრულება ჯერაც არ ეწერა.

როგორც კი ნუციკოს გამოემშვიდობა, დემური ვარაზის ხევში დაეშვა, გეზი ხურციძის სახლისკენ ეჭირა.

მთელ სამყაროზე დაბოღმილ ნუციკოს ქურდბაცაცებით სავსე, მორახრახე და დაჟანგებულ სამარშრუტო ტაქსიში დაეკავებინა ადგილი.

“ეს რა ვქენი? – ფიქრობდა ნუციკო, – აი, ვინ მექაჩებოდა ენაზე! ძან გავამწარე... მაგრა შევზიზღდები... მარა, თვითონაც ხო გამამწარა!.. დატეულიყო თავისთვის!” საბედნიეროდ, ქურდბაცაცები ნუციკოს არც შეხებიან, ნაფტალინის სუნით გაჟღენთილ პალტოში

გამოწყობილ ასაკოვან ქალს ჩანტიდან ამოაცალეს საფულე, მძღოლს მანქანა გააჩერებინეს და სწრაფადვე მოკურცხლეს.

ქალბატონმა კვილი ათ წუთში დაიწყო. კვილი დემურსაც მოესმა.

– დემურ! – უმახდა ვიღაც ქალი.

“ეს თუ ისევ ნუციკოა, ჩემი ხელით დავახრჩობ!” – გაიფიქრა დემურმა და იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

ზოოპარკის შესასვლელთან მისი მუსიკის მასწავლებელი, რუსიკო იდგა.

– დაგინახე და ჩამოვედი... სახლში მივდიოდი.

რუსიკომ დემური გადაკოცნა. საიდან ჩამოვიდა, არ დაუკონკრეტებია, ალბათ, ისიც ქურდბაცაცებით სავსე, ოღონდ სხვა სამარშრუტო ტაქსით თუ მიდიოდა სახლისკენ. დემურს გაუკვირდა.

– უცბად ვერ გიცანით... – გულწრფელად უთხრა.

– კაია, გავმდიდრდები, – გაიცინა რუსიკომ, – ჩემი დაქალის დაბადების დღეზე ვიყავი, – ალბათ, სომეხ ვიკას გულისხმობდა, – ასი წელია არ მიცეკვია და იმდენი ვიცეკვე, იმდენი ვიცეკვე, რო თავი გავიგიჟე...

რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, რუსიკო ნასვამი ჩანდა.

– შენ ჩემზე გაბრაზებული ხარ? – თვალეში შეხედა რუსიკომ დემურს, – რატო არ მოდიხარ?... რამე დაგიშავე?... ასეთი კაი ბიჭი ხარ, დედიკო, და რაღა მე მექცევი ცუდად?..

– რა სისულელეა, – დაიბნა დემური, – უბრალოდ, ძაან დაკავებული ვიყავი... დარეკვასაც ვაპირებდი...

– იცი, მე შენ როგორ მიყვარხარ!.. იცი, რა ნიჭიერი ხარ!.. შტერივით ვლაპარაკობ, გაგაგიჟე ხო?... მაგრამ შენზე ძალიან დიდიც კი არა ვარ... ნუ მიყურებ ასე!

რუსიკო მოჯადოებულებით ლაპარაკობდა.

– სად მიდიხარ?

დემური ვერ მიხვდა, რა უნდოდა რუსიკოს მისგან.

– ჩემ მეგობართან... აქვე.

– არ დამტოვო, რა... ცოტა ხანი ჩემთან წამოდი, რაღაც უნდა გაჩუქო...

– აუ, არა, – დემურს ოფლმაც კი დაასხა, – მართლა მელოდებიან...

– ტაქსით წავიდეთ, მე გადავიხდი...

– რა შუაშია...

– ერთ წამში გაგიშვებ... იცოდე, ისე მეწყინება, ისე მეწყინება, რო თავს მოვიკლავ... რუსიკომ მკლავი გაუყარა დემურს.

– არა, რა... გეხვეწებით, – დემური ხელის გათავისუფლებას შეეცადა, – ქუჩაში მელოდებიან... ყველა მომიკვდეს...

უეცრად, რუსიკომ მეორე ხელი კეფაზე მოავლო, თავისკენ მიიზიდა და ტუჩებში აკოცა.

დემურს დაბნეულობისაგან თავბრუც კი დაეხვა.

რუსიკომ პირზე მოისვა ხელი, ტროტუარიდან ქუჩაზე გადავიდა, ტაქსი გააჩერა და დემურს მოუბრუნდა:

– არ მახვეწინო, ყველას გაფიცებ.

დემური ერთხანს გახევებულივით იდგა, მერე გამოფხიზლდა, სწრაფად მიირბინა მანქანასთან და ჩაჯდა.

ხმა არცერთს არ ამოუღია, მხოლოდ მძლოლი ქადაგებდა:

– მე, თქვენი ჭირიმე, იმოტოლა ტრესტი მებარა... ცუდად ნუ გამიგებთ და გეფიცებით, მრცხვენია, რა... მრცხვენია, ამის დედა ვატირე, დღისით მუშაობა, მეშინია, ვინმე ნაცნობი არ შემხვდეს, ღამით ვტაქსაობ... ხოდა, მოვდივარ, ამას წინათ, აეროპორტიდან... თქვენთან დიდი ბოდიში, ქალბატონო, და ვხედავ, გოგო ხელს მიქნევს... ჩემი შვილიშვილისხელა, კაცო... ჩავისვი... რას ვიფიქრებდი...

რას იფიქრებდა დემური, რომ ამ ღამით რუსიკოსთან აღმოჩნდებოდა სახლში.

რუსიკომ ჩაი დაადგა.

ლაპარაკისას ხმა დაუბოხდა.

თავისი ცხოვრების შესახებ მოუყვა დემურს. უფრო სწორად, მოყოლა დაიწყო. ისიც უთხრა, მოწაფე ადრეც მყავდა, შენი არ იყოს, ისიც ჩემზე უმცროსი იყო და შემიყვარდაო, მერე კი თვალეზე აიფარა ხელები, რას ვაკეთებო, დედაჩემი ბაბუაშენის თანამშრომელი იყო, მე კი გაკოცეო, იდიოტი ვარო, ყურადღებას ნუ მომაქცევო, მე თვითონაც არ ვიცი, რა დამემართაო.

როგორც ჩანს, არაფრის ჩუქებას არ აპირებდა, უბრალოდ, დემურის შეტყუება უნდოდა სახლში. ახლა კი გამოფხიზლებულიყო და სინდისი ქენჯნიდა.

დემური დღევანდელი დღის შთაბეჭდილების ქვეშ იყო.

მიხვდა, რაღაც უნდა ექნა. ამ უბედურ, დაბნეულ, თავატკიებულ და მახინჯ ქალს სახეზე ხელები აეფარებინა და არ იცოდა, რა ეთქვა. დემურს უნდა ეთქვა რამე.

თითქოს საიდანღაც პუსკას, ჩხეიძის და ჟვირავას ტერცეტიც მოესმა: “არ ჩაიჯვა, ძმაცაც!”

გული კი აუჩქარდა, მაგრამ კუჭი არ აბუყბუყებია, წამოდგა, რუსიკოს მიუახლოვდა, სახიდან ხელები მოაშორებინა და აკოცა. რუსიკო ისეთი ვნებით აჰყვა დემურს, რომ ამ უკანასკნელს შეეშინდა კიდევ.

– ქალთან არასდროს ვყოფილვარ, – საცოდავად წაილულლულა.

არც რუსიკო გამოირჩეოდა დიდი სიმამაცით. ამ სიტყვებმა ისიც შეაშინეს, მაგრამ რაკი უკვე აქამდე იყო მისული, გადაწყვიტა საქმე ბოლომდე მიეყვანა და დემურს პროფესიული რჩევა მისცა:

– პირველ რიგში, მკლავი მოადუნე.

ზარი მეოცე

ნინჩომ უცნაური სიზმარი ნახა:

ნადრიკუჩა დაესიზმრა, რომელიც საიქიოშიც კი ძველბიჭობდა.

ჩაკუზულიყო სამოთხის ჭიშკართან და იფურთხებოდა.

– რა უბნელი ხარ, ბიჭო? – ეკითხებოდა სულელებს.

მერე, ვითომ იუდასაც კი გაექაჩა:

– დედას გიტირებთ, ბიჭო, ნასედკებს! გაიკითხე, ძმაო, ვინაა თემურიკო ნადარეიშვილი და აქ მერე ამოდი, გაიგე? ბოზო შენა!..

ვითომ დეიდამისი კატუშაც იქ იყო. ნადრიკუჩას შენიშვნებს აძლევდა.

ნადრიკუჩაც უფრო ბრაზდებოდა:

– აქ მაინც მომასვენეთ, თქვე ჩემა!

მერე პროკურატურის მუშაკთა სულელებს ეხვეწებოდა, ის ქალი და კაცი, ჩემი ნაღდი დედ-მამა დამაჭერინეთ, მე რო ინტერნატში ჩამაბარეს და მერე, ჩემდა თავად, აქ გამტრაკებლის დედაცო!

ნინჩო თავს ისედაც ცუდად გრძნობდა და ამ სიზმარს მთლად მოეშხამა მისთვის ხასიათი.

გუშინ მამა თორნიკესთან ელაპარაკა და სამოთხის ჭიშკართან ჩაკუზული ნადრიკუჩა, ალბათ, ამიტომაც ესიზმრა.

მამა თორნიკეს ასე დაემშვიდებინა ნინჩო: მეორედ მოსვლის ჟამს ეგ შენი ნადრიკუჩა მკვდრეთით აღდგება და პირდაპირ სახლში ამოგადგებაო.

როგორც კი ნადრიკუჩას მკვლელობის ამბავი ამცნეს, მაშინვე გაიფიქრა, მე რომ არ დამერეკა, სახლიდან არ გამოვიდოდა და სიკვდილსაც გადაურჩებოდაო, მაგრამ ამ აღმოჩენამ იმდენად დათრგუნა, რომ გადაწყვიტა, ამიერიდან აღარასდროს დაედანაშაულებინა თავი ნადრიკუჩას სიკვდილში.

არც ჯამბულა გამოჩენილა. იმასაც ამბობდნენ, ბაქოში გადაბარგდაო. ისე კი, ნინჩოს დიდად არც უნდოდა, რომ ჯამბულას მაინცდამაინც ახლა დაერეკა. მართალია, ჯამბულა კვლავაც უყვარდა (სცდებოდა, როცა ფიქრობდა, ერთდღიანი სიყვარულია იქნებო), მაგრამ არ ნერვიულობდა, თუ კიდევ ერთ-ორ თვეს არ დარეკავდა, ბოლო-ბოლო დაივიწყებდა კიდევ. ასაკი ჰქონდა ასეთი. თანაც ნადრიკუჩა ენატრებოდა. საკუთარ თავს არ უტყდებოდა, მაგრამ რაც მოკლეს, უფრო შეუყვარდა. შავები ჩაეცვა და გოგოებთან იმასაც ამბობდა, ვერ ვიტან შავ კაბებს, მაგრამ ძაან რო მახდუნებს, ამ პონტში ცოტა მომწონსო. ნეტავ, ნადრიკუჩას ვენახე ასეთ ვიდზეო. აჟო, პასუხობდნენ მას გოგონები, შენ თუ კიდევ გახდომა გინდა, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმისო.

მიუხედავად შავი კაბებისა, ნინჩო და ნინუკა გუდაურში მაინც წავიდნენ.

– ნინუკამ ძალით წაათრია ნინჩო გუდაურში, – ეუბნებოდა ლელუკა პუპას, – თორე თბილისში მთლად გაგიჟდებოდა.

პარასკევს ასულან და უკვე კვირას უკან ჩამოსულან.

კოტეჯში, სადაც ნინჩო და ნინუკა ათენებდნენ ღამეს, ერთ მშვენიერ დღეს, ნინუკას ბიძაშვილ მამუკას ვინმე ციცქა მოჰყოლოდა, უდაბლვერილესი კოკა ციცქიშვილი, რომელსაც ლეგენდად დაჰყვებოდა ერთი უცნაური ამბავი.

ციცქას სამიოდე წლის წინ გაეთქვა სახელი, როცა კაწკასმაგვარი კეკლუცი გოგონა, ეკაკო მილორავა შეჰყვარებოდა.

ამ ეკაკოს სასტიკად უწვალებია ეს ჩვენი ციცქა.

ბიჭი თავს არ იზოგავდა, იპრანჭებოდა. როცა ეკაკო წყნეთში იყო, დღეში ცხრაჯერ ადიოდა, როცა ეკაკო გუდაურში მიდიოდა, ციცქაც იქ მისდევდა – ჩხუბობდა, საჩუქრებს უგზავნიდა, იბუტებოდა, ეგებ ამან მაინც გაჭრას და შემამჩნიოსო.

ეკაკოც, თითქოს ჯინაზე, ციცქას გარდა თითქმის ყველა ბიჭს ეპრანჭებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ციციამ შეუძლებელი შეძლო და ეკაკო შეაბა, მაგრამ როცა განმარტოვდნენ, ეკაკოს ტანსაცმელი გახადა, საწოლზე მიაგდო და ორგზის შეაგინა, ხო მაგრა მაწვალე, ეხლა შენი ჯერიაო.

ციციამ მეორე დღიდანვე გაითქვა სახელი – ეს ის ციციქაა, ქალს რო ტანსაცმელი გაახდევინა და არ მიეკარაო.

ასე დასაჯა ციციამ საბრალო ეკაკო მილორავა და ამაყად გამოიხურა კარები.

თუკი რაიმეს ჰყვებოდნენ კოკა ციციქიშვილის შესახებ, მხოლოდ ამ ამბავს.

როცა ეს ბიჭი ნინუკას ბიძაშვილთან ერთად გამოჩნდა კოტეჯში, ნინუკამ მაშინვე გადაულაპარაკა ნინჩოს, ეს ხო იცი ვინაა, გოგო რო აწვალე და მერე ეს გოგო რო შეაბა, გახადა და არ მიეკარაო.

ნინჩო, სანამ ნადრიკუჩასთან დაიწყებდა სიარულს, გუდაურიდან ყოველთვის მსუბუქად შეყვარებული ჩამოდიოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ორი კაცი – ერთი ცოცხალი და ერთიც მკვდარი – ერთდროულად უყვარდა, არ არსებობდა, რომ კიდევ მოსწონებოდა ვინმე მესამე, თუმცა ციციქას ამბავმა – განსაკუთრებით კი იმ ეპიზოდმა, როცა შურისძიების მიზნით ორგზის შეაგინა გახდილ ქალს – გული აუჩქროლა და როცა ნინუკამ უთხრა, წამოდი, დაწვეთო, ის ქვემოთ, პირველ სართულზე, ნინუკას ბიძაშვილ მამუკასთან და ციციქასთან ერთად დარჩა, დაიძინე, ნინ, მე მერე ამოვალო. ციციქა, როგორც გამოირკვა, ნადრიკუჩასაც იცნობდა და დიდ პატივსაც სცემდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნინჩოს ნიშნისმოგებით მაინც უღიმოდა. პრანჭვის თავისებური მეთოდი ჰქონდა – ბღვერას ღიმილი მოჰყვებოდა, ღიმილს ისევ ბღვერა...

თბილისში ჩამოსულ ნინჩოს ციციქა მაშინვე გადაავიწყდა, მაგრამ როცა ციციქამ დაურეკა, დაფიქრდა, ეხლა ესეც რო მომეწონოს, მაგარ უდონობაში ჩამეთვლება, მაგრამ რა ვქნა, რობოტად ხო არ გადავიქცევიო.

დემური გრძნობდა, რომ ახლა მაინც უნდა ექნა რამე!

იმ საბედისწერო დღეს, როცა სახლში დაბრუნდა, დაიფიცა, რუსიკოსთან აღარასდროს მივალო, მაგრამ ორ დღეში ისევ რუსიკოს კარებზე დააკაკუნა.

პირველ ხანებში ორივეს სირცხვილის გრძნობა ტანჯავდა, გიჟები ვართო, ამბობდა რუსიკო, ჩემი სიკვდილიო, დედაშენმა რომ გაიგოს, რა მეშველებაო, მერე კი დემურს ისე შეეჩვია, რომ თუკი ეტყოდა რამეს, მხოლოდ “დემურ, მოდუნდი!” – ლაპარაკი არც სჭირდებოდათ, სიტყვების გარეშეც მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს.

თუმცა, დემური მაინც ნინჩოზე ფიქრობდა.

რა მოხდებოდა, გუნებაში ამბობდა, როცა რუსიკოს ვაკოცებ, ნინჩოდ რომ გადაიქცესო. ხურციძემ უთხრა:

– ნადრიკუჩა, ეგ უბედური, მოკლეს... ჯამბო ბაქოშია, იქ გრიმიტობს... მიდი, რა...
სიყვარული მაინც აუხსენი, შენი რა მიდის... იცოდეს!

დემურიც იმავეს ფიქრობდა.

მართალია.

უნდა იცოდეს.

ადრე ასე არ ფიქრობდა. ეგონა, რომ ჯერ თავი უნდა მოეწონებინა გოგოსთვის, მერე კი
სიყვარული აეხსნა, ახლა კი მიხვდა, რომ თუკი გოგოს არ აიძულებ, არ შეგიყვარებს.

“უნდა დაავალდებულო, დემურ, ისე როგორ!”

ესეც ხურციძის სიტყვები იყო.

იმავე დილემის წინაშე იდგა ნუციკოც. დემურს სკოლაში ხვდებოდა, ურეკავდა,
ბრაზდებოდა მასზე, სააბაზანოში, ჩვეულებისამებრ, საათობით იკეტებოდა და საკუთარ
თავს უმტკიცებდა, დებილია, გადაიყვარეო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო
უყვარდებოდა.

ვინ დამწყევლა ასეო, ერთხელ ესეც კი მიაძახა თავის ანარეკლს.

იცოდა, გოგო რო ბიჭს სიყვარულს აუხსნის, ამ გოგოს ეს ბიჭი სერიოზულად არასდროს
შეხედავს. პირიქით, შეიძლება, შეზიზღდეს კიდევ.

დემურს ვერასდროს ეტყოდა: მიყვარხარ. ერთადერთი, რაც შეეძლო, რამენაირად
ეგრძნობინებინა.

ამ დროს გაჩუმებაც აღარ შეეძლო.

ერთადერთი ლელუკა იყო, ვისაც თავისი გრძნობები გაუმხილა და ამანაც ასჯერ ჰკითხა:
დაიფიცე? – თითქოს დემური კეთროვანი ყოფილიყო და მისი შეყვარება არ შეიძლებოდა.

ნინჩო ისედაც ხვდებოდა ყველაფერს და დაქალს ბოროტად აშაყირებდა, იგონებდა,
თითქოს მისთვის ეთქვას ნუციკოს, შეხედე დემურს, ხო მაგარ ვიდზეაო.

ნეტამც ეს სცოდნოდა საბრალო დემურს! ხომ არ დარეკავდა ნინჩოსთან...

სულ ცოტა, ათჯერ მაინც აკრიფა, ერთ არცთუ იმდენად მშვენიერ დღეს, ნინჩოს ტელეფონი
და გამბედაობა არცერთხელ არ ეყო, რომ ბოლომდე აეკრიფა ნომერი.

მყუდრო კუთხეს ეძებდა – სადაც შედიოდა, დედამისი სწორედ იქ ხვდებოდა. ბოლოს,
ტუალეტში შეიკეტა, მაგრამ შეეშინდა, არ მიხვდეს, ტუალეტიდან რომ ვურეკავო, და
მამამისის სახელოსნოში გადაინაცვლა. ბესიკი ამჟამად ნასვამი იყო, ტელევიზორთან იჯდა
და ფეხსაცმლის გახდას ცდილობდა – გაიხდიდა თუ არა, ქუსლს ისევ უკან აკვეტებდა,
მერე ისევ იცვამდა და ისევ იხდიდა, თან, როგორც სჩვეოდა ხოლმე, თავის თავს
ლანძღავდა, შენით გაიხდი, თუ ავტეხო სტვენაო? დემური კუთხეში შეიყუჟა, აკრიფა
ტელეფონის ნომერი, და სანამ ბოლო რიცხვს, ცხრიანს, თითს დააჭერდა, ჰაერი ღრმად
ჩაისუნთქა:

– ალო.

ნინჩოს ხმაში გულგრილობა იგრძნობოდა. ლამაზი გოგონები “ალო-ს” ისე ამბობენ, თითქოს არაფერი აღელვებდეთ ამქვეყნად.

ცოტა არ იყოს, მოწყენილიც იყო. შესაძლოა, ციცქას ზარს ელოდა.

– ნინჩო, გამარჯობა...

თქვა დემურმა და შეეშინდა, მერე რაღა უნდა ეთქვა.

– რომელი ხარ?

უფრო გულგრილი, უფრო ცივი ხმით იკითხა ნინჩომ.

– დემური ვარ...

ო, რა საშინელი სახელი ერქვა!

არ უნდა დამარცხებულიყო, მაინც თავისი უნდა გაეტანა და ხალხისთვის ეძულებინა, ბუბა დაემახათ.

– ჩხიკვიშვილი?

– ხო, მე ვარ...

– რა ჩურჩულით ლაპარაკობ, – გამხიარულდა ნინჩო, – რა იყო, გაკვეთილების გასაგებად ხო არ რეკავ? – თუმცა, ხმა ისევ მალე გაუცივდა.

დემურმა თავს ძალა დაატანა და გაიცინა.

– არა... ისე... ისე დავრეკე. რას შვები?

– ვარ, რა... შენ?

– მეც ვარ... ასე.

– იყავი სკოლაში?

– კი... რატო არ მოხვედი?

– სასაფლაოზე ვიყავი...

– ა, ხო...

იდიოტი ვარო, გაიფიქრა დემურმა, ხურციძეს რომ დავუჯერეო, ჯერ ხომ ასე ცოტა დროა გასული ნადრიკუჩას სიკვდილიდანო.

მაგრამ აქვე ისიც გაახსენდა, რომ ვინმე ციცქა, რომლის შესახებაც ერთადერთ ამბავს ჰყვებოდნენ, უკვე აქტიურად ეპრანჭებოდა ნინჩოს.

ციცქაზე უკვე სკოლაშიც ლაპარაკობდნენ.

ამიტომ ძალა მოიკრიბა.

– ნინჩო!.. შენა... იცი რა?

– ჰმ?..

“ზო” მაინც ეთქვა, ეს “ჰმ” რაღა იყო!

– რაღაც უნდა გითხრა... ისეთ პონტში, მაგრა მერიდებასავით, მარა რო არ გითხრა, არ შემიძლია...

ნინჩომ დემურს არც დაამთავრებინა:

– ჩხიკვიშვილი, – უთხრა, – ნუ სულელობ რაღაცას.

დემური, თურმე, მხოლოდ იმიტომ წვალობდა ეს ერთი წელიწადი, მხოლოდ იმიტომ ათენებდა თეთრად ღამეებს, მხოლოდ იმიტომ ბორგავდა საწოლში, და მხოლოდ იმიტომ შეეტენა ჩხეიძეს, პუსკას და ჟვირავას, რომ ამ გოგოს, ამ უგულო ნინჩო ღვანჯერიძეს, ბოლომდე არც კი მოესმინა, როგორ აუხსნიდა სიყვარულს, და უსაზიზღრესი სამად სამი სიტყვა ეთქვა:

“ჩხიკვიშვილი, ნუ სულელობ რაღაცას”.

დემური ნინჩოსთვის მხოლოდ კლასელი იყო.

კლასელი ბიჭები კი გოგონებს იშვიათად მოსწონთ.

გვართ მანც არ მოემართაო, მერე იხსენებდა. ამ დროს, ცოტაც რომ ეცლია, ეტყოდა: კი არ გავალდებულე, უბრალოდ, მინდა იცოდე, რო მაგრა მიყვარხარო.

რა მოხდებოდა, რომ დემურს მოესწრო და ეთქვა ეს სიტყვები!

მაგრამ ნინჩომ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ეს “ჩხიკვიშვილი” მართლაც მეტისმეტი იყო!

ამ სიტყვებით, თითქოს, ნინჩო იმასაც ეუბნებოდა, ნუციკოს მიხედვით, ბიჭო, რას მეტლიკინებო.

დემურმა ისიც იფიქრა, ხომ არ შევაგინო, იმ ვინმე ციციქასავით, მაგრამ შეეზარა... მაინც ვერ დადგა მისგან ძველი ბიჭი, თავდაჯერებული, უზრდელი, პუსკას, ჟვირავას და ჩხეიძის ძმაკაცი დემურა!..

ჯერ ადრეაო, თავი დაიმშვიდა სასოწარკვეთილმა, მერე ვიზამ რამესო.

ახლა მთავარი ის იყო, საუბარი ღირსეულად დაესრულებინა.

ამოცანა ნინჩომვე გაუადვილა:

– დემურ, სახლის ტელეფონზე მირეკავს ვიღაცა, მერე დამირეკე... კაი?

– ხო, ხო... აბა რა! – დემურმა ამის თქმაღა მოასწრო.

“კაი, დაგირეკავ,” – ეს მაინც ეთქვა, ან – “ხვალ მოხვალ სკოლაში?”

ნინჩომ გაუთიშა.

დემურმა დაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, ტელეფონის ზარი გაისმა.

“ნინჩოა!” – დემური კვლავ სასწაულს ელოდა.

– დემურ, სადა ხარ, მოდი...

რუსიკო აღმოჩნდა, ხმა უკანკალებდა, ტირილს აპირებდა.

– რა იყო, რა გჭირს? – ახლა დემური იყო ნინჩოსავით ცივი.

– მოდი-მეთქი, კაცო! – უჩვეულოდ დაიყვირა რუსიკომ, – რაღაც უნდა გითხრა...

– ხვალ მოვალ, რა გინდა?

– ოღონდ ნუ გადაირევი...

– რატო უნდა გადავირიო?

დემური ყველაფერს მოელოდა, ოღონდ ასეთ პასუხს კი არა: – მე მგონი, ფეხმძიმედ ვარ, დემურ... – რუსიკომ თავი ვერ შეიკავა, ატირდა, – და იცოდე, ძალიან მინდა გაჩენა... არ მაინტერესებს, ვინ რას იფიქრებს...

დემურს, ისევე როგორც ჯამბულას მკლავებში მოქცეულ ნინჩოს, თვალწინ დედამისი, თამარ ჩიჯავაძე და მამამისი, ბესიკ ჩხიკვიშვილი წარმოუდგა – ეკლესია, მამა თორნიკე, თვითონ – წითელი ყურებით და მის გვერდით მდგომი მუსიკის მასწავლებელი, ოცი წლით უფროსი რუსიკო, თეთრ, საქორწინო კაბაში გამოწყობილი, გაბერილი მუცლით, და მისი მეჯვარეც, სომეხი ვიკა...

დემური რუსიკოსთან გაიქცა.

– ცუდად ვარ... თან ძაან კარგად! – კარებშივე მიახალა რუსიკომ, – არა, არა, კარგად არა ვარ... ცუდად ვარ!

ცუდად იყო დემურიც.

ნინჩოსთან საუბრის მერე კიდევ ეს უნდოდა?

ნეტავ, დღეს საერთოდ არც კი გაელვიდა! გახვეულიყო საბანში და ჰაერიც არ ჩაესუნთქა! თუმცა, განა მხოლოდ დემური იყო ახლა ცუდად?

ნიკუშაც ცუდად იყო, რომელსაც ავარიის შემდღევ კოჭლობით დაეწყო სიარული, და კაწკაც, რომელიც მასთან დარეკვას ვერ ბედავდა...

ცუდად იყო ქეთო მასიც, რომელიც მერაბზე ეჭვიანობდა...

თავს ჯენიფერიც ცუდად გრძნობდა, რაკი ვერ მიმხვდარიყო, რატომ აკოცა ტუჩთან ახლოს ნასვამმა მერაბმა შუა სკოლაში?

ცუდად იყო ვლადიმერ დოჩიაც, რომელსაც დირექტორისგან შეუთვალეს, სექსოლოგიის კურსს ახალგაზრდა პედაგოგი გაუძღვება, თქვენ მხატვრული კითხვის ჯგუფი უნდა ჩაიბაროთ...

და ცუდად იყო ვანჩოც, რომელიც მისი ცოლის, თეიკოს მუშუთა დამზელ ქალზე ეჭვიანობდა.

საქმე ის იყო, რომ როცა მისი ვაჟი, ზურაბი, რძეს მიირთმევდა, დედამისს აუტანლად ტკივდებოდა მკერდი... სულ მთლად გაღიზიანებოდა მუშუს თავები! ხოდა, ყოველ დღე მკერდის ენერგიულად დამზელი მკურნალი ქალი მოდიოდა მასთან, რომელსაც ვენაში ნემსის გარჭობის შემდეგ, ყოველთვის ზიზღით შესცქეროდა თვალეზაბლეტილი ვანჩო.

არ მევასებაო, ამბობდა იგი, ჩემ ცოლს მკერდს რო უჯიჯგნის ვიღაცო...

ლელუკა? ნინუკა? ხურციძე? ანდრიკო?

დიდად ბედნიერები არც ესენი იყვნენ, თუმცა არც არაფერი უჭირდათ. ხურციძეს კობტა გოგოც კი გაეცნო, საყურეებით დახვრეტილი სხეულით, ირკა.

ჟვირავა? პუსკა? ჩხეიძე?

ესენიც ცუდად იყვნენ, ოღონდ თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამის შესახებ.

ქალაჩუნა ლადუნა? უბნის პოლიციის უფროსს რომ შესტრფოდა...

და არცთუ ისე კარგად იყო, ცხადია, ნუციკოც, რომელიც დემურთან საუბარს გეგმავდა.

სახლში ურეკავდა, დედამისი კი პასუხობდა, არ მოსულა, გენაცვალეო. შუადამისას რეკავდა, დილითაც, და თუკი ყურმილს ისევ დედამისი იღებდა, მაშინვე თიშავდა. დემური არც სკოლაში ჩანდა.

სად არიო, ეკითხებოდა ხურციძეს. რავი, არი თავისთვისო, ზოგადად პასუხობდა ეს უკანასკნელიც.

ერთხელაც, ბედმა გაუღიმა, დემურს გვიან ღამით სახლში დაურეკა და გამოიჭირა.

– ალო.

ყურმილი დემურმა აიღო.

– მობილური რატო არა გაქ, ბიჭო? აუ, მოვკვდი შენი დევნით...

ნუციკო კარგ ხასიათზე იყო.

– რას შვები?

ტრადიციული შეკითხვით დაიწყო.

– ვარ რა, – უპასუხა დემურმა, მერე კი სრულიად მოულოდნელად:

– შვილს ველოდები.

– რაა?

– დედა მომიკვდეს.

– მაშაყირებ?

– შაყირის თავი ნაღდად არა მაქ... ნუციკო სრულიად უაზრო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასე სულელურად თავი არასდროს უგრძნია. შეეშინდა კიდევ. დემური კი არა, თურმე, ვიღაც სერიოზული კაცი ჰყვარებია.

თუმცა, მაინც შეეკითხა, ალბათ, დაბნეულობისგან:

– ვინ აჩენს?

“წინჩოსგანო, რო მითხრას, ხო გადავირევი”, – ესეც გაიფიქრა.

– არ იცნობ...

– ...და ცოლი?

– ცოლი, რა შუაშია... იქნება.

– არ მატყუებ?

– სურმავა, რა გჭირს? ამდენი შეკითხვა არასდროს დაგისვამს.

ნუციკომ სირცხვილისაგან ტელეფონის გათიშვაც კი დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ლაწირაკად ჩამთვლისო.

დემურის კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა.

ო, რა სასიამოვნო ყოფილა ნინჩოს როლის თამაში!

მართლა ფეხმძიმედ კი არ ყოფილა რუსიკო. მეც გავრეკე და შენც გაგარეკინეო, უთქვამს დემურისთვის, მომელანდა რაღაცო.

ახლა დემურსაც უნდოდა ნუციკოს შეშინება. შეაშინა კიდეც. ამ დროს, გასკდა ნუციკო, იმდენი იტირა.

როცა სკოლაში მივიდა, დემურმა უთხრა, რა იყო, მაშინვე რო დაიჯერე, გაგაშაყირეო. დემურს გაეცინა კიდეც.

ანდრიკოც იქ იყო, მასაც გაეცინა.

ნუციკომ ისიც კი ვერ შეძლო, რომ დემურისთვის ეთქვა: “აუ, მაგარი სასაცილოა, რა.. დებილო!”

სახლში მოვიდა თუ არა, სააბაზანოში კი არ ჩაიკეტა, საწოლზე გაწვა და გუშინდელზე უარესად აბღავლდა.

ვერ ხვდებოდა, რატომ დასცინოდა ასე დემური! ასე რამ დაბოღმა და გააბოროტა? ნინჩომ? ნინჩო ხო აღარ მოსწონდა! თუ ისევ მოსწონდა და ნინჩოზე გაბრაზებული, მასზე, ნუციკოზე ანთხევდა ბოღმას!

საკუთარი გულუბრყვილობისა და უტვინობის გამო ტიროდა...

სძულდა ყველა – დემურიც, ნინჩოც, ლელუკაც... ის ანდრიკოც, დემურთან ერთად რომ იკრიჭებოდა...

ავაფეთქებ სკოლასო, უეცრად თავში გაუელვა, კაკუჩასთან ჩავალ და რამე ხო ექნება, ლიმონკა, მაგალითადო, დედა მომიკვდეს, თუ არ მოვპარო, სკოლაში თუ არ მივიდე და იქაურობა არ ავაფეთქეო.

ჯერ კიდეც ათი წლის ასაკში ოცნებობდა სკოლის შენობის დაწვაზე, როცა დილით ადგომა ეზარებოდა.

ბებიამისს კი ეგონა, რომ ტირილის ხმა სააბაზანოდან გამოდიოდა, ტუალეტის კარზე ატეხა ბრახუნი, ამ დროს შიგნით არავინ იყო.

“სახლსაც ავაფეთქებ! – ტიროდა ნუციკო, – ამათაც... ყველას”.

და გაავებულმა, დამცირებულმა და ტირილისაგან სახედასიებულმა, აჭარხლებულმა ნუციკომ ბოლო დღე, ბოლო ზარი წარმოიდგინა...

ხალხით გადავსებული სკოლა – წარწერებისგან აჭრელებულ ტანსაცმელში გამოწყობილი, აგზნებული და აწითლებული მისი კლასელები, მასწავლებლები, მშობლები...

სკოლა ისევე უნდა აფეთქებულიყო, როგორც კლდე მრავალი წლის წინათ, ნუციკოს დაბადებამდე ბევრად უფრო ადრე, რომელიც ვაკე-საბურთალოს გზას შეეწირა...

გამაყრუებელ ხმაურს უნდა მოეცვა მთელი თბილისი. მთელი ქალაქი ისე უნდა შეზანზარებულიყო, როგორც ნორჩი ვაკისა და საბურთალოს გამყოფი კლდე შეზანზარდა ოდესღაც... სკოლის შენობა ორად უნდა გახლეჩილიყო და დამტვრეულ მერხებს, დაფებს, ტელეფონებს, ჟურნალებს, მოსწავლეებს, დირექტორს, სასწავლო ნაწილს, მშობლებს ჰაერში უნდა ეფრინათ...

აქეთ, ვთქვათ, ნინუკას ფეხსაცმელი გაფრინდებოდა, იქით ვლადიმერ დოჩიას კბილის პროტეზი...

აფეთქდებოდა სულიჩაც!

მერაბიც აფეთქდებოდა, ქეთო მასის ქმარი, ეს ხეპრე! მარჯვნივ მისი ქმარი გაფრინდებოდა, მარცხნივ – გაყავისფრებული ნასკები... ჯენიფერიც უნდა გამსკდარიყო.

ქეთო მასს აფეთქების ტალღა სოლოლაკისკენ გადაისროდა, მამა თორნიკეს გადაუფრენდა და წვერებსაც შეუტრუსავდა...

აფეთქდებოდა ლელუკაც.

დანახშირებული პუპა რაკეტასავით აიჭრებოდა კოსმოსში!

ჩხეიძე, პუსკა და ჟვირავა ჯერ დენდარტყმულებივით აცახცახდებოდნენ, მერე კი გინებ-გინებით გასკდებოდნენ ათას ნაწილად...

– დაგვენძრა, ძმებო! – იქნებოდა მათი უკანასკნელი სიტყვები.

თეიკოს მასაჟისტი ქალის მიერ მიზელილ-მოზელილი მკერდი აუფეთქდებოდა, ვანჩოს გახვრეტილ ვენებზე მოედებოდა ცეცხლი...

ანდრიკო და ხურციძე, რასაკვირველია, ერთდროულად აფეთქდებოდნენ, თავდაპირველად, შეიძლება, ვერც მიმხვდარიყვნენ, რა ხდება... ეგებ ხითხითიცი კი დაეწყო ხურციძეს! მერე კი, როცა გაცრეცილ პარკეტთან ერთად აიჭრებოდნენ ჰაერში, დემურის

მებნას დაიწყებდნენ თვალებით, მაგასაც დაერხა, თუ არ გაგვიტეხა და ჩვენთან ერთად გასკდაო.

დემურის აფეთქება ნუციკომ დიდი სიამოვნებით წარმოიდგინა... ამ ვითომ კაი ბიჭის...

არა, ჯერ ნინჩო უნდა აფეთქებულიყო... ბოლო ზარზე ის იდიოტი ციცქაც უნდა ამოსულიყო და დემურის თვალწინ ეკოცნა ნინჩოსთვის... ამ უბედურ დემურს უკანასკნელად ეექვიანა თავის ცხოვრებაში, ამჯერად კი საბოლოოდ გადაწურვოდა ნინჩოს შებმის იმედი და ნინჩოსთან და ციცქასთან ერთად აფეთქებულიყო...

თუკი გამბედაობა ეყოფოდა, ეგებ კვამლში გახვეულ ციცქასაც გაქაჩვოდა, ვინ დაგპატიჟა ჩვენს ბოლო ზარზეო, თუმცა, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ასეთ დროს დემური ვინმეს გაქაჩვოდა!

ისე კი, საერთოდ, ვინ იყო ეს დემური?

ჯერ ხურციძის და ანდრიკოსნაირი ლაწირაკი, კრეტინი, მერე პუსკაზე მიტმასნილი ვითომ მოძველბიჭო...

ბოლო ზარზე, ალბათ, კაწკაც ამოეთრეოდა... ნეტავ, ნიკუშასთან, თუ ამირანასთან ერთად? ამირანა ვერ გაბედავდა. აფეთქების ტალღა კაწკას ბათუმში გადაისროდა და ბულვარზე მობირჟავე ამირანას დაეხეთქებოდა თავზე:

– ატომი ჩამოგვიგდენ, ბოიშვილნი ვიყვეთ! – დაიყვირებდა ამირანა.

ო, როგორ აკივლდებოდა ქალაჩუნა ლადუნა!

– ქალოო! ძლივს დავივარცხნე ეს თმა დღეს დილით!

დასკდებოდა კედლები, ჩაიშლებოდა კიბის უჯრედი, ცეცხლმოკიდებული პლინტუსები ჰაერში დაიწყებდნენ ფრენას, სკოლის შენობა სანთელივით დაიღვენთებოდა, კვამლის სუნით გაიჟღინთებოდა მთელი ქალაქი, ჭავჭავაძის პროსპექტზე სასაქონლოდ გამოსულ ნორჩებს კი ბული გაგუდავდა...

ნეტავ, გაჰყვებოდა ეს ბოღმა ნუციკოს ბოლო ზარამდე?

ბოლო ზარი ხომ ჯერ კიდევ შორს იყო.

ან რატომ მაინც და მაინც ბოლო ზარი?

ბევრი ხალხის, ერთად შეყრილი უამრავი ბედნიერი ადამიანის აფეთქება სურდა ამ წუთას ნუციკოს.

კაცმა არ იცის, კიდევ როდის და სად შეიყრებოდა ერთად ამდენი დალხენილი და იმედიანი ქალ-ვაჟი!

– ნუციკო! – ბებიამისი მის ოთახს უახლოვდებოდა, – სად ხარ?

ნუციკო აღარ ტიროდა. დამშვიდებულიყო. ბოროტ ფიქრებს კარგ ხასიათზე დაეყენებინა.

– სად უნდა ვიყო! – ბებიამისს დაუყვირა, – ფანჯრიდან ვხტები.

მერე შეეცოდა, სანამ აქ შემოსულა, ნერვიულობისგან არ გაუსკდეს გულიო, და ისევ დაუყვირა:

– აქა ვარ, აქ... ოთახში...

ბებიებს ხომ არ ესმით შვილიშვილების ჰუმორი.

ბოლო ზარი

ჯერ წყნეთში ავიდოდნენ, ან კიკეთში. მერე კი ზღვაზეც წავიდოდნენ.

თუმცა, გამოცდების გამო, შესაძლოა, წყნეთში, ან კიკეთში ვერც დაესვენათ.

თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკში ვერავინ აგიტანს, თუკი არც სკოლის მოსწავლე გქვია და არც სტუდენტი.

გაასრულე, ბაღლო, სკოლაში სწავლა? ახლა კეთილი ინებე, პირისახიდან ცინგლები ჩამოიბანე და სტუდენტად იქეც!

მაისის ბოლო კვირაა.

ბოლო ზარია.

– დამაწერე! – ზურგს აქცევს ნინჩოს სულიჩა.

“აი, ძან მიყვარხარ! ნინჩო ღვანფერიძე”, – სულიჩას თეთრი მაისური ოფლისგანაა სველი, ნინჩო წვალობს, ასოები რის ვაივაგლახით გამოჰყავს.

თვალები ხორავას ქუჩისკენ ეპარება, ციცქას ელოდება, ციცქამ უნდა გამოუაროს, მანქანა გააჩეროს სკოლის წინ, გადმოვიდეს, ნინჩოს დაქალები გადაკოცნოს, იქვე დადგეს, მანქანის კარებს მიეყრდნოს, მერე წავიდეს, მერე ისევ მოვიდეს, და ასე, რამდენჯერმე...

ნინჩო ივნისის ბოლოს ამერიკაში მიემგზავრება. იქ უნდა ისწავლოს.

თვითონაც იცის, ჩემ ფეხებს ისწავლის. მალე უკანვე ჩამოვა. ისე, ვინ იცის, მისი და, ბრძენი სოფიო ამბობს, ორი თვე გაუჭირდება და მერე კი შეეჩვევაო.

ვინ თქვა, კლასელებს ერთმანეთი არ უყვარდებათ?

აგერ, ლელუკა და ჟვირავა, მაგალითად, უკვე დადიან!

ქეთო მასი ისტერიულად იცინის. იცის, თუკი არ გაიცინებს, ტირილი მოუწევს. ღამეებს ათენებს, უძილობა ტანჯავს, ყოველ დილით, განცდისგან, რომელსაც ზიზღნარევი სიყვარული ჰქვია, გული ერევა და ათასნაირ ტაბლეტსაც ყლაპავს.

– მამაო, – ურეკავს ხოლმე ასეთ დროს მამა თორნიკეს, – ისევ ბოროტი ვარ...

– რატო, კაცო, რატო?.. – გული ეთუთქება ახალგაღვიძებულ მამა თორნიკეს, – რატო, ჩემი გოგო?

– მოკვლა მინდა მერაბის.

– ცას კი არ გამოეკერება, ისედაც მოკვდება, – ამშვიდებს ქეთო მასს მამა თორნიკე.

მერაბი უკვე ორი თვეა ბრისტოლშია წასული, ჯენიფერთან ერთად. ინგლისური არ იცის. რუსული ვიციო, ამბობს, მაგრამ ვერც ამ ენაზე საუბრობს. ანკი, ვის ჭირდება ბრისტოლში რუსული!

როგორ მოხიბლა ჯენიფერი მერაბმა, არავინ იცის. ჯენიფერმა წერილიც კი გაუგზავნა ქეთოს, უზნეო ქალი ნუ გეგონები, შენმა მერაბმა მომაჯადოვაო.

როგორც ამბობდნენ, ჯენიფერს წონაშიც დაეკლო.

სამასწავლებლოში ტორტს მიირთმევდნენ. ვლადიმერ დოჩია, რომელსაც მხოლოდ წინა კბილებიღა შერჩენოდა, ტორტს დამუწული პირით ჭამდა, თუმცა ზრდილობა აქ არაფერ შუაში იყო, თან აწ უკვე მის ყოფილ მოსწავლეებს, ლოყაწითელ გოგონებს აკვირდებოდა, რამხელები გაზრდილან ეს შობელმადლებიო.

დემურს დღეს დილით მოესწრო და რუსიკოსთან შეეველო, ამიტომ დაღლილი ჩანდა, ანდრიკოსთან ერთად ჩამომჯდარიყო კიბეზე, სკოლის შესასვლელთან. ხურციძემ ასე თქვა, მანდ მოსვლა მეზარება, ბანკეტზე მოვალო. როგორც ანდრიკო ამბობდა, ის გოგო, საყურეებისგან დახუნძლული სხეულით, თავზე მოსჯდომოდა ხურციძეს, რასაც ის ეუბნება, იმას აკეთებსო.

დემური ნინჩოს უყურებდა, იცოდა რომ ვიღაც ციცქას მოსწონდა ნინჩო, და ფიქრობდა, როგორი საშიში ჩანდა ეს დღე შორიდან, ახლა კი თითქოს არც ნერვიულობდა, რატომღაც ეგონა, რომ ბოლო ზარზე ბევრად უფრო ცუდად იქნებოდა, ვიდრე ახლაა.

მერე ციცქაც გამოჩნდა, ისეთი სისწრაფით შემოუხვია ამპატარა ქუჩაზე, რომ ვინც სკოლის ეზოში იდგა, ყველამ მის მანქანას შეხედა.

– ხო არ ეჭვიანობ, ბიჭო? – მხარი გაჰკრა დემურს ანდრიკომ. უკვე შეეძლო დემურთან ამ თემაზე ხუმრობა, რაკი ამ უკანასკნელს ცოტა ხნის წინ ეთქვა მისთვის, ნინჩო კი მიყვარს, მაგრამ ისე მაგრა, როგორც ადრე, ნაღდად აღარ მევასებაო.

ანდრიკომ, ცხადია, არ დაუჯერა, მაგრამ დემურის სიტყვებით მაინც აღფრთოვანდა, ხურციძეს უთხრა, ევასება, როგორ არა, თანაც ძალიან, მაგრამ თავის თავს არწმუნებს, აღარ მიყვარსო, – მეტი რა გინდა, ესეც კაია!

– ნადრიკუჩამ იეჭვიანოს! – დემურმა ანდრიკოს ასე უპასუხა.

ეჰ, საბრალო ნადრიკუჩა!.. ვინ იცის, სად, რომელ საზვერეში ძველბიჭობდა ახლა მისი სული?

პუსკას შავი ლაკის ფეხსაცმელები ჩაეცვა და ცხვირსახოცს საჩვენებელი თითის გარშემო ატრიალებდა.

ჩხეიძე, ასევე შავ ფეხსაცმელებში გამოწყობილი, სწორედ ამ წუთას კოცნიდა მანქანიდან გადმოსულ ციციქას. ცოტაც და ციციქასთან ერთად ჩაიკუზებოდა. მალე დააყენებდნენ ფურთხის გუბებსაც.

თეიკოს ბავშვი, რვა თვის ზუკა მოეყვანა ბოლო ზარზე.

– აბა თქვი, “დედა”?

გოგოები ეკითხებოდნენ.

ბავშვი ჯიუტად დუმდა.

თეიკოს მზის სათვალე ეკეთა, გუშინ ვანჩოს გაეწნა მისთვის სილა და მარჯვენა თვალი ჰქონდა ჩალურჯებული.

სანამ ვანჩო ხელს მოუქნევდა, თეიკოს შეერისხა იგი, კიდე გაიჩხირე, შე არაკაცო?

– ვინაა, გოგო, შენი არაკაცი! – გაავებულა ვანჩო.

ეს ამბავი, სანამ თეიკო მოვიდოდა, პუპას ეთქვა ნინუკასათვის, გუშინ თეიკოს დავურეკე და ისე ტიროდა, კინაღამ მეც ავტირდიო.

მორჩაო, ამბობდა თვალჩალურჯებული თეიკო, სკოლაც დავამთავრე და მაგის პონტიც მორჩაო.

პეტრიაშვილის ქუჩის კუთხეში ნუციკო სურმავა გამოჩნდა.

ათი, თხუთმეტი ნაბიჯიც და ნუციკო სკოლის შენობას მოუახლოვდებოდა.

უკვე გაბუტულიაო, გაიფიქრა ნინუკამ, რომელმაც პირველმა შეამჩნია ნუციკო.

ნუციკოს ხელისგულები ჰქონდა სველი...

ათი წლის შემდეგ

ნუციკოს ახლაც სველი ჰქონდა ხელისგულები.

ეს რა ჩაიდინა! როგორ გაბრიყვდა!

ჯერ გაუხარდა, კლასელებს ვნახავო, მაგრამ მერე შეეზარა... სახლში უნდა დარჩენილიყო.

თუმცა, ახლა აღარც უკან გაბრუნება უნდოდა. დელავდა. ვერ იტანდა დაგვიანებას. ეშინოდა, დარბაზში რო შევალ, ყველა მე შემომხედავსო.

სკოლის დამთავრებიდან ათი წელი გასულიყო. ქეთოს კლასი მრგვალ თარიღს აღნიშნავდა.

ფული პუპას შეეგროვებინა, თევზის რესტორანი აერჩია, მტკვრის პირას.

აკრძალეს წვეულებაზე ცოლებითა და ქმრებით მოსვლა, მაგრამ ისინი მაინც მოვიდნენ...

ჯერ კიდევ შორს იყო ოცი წლისთავი და ამიტომ სიმსუქნით, ჯერჯერობით, არავინ იტანჯებოდა.

ნუციკოც კი, რომელსაც თხუთმეტი კილო დაეკლო.

როცა სკოლა დაამთავრა, სახლში გაუტარებია ორი წელიწადი, თეატრალურ ინსტიტუტში უცდია ჩაბარება და ორჯერვე ჩაფლავებულა – ომანიანად ლაპარაკს, ცეკვასა და მელიის განსახიერებას ვერ ახერხებდა სიმორცხვის გამო...

მერე მესამედაც უცდია სამსახიობოზე ჩაბარება და ქურდბაცაცა ფისოს წარმატებულად განსახიერების შემდეგ, როგორც იქნა, სტუდენტიც გამხდარა. ჯერ თავის მოკვლაზე ფიქრობდა ნუციკო, დღიურში, რომელსაც დრო და დრო უბრუნდებოდა – ბოლო ზარის მერე, ასეთი სიტყვები ჩაუწერია: ყველა შეყვარებული უბედურია და არავინ თქვას, კაია სიყვარულიო.

როგორც ხდება ხოლმე, რაკი იშვიათად ხედავდა, მალევე გადაყვარებია დემური და უიმედოდ შეყვარებია ჯგუფის ხელმძღვანელი, ცოლ-შვილიანი რეჟისორი, კოტე პაპასკირი...

არ გათხოვილა.

კვლავ ბუტია და ბრაზიანი იყო.

აღარც კი ახსოვდა, რომ სკოლის აფეთქება უნდოდა ოდესღაც...

თავს ვერაფრით ირთობდა, საქმე არ ჰქონდა, ერთი-ორჯერ ეთამაშა, როგორც იტყვიან, ბუჩქის როლი – ესეც ინსტიტუტში სწავლის დროს – და რეჟისორი კოტე პაპასკირისგან, ერთი მხრივ, პირადულ, მეორე მხრივ კი პროფესიულ წინადადებებს ელოდა...

ნინჩო ამასობაში ორჯერ გათხოვილა.

პირველად – ამერიკაში, ფილადელფიაში გაუცნია ვიღაც ქართველი, რომელსაც საკუთარი რუსული რესტორანი ჰქონია გახსნილი.

ინგლისური ენის კურსები ნინჩოს წარმატებით გაესრულებინა, თუმცა სწავლის გაგრძელებაზე აღარ უფიქრია, გათხოვილა და მალევე დაბრუნებულა თბილისში. მამამისი, კარლო ღვანფერიძე, გარდაცვლილიყო – კუჭი გასკდომია მეგრულ ფაცხებში.

უკან, ფილადელფიაში, აღარ დაბრუნებულა. ქმრისთვის დაურეკავს, დიდ მადლობას გიხდი ყველაფრისთვის, მაგრამ აქ ვრჩებიო. ერთ წელიწადში ცოლად გაჰყოლია კალათბურთელ კუსა ჩინჩალაძეს და მისთვის ტყუპები გაუჩენია – ლიზა და მაშო ჩინჩალაძეები.

მისი და, სოფიო, წელს ამთავრებდა სკოლას, ბოლო ზარისთვის ემზადებოდა, – როგორც ადრეულ ასაკში აზროვნებდა, ისევე აზროვნებდა დღესაც, იცოდა ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები.

წიგნებს კვლავ დიდი მონდომებით იზეპირებდა.

ლელოკა ჟვირავას გაჰყოლია ცოლად, ფსიქოლოგი გამხდარა და შვილიც გაუჩენია, თორნიკე, რომელსაც მამამისი მოფერებით ჟვიროს ეძახდა.

ნინჩო ნარკომანი სერგოს ცოლი გამხდარა.

ტელევიზიაში დაეწყო მუშაობა, დილის გადაცემა მიჰყავდა, ყოველ დღე გამთენიისას, ოთხზე იღვიძებდა და მალე ჰალუცინაციებიც დაეწყო – გველები და ვირთაგვები ელანდებოდა. ლელოკას სწორედ ამის გამო მიაშურა. მალევე გამოჯანმრთელდა – ახლა გველებისა და ვირთაგვების მაგიერ, პაწაწინა ხვლიკები და მინდვრის წრუწუნები ელანდებოდა.

თეიკოს ზუკა ათი წლის გამხდარიყო, თეიკო ვანჩოსავით უსველებდა თმას, და წელიწადში ერთხელ, ოთხ ოქტომბერს, მამამისის დაკრძალვას აყურებინებდა, რომელიც ვიდეოკამერაზე გადაეღო ვანჩოს ბიძაშვილს.

ვანჩოს ძმაკაცის ბინაში გაეჩხირა ხუთი წლის წინათ და მეორე დღეს მკვდარი ეპოვათ.

პუპას გერმანიაში ეცხოვრა შვიდი წელიწადი, არ გათხოვილა, თუმცა იქაური სატრფო გაეჩინა, ერიკი.

ანდრიკო უცოლო იყო. არც მუშაობდა, თმა მოეზარდა და ქართველი ჯეელებით დაკომპლექტებულ, მაგრამ ინგლისურენოვან როკ-ჯგუფში უკრავდა დასარტყამ ინსტრუმენტებზე.

ხურციძე ისევ იმ გოგონასთან ერთად დადიოდა, ვერც შორდებოდა და ვერც ცოლად მოჰყავდა, მთელი დღეები კომპიუტერს უჯდა და შიგადაშიგ ირკას ურეკავდა.

უკვე მოესწროთ და ათჯერ დაშორებულიყვნენ (წელიწადში ერთხელ შორდებოდნენ ერთმანეთს), მაგრამ მალევე ურეკავდნენ ერთმანეთს, სად ხარ, გამოდიო.

პუსკა ციხეში იჯდა.

ბინებს ქურდავდა და თუკი სახლში ვინმე დახვდებოდა, კოჭავდა, ტანზე უთოს ადებდა და ეუბნებოდა, ფული მოგვიო.

ჩხეიძეს ხატვა დაეწყო, ოცდაათი წლის ასაკში დაეწყო წიგნების კითხვა და პირველად შარშან წაეკითხა “ტომ სოიერის თავგადასავალი”.

სულიჩას ბანკში დაეწყო მუშაობა, წელიწადში ერთხელ, ახალი წლის ღამეს, ღვინით იჭყიპებოდა და იანვრის ბოლომდე რწყევით სკდებოდა.

კაწკა ჯერ ნიკუმას გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ მალევე გაცილებია, მერე კი ამირანასთან დაუწერია ჯვარი. ბათუმში გადასულა საცხოვრებლად და ამირანასგანაც მალე წამოსულა – ხუთი წლით უმცროს, ქურდობაზე მეოცნებე ბიჭთან გაუბამს რომანი, რომელსაც ნიკა, იგივე ნიკუმა ერქვა.

ჯენიფერი და მერაბი კვლავ ერთად ცხოვრობდნენ ბრისტოლში.

მერაბი, როცა სახლში შედიოდა, ფეხსაცმელს იხდიდა – სახლში სქელი წინდებით ტანტალი ესწავლა. ზამთარში კი, ინგლისელთა მსგავსად, მხოლოდ მაისურისა და თხელი ქურთუკის ამარა დადიოდა ქუჩაში. ხელში პატარა ქოლგაც ეჭირა, მაგრამ ეშინოდა, სადმე ქართველს არ გადავეყარო, პედერასტი არ ვეგონო.

ქეთოს, მერაბის გამო, უკლებლივ ყველა მამაკაცი შესძულებოდა. მამა თორნიკეც კი, რომელიც ბერი გამხდარიყო. თუმცა, გამოქვაბულში არ დაყუდებულა. პატრიარქს ეპისკოპოსად ეკურთხებინა და კვირაში ერთხელ ტელე-ეკრანიდან უხდიდა სპონსორებს მადლობას:

– ღმერთმა დალოცოს ბენზინგასამართ სადგურთა ქსელის “მაუგლის” ხელმძღვანელობა... ეგენი რომ არა, ბაგებს ახალი ეკლესია არ ექნებოდა!

ვლადიმერ დარჩია მარქსისტულ პარტიაში შესულიყო, რომელიც ჭადრაკის მოყვარულთა მოხუცებს დაეარსებინათ. პარტიას “ილიას გზით, შოთას მადლით, სტალინის მუშტით” ერქვა და არჩევნებშიც აპირებდა მონაწილეობის მიღებას.

ცოლი არც დემურს მოუყვანია.

ნინჩო დიდი ხანია, რაც გადაყვარებოდა. ეს აყლაყუდა ვინააო, ძლივს იცნო.

მაგრამ მაინც ეწყინა, როცა ნინჩომ ისე ჩაუარა, რომ არც მისალმებია. ეტყობა, ვერ მცნობსო.

– უიმე, ჩხიკვიშვილი... შენც ცოცხალი ხარ? – გადაკოცნა ნინჩომ დემური წასვლის წინ, თითქოს ოთხმოცი წლისანი ყოფილიყვნენ, ისე.

დემურს ინსტინქტურად ჩაეხლიჩა ხმა:

– ხო, რა...

თუმცა, იქვე გაახსენდა, რომ ძველი ბიჭის როლის თამაში უკვე სულაც არ იყო საჭირო.

ორი ქალი ელოდებოდა: დედა თამარი და საყვარელი რუსიკო. საგრძნობლად დაბერებულ რუსიკოს მაინც ვერ ეშვებოდა, ბოლომდე გახსნილი მაინც რუსოსთან ვარო, ეუბნებოდა დემური დალალებმოზრდილ ანდრიკოს.

მათი რომანის ამბავი მამამისს შეეტყო სამი წლის წინათ და წიკიანობის ახალი სენი შეჰყროდა – როცა თვალებს ვხუჭავ, ვიგუდებო.

ამიტომ დაჭყეტილი თვალებით ეძინა.

რუსიკოსა და დემურის შესახებ ცოლისთვის არაფერი უთქვამს – თამარი მალე თვითონ მიხვდებოდა ყველაფერს.

დიდი სკანდალი ჯერ კიდევ წინ იყო.

დემური აღარ იტყუებოდა, ვაკეში ვცხოვრობო, რადგან აღარც არავინ ეკითხებოდა.

ისტორიული დაემთავრებინა. რამდენიმე წელიწადი უსაქმოდ დაყიალობდა, მერე კი იმ სკოლაში დაეწყო მუშაობა, სადაც თვითონ სწავლობდა ოდესღაც – ისტორიის გაკვეთილებს ატარებდა და თავის მოსწავლეებს ნინჩოს, ნინუკას, ნუციკოს, ანდრიკოს, პუსკას და სხვებს ადარებდა.

და ჯამბულა?

ვიღას ახსოვდა ახლა ჯამბულა, ან მისი სიმღერები! კაცმა არ იცის, სად იყო და რას საქმიანობდა ბებერი და მივიწყებული ჯამბულა...

დემური დათვრა. ნუციკოს ხელი გადახვია და ორი საათი ელაპარაკა. ღვინის სუნი უდიოდა. ნუციკოც მთვრალი იყო, ხასიათი კიდევ უფრო გაფუჭებოდა.

– მოიცა, მოიცა... მომისმინე! – დემურს ყოველ ორ წუთში ერთხელ აწყვეტინებდა ლაპარაკს.

დემურმა ხუმრობა გადაწყვიტა: შვილი მიჩნდება-მეთქი, რომ გითხარი, გახსოვს?

მერე იმის თქმასაც აპირებდა, ვხვდებოდი რომ მოგწონდი, მაგრამ მე ნინჩო მიყვარდაო.

ანუ, რაკი მთვრალი იყო, სიამოვნებას ჰგვრიდა გარდასულ დღეთა გახსენება...

მაგრამ ნუციკო, როგორც ჩანს, კვლავ წარსულში ცხოვრობდა.

– იცი, რამდენი რამე მწყინდა!.. შეგიძლია რომ ეხლა მაინც მომისმინო სერიოზულად?

“აუ, – გაიფიქრა დემურმა, – ეს კიდევ უფრო გაგიჟებულა”.

არც ისე ბევრი დრო გასულა, როგორც დემურს ეგონა თავიდან – ყოველ შემთხვევაში, ნუციკოსთვის ათი წლის წინანდელი ამბები დღესაც მნიშვნელოვანი ყოფილა...

“შენა და” – შესაძლოა, ახლა ეს სიტყვებიც ეთქვა.

დემურს ჟრუანტელმა დაუარა ტანზე, გაპარვა მოუნდა, სასწრაფოდ უნდა გაქცეულიყო აქედან...

ამ დროს, ქეთო მასმა სიმღერა დაიწყო – უსმენოდ, მაგრამ ხმამაღლა, მთელი გულით ჩაჰკიოდა მიკროფონს...

ნუციკო წამოხტა და თვალდახუჭული, ცეკვა-ცეკვით წავიდა სცენისკენ, თან სიმღერის ტექსტს იმეორებდა ჩურჩულით...

დემური მარტო დარჩა. ცოტა ხნის წინ გაქცევა უნდოდა, ახლა კი თითქოს ეწყინა კიდევ, ეს ადგომა, წასვლა და ცეკვა რა იყო!

მაინც გაიპარა. ვერავინ შეამჩნია, დარბაზიდან ისე გავიდა.

ხალხიც მალე დაიშალა.

“ნუ დამეკარგებით, გამოჩნდით, რა!” – ყველა ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდა, თუმცა ვინც ამას ამბობდა, ზუსტად იცოდა, რომ მისი კლასელი არც დარეკავდა და არც გამოჩნდებოდა, ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდა სადმე, ან ათი წლის მერე, კვლავ წვეულებაზე.

ზოგი ცოლების ან ქმრების მოთხოვნით სახლში ადრე გაიპარა. ზოგიც სწორედ მოქეიფე ქმრის გამო შერჩა სუფრას ბოლომდე – მთვრალი ქმარი კლასელ ბიჭებს დაუძმაცავდა და სამსაათიან სადღეგრძელოებს ამბობდა.

დემური შუა ქუჩაში იდგა და ტაქსის გაჩერებას ცდილობდა, მაგრამ ისე ავისმომასწავებლად ბარბაცებდა, რომ მანქანები არ უჩერებდნენ.

მერე ხელი ჩაიქნია და სახლისკენ ფეხით წავიდა.

მისმა კლასელებმაც სახლებს მიაშურეს, თავს ყველა კარგად გრძნობდა, მაგრამ ზოგიერთი უკმაყოფილოდაც ახვრინდა – პირველ რიგში, მამაკაცებს ვგულისხმობთ – ღვინისგან აყროლებული და აგზნებული ქმრები უხასიათო და დაღლილმა ცოლებმა არ მიიკარეს. გაიღვიძებდნენ გვიან.

თავის ტკივილით შეღონებული კაცები უსაქმოდ დაიწყებდნენ ოთახიდან ოთახში ბორიალს, ხოლო სარკესთან მდგომ ქალებს საკუთარი დასიებული თვალები გააოცებდათ...

დაიწყებოდა ახალი დღე.

ძველი იქნებოდა მხოლოდ შეკითხვა – ქართველთა მტანჯველი, შხამიანი შეკითხვა:
– ამ საღამოს, რა ვქნათ?